

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №6

შრომითი

დავები

საძიებელი

## 1. სახელფასო დავალიანება

- სახელფასო დავალიანების ანაზღაურების პირობები ფონდის ლიკვიდაციის დროს
- სახელფასო ანაზღაურება
- არჩევითი თანამდებობის პირის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება
- იუღებელი ხელფასის ერთი თვის დახმარების
- დაკისრება სათანადო მოპასუხისათვის
- სახელფასო დავალიანების მიღების უფლება
- პრემიის სახით დავალიანების ანაზღაურება და სამკურნალო დახმარებაზე ხანდაზმულობის ვადის გავრცელება

## 2. სამუშაოზე აღდგენა; განაცდურის ანაზღაურება

- სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო
- იძულებით გაცდენილი დროის ნამსახურებ წლებში ჩათვლა
- რეორგანიზაციის შედეგად სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის სამუშაოდან დათხოვნა
- სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის ფაქტის დადგენა
- სამუშაოზე აღდგენის შესაძლებლობის შემოწმება და გადაწყვეტილების

აღუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ სამსახურიდან დათხოვნის დაუშვებლობა

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე

სარჩელის დასაშვებობის შემოწმება

სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის იძულებითი

განაცდურის ანაზღაურება

სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა და

იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივმოვალეობათა დარღვევისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის კანონიერების შემოწმება

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრა

## 3. სამივლინებო თანხების ანაზღაურება

- სამივლინებო თანხების ანაზღაურების წესი
- სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების ხანდაზმულობასამივლინებო თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობა

# 1. სახელფასო დავალიანება

## სახელფასო დავალიანების ანაზღაურების პირობები ფონდის ლიკვიდაციის დროს

18ს-1340-1282(კ-09)

13 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

26.02.09წ. ნ. ხ-იანმა, ც. კ-ძემ, ნ. ბ-ძემ, მ. ჩ-ძემ, ნ. ს-ძემ სარჩელით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის ქუთაისის მერიის წინააღმდეგ და მოითხოვეს სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 1990 წლიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდნენ ... სამხარეო ცენტრში. 1998-2000 წლებში შესრულებული ადგილობრივი პროფილაქტიკური პროგრამებიდან მიუღებელი აქვთ სახელფასო დავალიანებები. აღნიშნულის თაობაზე აღძრული იქნა სარჩელი, რაც დაკმაყოფილდა და ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს 04.12.01წ. გადაწყვეტილებით თანხის – 44 268 ლარის გადახდა დაეკისრა ... სამხარეო ფონდს, რომლის ლიკვიდაცია მოხდა საქართველოს პრეზიდენტის 03.02.03წ. 133 ბრძანებულების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის 31.03.03წ. 133 განკარგულების 1-ელი მუხლის თანახმად ... სამხარეო ფონდმა მუშაობა შეწყვიტა 2003 წლის აპრილიდან, ხოლო ამავე განკარგულების 4.3 მუხლის თანახმად სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელს უნდა მოეხდინა წარმოქმნილი დავალიანებების აღრიცხვა და შესაბამისად ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინება და ეტაპობრივი დაფარვა. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის 19.05.04წ. 172 განკარგულების თანახმად, ქ. ქუთაისის მერს და იმერეთის მხარეში შემავალი რაიონების გამგებლებს დაევალოთ აღრიცხვაზე აეყვანათ ადგილობრივ ბიუჯეტზე კრედიტორთა დავალიანებები და მოეხდინათ მათი ეტაპობრივი დაფარვა. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ არაერთხელ მიმართეს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის მხარეში, ქ. ქუთაისის მერიას და იმერეთის სააღსრულებო ბიუროს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, მიუხედავად ამისა მათი მოთხოვნა დღემდე არ არის დაკმაყოფილებული. 03.12.08წ. მიმართეს იმერეთის სააღსრულებო ბიუროს 04.12.01წ. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით. 12.12.08წ. იმერეთის სააღსრულებო ბიურომ უპასუხა, რომ 2003 წელს დებიტორს – ... ფონდის ლიკვიდაციის გამო, გადაწყვეტილება არ აღსრულდება, სანამ არ დადგინდება დებიტორის უფლებამონაცვლე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს მერიისათვის სახელფასო დავალიანების გაცემის დავალება, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 03.04.09წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელების მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23.06.09წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 03.04.09წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის 04.12.01წ. გადაწყვეტილებით ... სამხარეო ფონდს ... სამხარეო ცენტრის სასარგებლოდ დაეკისრა 44 268 ლარის სახელფასო დავალიანების გადახდა. გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს მიერ. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 31.03.03წ. 133ა განკარგულებით განხორციელდა ... სამხარეო ფონდის ლიკვიდაცია. განკარგულებით მერიას, იმერეთის რაიონების და ქალაქების გამგებლებს ეთხოვათ კომისიის სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობა, სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებთან წარმოქმნილი დავალიანების აღრიცხვა და შესაბამისად ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინება და ეტაპობრივად დაფარვა.

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 19.05.04წ. 172 განკარგულების 1-ელი პუნქტით ქ. ქუთაისის მერს და იმერეთის მხარეში შემავალი რაიონის გამგებლებს ადგილობრივ ბიუჯეტში დანართში მოცემულ კრედიტორთა დავალიანებების აღრიცხვაზე აყვანა და მათი ეტაპობრივად დაფარვა დაევალოთ. ... სამხარეო ცენტრის დირექტორის მიერ 08.04.08წ. გაცემული ცნობებით დასტურდება, რომ ნ. ს-ძის სახელფასო დავალიანება შეადგენს 451,98 ლარს, მ. ჩ-ძის – 160,91 ლარს, ნ. ბ-ძეს – 437,56 ლარს, ც. კ-ძის – 320,58 ლარს, ნ. ხ-იანის – 434,35 ლარს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მერია სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა უშუალოდ ცენტრთან და შესაბამისად, არც რაიმე ვალდებულება გააჩნდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა აგრეთვე საკასაციო სასამართლოს განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ ცენტრსა და ფონდს შორის ხელშეკრულება არ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ გარიგე-

ბას, შესაბამისად იგი მერიისათვის ვერ წარმოშობს სადავო დავალიანების გადახდის ვალდებულებას. მართალია, ფონდის მხრიდან ცენტრისათვის დაფინანსებაში დავალიანება განაპირობა მერიის მიერ ფონდის არასტაბილურმა დაფინანსებამ, მაგრამ მერიასა და ფონდს შორის სამართლებრივი ურთიერთობა, შეფერხებები დაფინანსებაში ცალკე დავის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, მერიის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულების მერიისათვის გადაკისრების საფუძველი არ არსებობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ნ. ხ-იანის, ც. კ-ძის, ნ. ბ-ძის, მ. ჩ-ძის, ნ. ს-ძის მიერ. კასატორები აღნიშნავენ, რომ ვინაიდან ფონდი ჯერ კიდევ 2003 წელს იქნა ლიკვიდირებული, პალატის მითითება ფონდსა და მერიას შორის ფინანსური ურთიერთობები ცალკე დავის საგანია და სასამართლოს მიერ ცალკე სარჩელით უნდა იქნეს განხილული უსაფუძვლოა. სასამართლომ არ შეაფასა ფონდის დებულება, რომლის მიხედვითაც ფონდი თავის დროზე შეიქმნა იმერეთის მხარეში შემავალი გამგეობების და მერიის მიერ, ანუ მისი დამფუძნებელი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იყო ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა. აღნიშნული კი სრულ საფუძველს იძლევა იმისა, რომ ფონდის დამფუძნებელი თვითმმართველობა გახდეს ფონდის უფლებამონაცვლე მისი ლიკვიდაციის შემდეგ. კასატორები თვლიან, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მტკიცებულებები, არ უმსჯელია მათი კანონიერების შესახებ, არ უარყვია მათი სისწორე. კასატორებმა მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სახელფასო დავალიანების მერიისათვის დაკისრება.

სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 04.12.01წ. გადაწყვეტილებით ... სამხარეო ცენტრის კოლექტივის საინიციატივო ჯგუფის და ქუთაისის მერიის საფინანსო სამმართველოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 26.09.01წ. გადაწყვეტილება და ... სამხარეო ცენტრის სასარგებლოდ ... სამხარეო ფონდს დაეკისრა 44 268 ლარი სახელფასო დავალიანების გადახდა, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო სამმართველო ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.07.02წ. განჩინებით ... იმერეთის სამხარეო ფონდის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 04.12.01წ. გადაწყვეტილება. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში მყოფ ხსენებულ გადაწყვეტილებებს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს განსახილველი დავისადმი. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 04.12.01წ. გადაწყვეტილებით და საკასაციო პალატის 03.07.02წ. განჩინებით დადგენილია, რომ ... იმერეთის სამხარეო ფონდს უნდა გადაერიცხა მიზნობრივი და მათ შორის სახელფასო თანხები ... იმერეთის სამხარეო ცენტრისათვის, ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა ფონდი და არა ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო სამმართველო, მერიას რაიმე ვალდებულება არ გააჩნდა ცენტრის წინაშე, ცენტრსა და ფონდს შორის არსებული ხელშეკრულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას და არ წარმოშობს ცენტრის სასარგებლოდ მერიის რაიმე ვალდებულებას, ვინაიდან არ არსებობს მესამე პირის – მერიის წერილობითი თანხმობა გარიგებაში მონაწილეობაზე და ვალდებულების აღებაზე. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგენილია, რომ დავალიანება წარმოშვა მერიის მიერ ფონდის არასტაბილურმა დაფინანსებამ, მიუხედავად ამისა სასამართლომ მიუთითა, რომ მერიასა და ფონდს შორის სამართლებრივი ურთიერთობა, შეფერხებები დავალიანებაში ცალკე დავის საგანს წარმოადგენდა, მერიის მიერ ფონდის არასტაბილური დაფინანსება არ შეიძლება გახდეს ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულების მერიისათვის გადაკისრების საფუძველი.

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 31.03.03წ. 133ა განკარგულებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 2003 წლის აპრილიდან ... იმერეთის სამხარეო ფონდის მუშაობის შეწყვეტა, შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია. იმერეთის სააღსრულებო ბიუროს 12.12.08წ. პასუხით დებიტორის ლიკვიდაციის გამო გადაწყვეტილება არ აღსრულდა. ცენტრს სააღსრულებო ფურცელში ცვლილების მოთხოვნის საკითხი არ დაუსვია, საქმეში არ მოიპოვება ცენტრის მოსარჩელებისათვის უფლებამოსილების დელეგირების საბუთი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ ფონდი თავის დროზე შეიქმნა იმერეთის მხარეში შემავალი გამგეობების და მერიის მიერ, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფონდის დამფუძნებელი თვითმმართველობა მისი ლიკვიდაციის შემდეგ მისი უფლებამონაცვლეა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.03წ. 133 ბრძანებულებით გაუქმებული «ჯანმრთელობის

დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის სრულყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 09.12.1997წ. 1723 ბრძანებულების მე-6 პუნქტით განისაზღვრა ... სამხარეო ფონდების შექმნა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ... იმერეთის სამხარეო ფონდი, წარმოადგენდა იმერეთის მხარეში შემავალი ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტიდან ... დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების აკუმულირების და ... სამხარეო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველყოფ იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად იყო დაფუძნებული (ფონდის დებულების 1.2 მუხ.). ფონდი წარმოადგენდა არაკომერციული იურიდიულ პირს, ფონდის ლიკვიდაციის დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლი განსაზღვრავდა ფონდის კრედიტორების დაკმაყოფილების წესს, კერძოდ 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებდა ფონდის ლიკვიდაციის დროს მიმდინარე საქმეების დამთავრებას, კრედიტორების დასაკმაყოფილებლად ქონების ფულში გამოხატვას, დარჩენილი ქონების მსგავსი მიზნების მქონე ფონდებისათვის და არა დამფუძნებლებისათვის გადაცემას (სკ-ის 39-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწ.), მუხლით არ იყო გათვალისწინებული ფონდის ლიკვიდაციისას ფონდის დამფუძნებლისათვის ფონდის დავალიანების დაკისრებას. ... იმერეთის სამხარეო ფონდის დებულება არ ითვალისწინებდა ლიკვიდაციის რაიმე განსაკუთრებულ წესს და უთითებდა, რომ ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფონდის, როგორც არაკომერციული იურიდიული პირის, ქონება, რომელიც დამფუძნებლების მიერ საერთო-სასარგებლო მიზნის მისაღწევად დამოუკიდებელი, არაწევრობაზე დაფუძნებული სუბიექტის საკუთრებაში იყო გადაცემული (სკ-ის 30.3 მუხ.), დამოუკიდებელია მათი წევრების ან დამფუძნებლების ქონებისაგან, თუ კომერციული იურიდიული პირების მიმართ კანონმდებელი ითვალისწინებს პარტნიორთა პასუხისმგებლობას, არაკომერციული იურიდიული პირების შემთხვევაში ეს გამორიცხულია, ფონდის დამფუძნებლები ფონდის ვალებზე პასუხს არ აგებენ. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება და დავას არ იწვევს, რომ ადგილი ჰქონდა ფონდის ლიკვიდაციას, რომელიც რეორგანიზაციისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ლიკვიდაციის შემდეგ უფლებამონაცვლეობას. ამდენად, კასატორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფონდის დამფუძნებელი თვითმმართველობის ორგანო არის ფონდის უფლებამონაცვლე, უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული. ამასთანავე, ლიკვიდაცია არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი. მოსარჩელებს, რომლებიც იყვნენ ფონდის არა დესტინატორები, არამედ კრედიტორები, ლიკვიდაციის პროცესის მიმართ პრეტენზია არ წარუდგენიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 31.03.03წ. 133ა და 19.05.04წ. 172 განკარგულებები არ ქმნის კასატორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობას, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არსებითად სწორია, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ხ-იანის, ც. კ-ძის, ნ. ბ-ძის, მ. ჩ-ძის, ნ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23.06.09წ. განჩინება;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სახელფასო ანაზღაურება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-516-496(კ-10)

3 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

09.10.09წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ხ-ლმა მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წინააღმდეგ და დავალიანების ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელე ვ. ხ-ლმა სასამართლო სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა თანხის ნაწილში და განმარტა, რომ 1978-2005წწ. მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს არ აუნაზღაურებია ხუთი თვის ხელფასი 1190,74 ლარის ოდენობით, შსს შიდა ქართლის მთავარ სამმართველოს არ აქვს ანაზღაურებული სახელფასო დავალიანება 582,95 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს დაეკისროს 1190,74 ლარის ანაზღაურება, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარ სამმართველოს 582,95 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.11.09წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1998 წლის ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, სულ – 287,95 ლარის ოდენობით; მოსარჩელე ვ. ხ-ლს უარი ეთქვა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსათვის 1998 წლის ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის კვების ფულადი კომპენსაციის ანაზღაურებაზე, სულ – 295 ლარის ოდენობით, ხანდაზმულობის გამო; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მოსარჩელე ვ. ხ-ლის სასარგებლოდ დაეკისრა 2003 წლის დეკემბრის ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება – 68,72 ლარის ოდენობით; მოსარჩელე ვ. ხ-ლს უარი ეთქვა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის 2003 წლის დეკემბრის კვების ფულადი კომპენსაციის, თანხით – 59 ლარის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის გამო; მოსარჩელე ვ. ხ-ლს უარი ეთქვა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის 2004 წლის 30 დეკემბრიდან 2005 წლის 13 მაისამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი კომპენსაციის, სულ – 1063,02 ლარის დაკისრებაზე, ხანდაზმულობის გამო. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 22.07.09წ. 127/7/3-ბ/29 და 28.10.09წ. 127/7/614-3699 წერილებით მოსარჩელეს ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ითვალისწინებდა სახსრებს მხოლოდ მიმდინარე საჭიროებისათვის. ამავე ცნობებით დასტურდებოდა, რომ შსს თბილისის მთავარი სამმართველოს ვ. ხ-ლის მიმართ გააჩნდა 2003 წლის დეკემბრის სახელფასო, ულუფის და 30.12.04წ. – 13.05.05წ. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში კომპენსაციის დავალიანება, სულ – 1190,74 ლარის ოდენობით. მოპასუხის მიმართ დავალიანება დადასტურებული იყო აგრეთვე შსს შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს 15.08.09წ. 129/1-14-ბ-24 და 25.08.09წ. 129/1-14-ბ-27 წერილებით, რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხეს ვ. ხ-ლის მიმართ გააჩნდა 1998 წლის ივნისი, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეების დავალიანება, სულ – 582,95 ლარის ოდენობით. სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოსა და კანონით გათვალისწინებულ სხვა კომპონენტებს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს ასკ-ის 24-ე და 33<sup>1</sup> მუხლების თანახმად, უნდა დაკისრებოდათ მოსარჩელის კუთ-

ვნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განუხორციელებლობა, ანუ ხელფასის თანხის გაუყვემლობა, პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას მიიღოს კუთვნილი შრომის გასამრჯელო. ზემოაღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ხ-ლის სასარჩელო მოთხოვნა ხელფასის დავალიანების ანაზღაურების შესახებ, არ იყო ხანდაზმული და ამ ნაწილში სარჩელი საფუძველიანად იქნა მიჩნეული. რაც შეეხება სასურსათო ულუფასა და კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემ კომპენსაციას, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება სასურსათო ულუფისა და კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი კომპენსაციისაგან და ამ უკანასკნელზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წერილების ვალის აღიარებად მიჩნევისათვის მათში, პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება კონკრეტული ვალის გადახდის თაობაზე. მათში მხოლოდ დაფიქსირებულია მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული ინფორმაციული მონაცემები სახელფასო დავალიანების არსებობის შესახებ მათი მომავალში გადახდის ყოველგვარი დაპირების გარეშე. სასამართლომ დაასკვნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა 2003 წლის დეკემბრის კვების ფულადი კომპენსაციის, ულუფის, რაც 59 ლარს შეადგენს, 2004 წლის 30 დეკემბრიდან 2005 წლის 13 მაისამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი კომპენსაციის, რაც 1063,02 ლარს შეადგენს, ასევე 1998 წლის ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეების კვების ფულადი კომპენსაციის, ულუფის, რაც 295 ლარს შეადგენს, ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ვ. ხ-ლმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.10წ. განჩინებით ვ. ხ-ლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.11.09წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა, რომ ვ. ხ-ლის სააპელაციო საჩივარში არ იყო მოყვანილი მათი გამაბათილებელი არგუმენტაცია, რის გამოც სააპელაციო პალატას გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერად და დასაბუთებულად მიაჩნია და თვლის, რომ არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.10წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ხ-ლმა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის უარის თქმის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასურსათო ულუფა განსხვავდება ხელფასისაგან, რადგან იგი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს და მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა შრომითი გასამრჯელო, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რაც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. სასამართლომ შეფასება არ მისცა ასევე იმ ფაქტს, რომ წარმოდგენილი ცნობით აღიარებული იყო ვალის არსებობა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ხ-ლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.07.10წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, კერძოდ, 2004 წლის 30 დეკემბრიდან 2005 წლის 13 მაისამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში დავალიანების ანაზღაურების ნაწილში. ამდენად, საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული და შესაბამისად საკასაციო სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას საკასაციო საჩივრის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსათვის 1998 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით კვების ფულადი კომპენსაციის (295 ლარის) დაკისრებას, აგრეთვე შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის 2003 წლის დეკემბრის კვების ფულადი კომპენსაციის (59 ლარის) დაკისრებაზე უარის თქმას, აგრეთვე შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსათვის 287.95ლ. და შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის 68.72ლ. მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდის დაკისრებას, ვი-

ნაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული. ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს შეადგენს შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი კომპენსაციის ანაზღაურებაზე (1063.02ლ.) უარის თქმა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული პერიოდი მოიცავს 2004 წლის 30 დეკემბრიდან 2005 წლის 13 მაისამდე პერიოდს, ამ პერიოდში ვ. ხ-ლის მოთხოვნა დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოიცავს ხელფასის (131,63ლ.), წოდების (62,31ლ.), პროცენტული დანამატის (77,58ლ.) დანამატის (585ლ.), ულუფის (206,5ლ.) თანხებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი დავალიანების ანაზღაურება არის ხანდაზმული, რომ ხელფასი განსხვავდება კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი კომპენსაციისაგან. საქართველოს პრეზიდენტის 17.03.97წ. 1139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-12 მუხლი, ვ. ხ-ლის სამსახურიდან გათავისუფლების პერიოდში მოქმედი რედაქციით, ითვალისწინებდა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში ორგანიზაციული, საშტატო ღონისძიებათა განხორციელებისას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შტატგარეშე დარჩენილი თანამშრომელი ირიცხებოდა კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვით, 2 თვის მთლიანი ხელფასის შენარჩუნებით, ხოლო მომდევნო ორი თვის განმავლობაში მას მიეცემოდა სპეციალური წოდების, ნამსახურობის პროცენტული დანამატი და სასურსათო ულუფის კომპენსაცია. ამდენად, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო ხელფასის გაცემა, შესაბამისად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მისაღები ანაზღაურება განსხვავდება სახელფასო დავალიანებისაგან, არ არის დასაბუთებული, არ ემყარება ვ. ხ-ლის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლის («ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას») შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოხელეებზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ნორმით რეგლამენტირებულ იქნა საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, შსს სამინისტროს თანამშრომლების საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და კანონით გათვალისწინებულ სხვა კომპონენტებს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასი) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასი) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი ვ. ხ-ლის სამსახურიდან დათხოვნის პერიოდში მოქმედი რედაქციით, ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთებს. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს 22.07.09წ. 127/7/3-6/29, 28.10.09წ. 127/71/614 ცნობების თანახმად, დავალიანება შეადგენდა 1063,02 ლარს, აქედან ხელფასი – 131,63 ლარს, წოდება – 62,31 ლარს, ულუფა – 206,5 ლარს, პროცენტული დანამატი – 77,58 ლარს და დანამატი – 585 ლარს.

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციისაგან განსხვავებით, ვ. ხ-ლის სამსახურიდან გათავისუფლების პერიოდში მოქმედი ხელფასის ცნების რედაქცია მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს (31-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი), წელთა ნამსახურობის დანამატი, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატები და კომპენსაციები კანონში შეტანილი ცვლილებების (28.06.2000წ.) შედეგად არ არის მოცული ხელფასის ცნებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვ. ხ-ლის სასარჩელო მოთხოვნა კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში დავალიანების ანაზღაურების შესახებ, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში კუთვნილი დავალიანების – 193, 94 ლარის (ხელფასი – 131,63ლ., წოდება – 62,31ლ.) ანაზღაურება, რომელიც მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის პერიოდში მოქმედი «პოლიციის შესახებ» კანონის რედაქციით, თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთებს მოიცავდა. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში დავალიანების დანარჩენი ნაწილი, კომპენსაციები არის პერიოდულად ანაზღაურებელი ვალდებულება, რომლის შესრულების წარმოშობის მომენტს სკ-ის 130-ე მუხლი უკავშირებს დროს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, მოსარჩელეს გაცენილი აქვს სკ-ის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, საქმეში დაცული ცნობები ინფორმაციული ხასიათისაა, არ შეიცავენ ნათლად და გარკვევით დავალიანების ანაზღაურების დაპირებას,

ცნობები შეიცავენ მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცულ ინფორმაციულ მონაცემებს სახელფასო დავალიანების არსებობასთან დაკავშირებით, რაც არ ქმნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის, მისი ახლიდან ათვლის საფუძველს, რის გამოც მართებულია საკასაციო პალატის მიერ მოსარჩელის მოთხოვნის დანარჩენი ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარი ხანდაზმულობის ვადის გაცდენის გამო.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ვ. ხ-ლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.10წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. ხ-ლის მოთხოვნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გასაცემი კომპენსაციის დაკისრებაზე მთლიანად ეთქვა უარი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
2. ვ. ხ-ლის სასარჩელო მოთხოვნა კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში კუთვნილი დავალიანების ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მოსარჩელე ვ. ხ-ლის სასარგებლოდ დაეკისროს სახელფასო დავალიანების – 193,94ლ. (ასოთხმოცდაცამეტი ლარის და ოთხმოცდაათოთხმეტი თეთრის) ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.10წ. განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არჩევითი თანამდებობის პირის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ**

18ს-738-713(კ-10)

16 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ყ-იამ სარჩელი აღმრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს პარლამენტისა და მესამე პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა მის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების – 765.00 ლარის ანაზღაურება და აღნიშნული თანხის «...» ბანკის კრწანისის ფილიალში ჩარიცხვა.

**საქმის გარემოებები:**

1992-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და არ მიუღია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის წლის X-XI-XII თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხა – 765.00 ლარი.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის 1281 განკარგულების თანახმად, კრედიტორთა რეგისტრაციის შემდეგ უნდა მიეღო აღნიშნული დავალიანება, რის თაობაზეც არაერთხელ მიმართა საქართველოს პარლამენტს, მაგრამ საკითხი გაუცემელი დავალიანების ანაზღაურებაზე არ გადაწყვეტილა.

მოსარჩელემ საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 24 ივნისის 15780/3-1 წერილის საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები მოსარჩელეს არ მიუთითებია.

მოპასუხე – საქართველოს პარლამენტმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

მოპასუხის განმარტებით, სადავო დავალიანება წარმოადგენს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელ თანხას და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ყ-იას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

«საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრება კანონით. პარლამენტის წევრს ეძლევა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ანაზღაურებაც.

«საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-60 მუხლის თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, შეთანხმებით შესაძლებელია გამოქვეყნებულ იქნეს 2008 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, «საქართველოს პარლამენტის წევრის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ანაზღაურება მოიცავს ხარჯებს: საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ქ. თბილისში სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, სამსახურებრივი მიზნით ქ. თბილისის ფარგლებში ტრანსპორტით მგზავრობისათვის, ამ კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩევლებთან შეხვედრისას (გარდა სპეციალური მივლინებისა), სამედიცინო, სატელეფონო, საფოსტო და სატელეგრაფო მომსახურებისათვის, თანაშემწის აყვანისათვის, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ექსპერტიზისათვის.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხელფასის გაცემა იწყება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დადასტურების დღიდან და მთავრდება შესაბამისი მოწვევის პარლამენტის ან მისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში კრედიტორული დავალიანება არ წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას, ეს არის სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა, რაც წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და წარმოადგენს ხელფასზე დანამატს, ამდენად, მის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 24 ივნისის 15780/3-1 ცნობას, სასამართლოს განმარტებით, მას მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი აქვს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ყ-იამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველით:

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა შეწყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას, აღნიშნულ მუხლში ჩამოყალიბებულია ვალის აღიარების კონკრეტული ფორმები, თუმცა, ამასთან ერთად, ის იძლევა შესაძლებლობას, ვალის (მოთხოვნის) აღიარება სხვაგვარადაც მოხდეს. შესაბამისად, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ პარლამენტის მიერ გაცემული ცნობით არ ხდება ვალის აღიარება. მით უფრო რომ პარლამენტის მიერ 2009 წლის 24 ივნისის გაცემულ 15780/3-1 წერილში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში მასზე ირიცხება კრედიტორული დავალიანება 765.00 ლარი, აქედან სამემოსავლო გადასახადი შეადგენს 91,80 ლარს.

ასევე არამართებულია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ მის მიმართ არსებული დავალიანება არ წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას, იგი არის სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა, რომელიც გამომდინარეობს სახელშეკრულებო ვალდებულებიდან და წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულას, რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი, ვინაიდან, აპელანტის განმარტებით, «საქართველოს პარლამენტის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამომწურავად განსაზღვრავს, თუ რა ხარჯებს მოიცავს პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოწინააღმდეგე მხარემ – საქართველოს პარლამენტმა სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხანდაზმულობის მოტივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის განჩინებით ვ. ყ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 24 ივნისის გაცემული '5780/3-1 ცნობა ინფორმაციული ხასიათისაა და მასში მხოლოდ კონსტანტირებულია დავალიანების არსებობის ფაქტი და არა მისი მომავალში ანაზღაურების ვალდებულება.

სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა წარმოადგენს რა ხელფასზე დანამატს, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და მის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით ამ სახის ვალდებულებებისათვის დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რაც მოსარჩელის მიერ გაშვებულია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ყ-იამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება, იმავე მოტივებით რაზეც მიუთითებდა სარჩელში და სააპელაციო საჩივარში.

მოწინააღმდეგე მხარემ საქართველოს პარლამენტმა მოსაზრებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ვ. ყ-იას საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მომართა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა ვ. ყ-იას საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ვ. ყ-იას საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად (დივერგენტული კასაცია).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ყ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ყ-იას სარჩელი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული – 765 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შეიქმნა დივერგენტული კასაციის წანამდგვრები, ვინაიდან სახეზეა სააპელაციო სასამართლოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკისგან განსხვავებული სამართლებრივი დასკვნა.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონმდებელმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამდგვრების დადგენით განსაზღვრა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლი და დანიშნულება: კონცეპტუალური სასამართლო, რომლის ფუნქცია გაცილებით მეტია, ვიდრე მართლმსაჯულების და სასამართლო კონტროლის განხორციელება.

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი როლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის საფუძვლების განსაზღვრის წესებით შესაძლებელი უნდა გახდეს მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად ერთმანეთთან ჰარმონიაში მოიყვანოს ის მთავარი მოთხოვნები, რომლებიც წაყენება კასაციას:

– ზოგადად, მართლწესრიგის დაცვა და მისთვის ხელის შეწყობა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვეობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნა;

– ცალკეულ შემთხვევებზე გადაწყვეტილებების სამართლიანობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამი საფუძველი:

ა) აბსოლუტური კასაცია;

ბ) დივერგენტული კასაცია;

გ) პროცესუალური კასაცია;

დივერგენტული კასაციის მიზანს წარმოადგენს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვა გარკვეულ სამართლებრივი ნორმების განმარტებებისას. დივერგენტული კასაციის დაშვება ასევე ემსახურება სამართლებრივი ერთიანობის, სტაბილურობის და სამართლის თანასწორი გამოყენების დაცვას. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების (განსხვავებული სამართლებრივი შეფასება, განმარტება) მიღებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გააზრებულად, შეგნებულად ხდება და ჯეროვ-

ნად არის დასაბუთებული (რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს განმარტება არასწორად მიაჩნია), შეიძლება ასევე ზიმი მისცეს სამართლის შემდგომ განვითარებას. დივერგენტული კასაციის დაშვება ემსახურება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შორის იურიდიული დისკუსიის შედეგის მნიშვნელოვანი ხასიათის განსაზღვრას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს არანაირ სამართლებრივ მოტივაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნების კრიტიკის თაობაზე, სასამართლოს არ დაუსაბუთებია დავის სხვაგვარი გადაწყვეტის სამართლებრივი სისწორე და გადაწყვეტილება არ ემყარება განსხვავებული სასამართლო ფილოსოფიას.

რის გამოც, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, არ არსებობს არანაირი წინაპირობა სააპელაციო სასამართლოს დასკვნის გასაზიარებლად და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაცვლელად.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. «ე» მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, არასწორად განმარტა კანონი; სადავო სამართალურთიერთობას არასწორად შეუფარდა სამართლის ნორმა, რის გამოც გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების შეცვლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რადგან საქმის გარემოებები დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საქართველოს კონსტიტუციის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის საფუძველზე პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

«საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, პარლამენტის წევრის სტატუსი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული პირის კანონით განსაზღვრული პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა, რაც მოიცავს დეპუტატის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესს და გარანტიებს, ამავე კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

«საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით ცალკე თავი აქვს დათმობილი პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურებას და სოციალურ უზრუნველყოფას, როგორც ამომრჩევლის პოლიტიკური ნების გამოხატველი – წარმომადგენლის მიერ კონსტიტუციური ფუნქციის დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად განხორციელების ერთ-ერთ გარანტიას, მათ შორის, 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრება კანონით. პარლამენტის წევრს ეძლევა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ანაზღაურება მოიცავს ხარჯებს: საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ქ. თბილისში სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, სამსახურებრივი მიზნით ქ. თბილისის ფარგლებში ტრანსპორტით მგზავრობისათვის, ამ კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩევლებთან შეხვედრისათვის (გარდა სპეციალური მივლინებისა), სამედიცინო, სატელეფონო, საფოსტო და სატელეგრაფო მომსახურებისათვის, თანაშემწის აყვანისათვის, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ექსპერტიზისათვის.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ხელფასის გაცემა იწყება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დადასტურების დღიდან და მთავრდება შესაბამისი მოწვევის პარლამენტის ან მისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად განმარტავს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი განეკუთვნება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის სახეს. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით,

საქართველოს პარლამენტი არის სახელმწიფო დაწესებულება, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, ხოლო მე-5 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამსახურის სახეები, მათ შორისა – სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. მოსარჩელე ვ. ყ-ია საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში წარმოადგენდა რა სახელმწიფო მოსამსახურეს, მასზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი.

ამავე კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო. მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებათა ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არამართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხის პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევის თაობაზე და მასზე 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 128.3. მუხლის მიხედვით, სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. ეს ვადა არის საერთო წესის განმსაზღვრელი, კოდექსი ასევე ითვალისწინებს საგამონაკლისო ხანდაზმულობის ვადებსაც, კერძოდ, ამავე კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალური ვადები, მათ შორის, მე-2 პუნქტით დადგენილი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სწორედ სახელმეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პერიოდული ვალდებულებებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე.

განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა არა კერძოსამართლებრივი სახელმეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პერიოდული ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნა, არამედ, საჯარო სამართლებრივი, კერძოდ, კანონისმიერი მატერიალური უზრუნველყოფის ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნა, ანუ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რაც თვისობრივად კარდინალურად განასხვავებს მას კერძოსამართლებრივი ვალდებულებითი სამართალურთიერთობისგან.

მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნას საჯარო სამართლის ნორმატიული აქტები, სადავო სამართალურთიერთობას აწესრიგებს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, შესაბამისად საჯარო სამართლებრივი უფლების რეალიზაციისას დაუშვებელია გამოყენებულ იქნას კერძოსამართლებრივი სახელმეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადები, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით.

განსახილველი დავა არც ადმინისტრაციული ხელმეკრულებიდან არ წარმოშობილა, არათუ კერძოსამართლებრივი ხელმეკრულებიდან, იგი ადმინისტრაციული ორგანოს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ნიადაგზეა წარმოშობილი (ამაზეა დამყარებული მოთხოვნა), მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტის წევრის სტატუსი, ფუნქცია არჩევითი თანამდებობის კანონისმიერი გაგება გამორიცხავს სახელმეკრულებო შრომითი ურთიერთობის ხასიათს, შესაბამისად, არჩევითი თანამდებობის პირის სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით სახელმეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება ალოგიკურია. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციით, «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლისა და «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის» 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

ამასთან, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასი) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მითითებული კანონის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო ახდენს კანონით გათვალისწინებული თანხების გამოყოფას და შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანების გასტუმრებას.

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-20 მუხლის თანახმად წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2010 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას. ასევე საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ – ვ. ყ-იას კასაციის მოტივს, რომ დაუსაბუთებელი და არამართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2009 წლის 24 ივნისის 15780/3-1 წერილის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის წერილად მიჩნევის თაობაზე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ყოველი სახის მტკიცებულება ინფორმაციული ხასიათისაა, რაკი ადასტურებს, აქარწყლებს ან უარყოფს რომელიმე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ამდენად ინფორმაციულობა მტკიცებულების აუცილებელი ელემენტია, რადგან ასეთის გარეშე იგი არ მიიჩნევა მტკიცებულებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასება, რომ კონკრეტული მტკიცებულება (ცნობა) ინფორმაციული ხასიათისაა, არ ათავსებს მას მტკიცებულებათა ბუნდოვან კლასიფიკაციაში «ინფორმაციული», რომლის შინაარსი არ განაპირობებს იურიდიულ შედეგს. საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მითითებული მტკიცებულება არ წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან დავალიანების არსებობის აღიარებას, ვინაიდან წარმოდგენილი ცნობის შინაარსში ნათლად და მკაფიოდ იკითხება, რომ «საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში ვ. ყ-იაზე ირიცხება კრედიტორული დავალიანება 765,00 ლარი, აქედან საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 91.80 ლარს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ტექსტი შეუძლებელია გავიგოთ სხვაგვარად, თუ არა ასე, რომ საქართველოს პარლამენტს ვ. ყ-იას მიმართ გააჩნია მისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის არსებული დავალიანება, რაც ოფიციალურად არის დაანგარიშებული და აღრიცხული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. ყ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ყ-იას სარჩელი დაკმაყოფილდეს, საქართველოს პარლამენტს ვ. ყ-იას სასარგებლოდ დაეკისროს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 675,00 ლარის ანაზღაურება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ვ. ყ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ყ-იას სარჩელი დაკმაყოფილდეს; საქართველოს პარლამენტს ვ. ყ-იას სასარგებლოდ დაეკისროს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 675,00 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მიუღებელი ხელფასის ერთი თვის დახმარების დაკისრება სათანადო მოპასუხისათვის**

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ**

18ს-550-529(2კ-10)

2 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** მიუღებელი ხელფასისა და ერთი თვის გამოსასვლელი დახმარების თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 5 მაისს ს. ა-ძემ, ნ. ფ-ძემ, მ. მ-ძემ, ც. ფ-ავამ, გ. შ-ძემ, ლ. დ-ძემ, ბ. ვ-ძემ, ე. დ-ძემ, ლ. ხ-ძემ, რ. ჭ-შვილმა, ლ. ხ-აშმა, ნ. მ-ძემ, ა. გ-ძემ, ზ. ბ-ძემ, მ. შ-ძემ, ი. შ-ძემ, ლ. ა-ძემ, ნ. ბ-ძემ, მ. კ-ავამ, ი. ზ-ძემ, ს. ვ-ძემ, რ. ა-ძემ, ვ. ს-ძემ, ა. ვ-ძემ, ა. ქ-ძემ, ნ. რ-შვილიმ, რ. შ-ძემ, შ. თ-ძემ, ზ. მ-ძემ, ე. ნ-ემ, ხ. ჭ-იამ, ი. ვ-ემ, დ. ნ-ძემ, მ. თ-შვილიმ, თ. ა-ძემ, ტ. ს-ძემ, ზ. მ-შვილიმ, მ. ქ-ძემ, თ. ც-ძემ, ნ. ბ-იონიმ, ნ. ვ-ძემ, თ. ვ-ძემ, ვ. ნ-იამ, ნ. ხ-ძემ, ლ. ხ-ვამ, ვ. გ-ძემ, თ. პ-ძემ, ჭ. მ-ურიმ, ა. მ-შვილიმ, ნ. ბ-ძემ, რ. ს-ძემ, ნ. ბ-ძემ სასარჩელო განცხადე-

ბით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 1996 წლის 29 აგვისტოს 1150 ბრძანებითა და აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 1997 წლის 1 მაისის 11-5/13 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ცენტრალური აპარატი, ქ. ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქედის განყოფილებები, ინვალიდების სამედიცინო რეაბილიტაციისა და პროფორიენტაციის ცენტრი. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (რომლის სამართალმემკვიდრე იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) 2000 წლის 22 მარტის 146-ო და ამავე წლის 12 მაისის 183-ო ბრძანებების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც გაუქმდა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ცენტრალური აპარატი, საქალაქო და რაიონული განყოფილებები, ხოლო ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი სამედიცინო-სოციალური მომსახურების დაწესებულებები გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 22 მარტის 147/ო ბრძანებისა და საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 28 მარტის 13 ბრძანებით მატერიალური ფასეულობების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების სრული ინვენტარიზაციის მიზნით შეიქმნა კომისია. ამასთან, ინვალიდთა დეპარტამენტში შემავალი დაწესებულების ყველა თანამშრომელი გაფრთხილებულ იქნა 2000 წლის 30 მარტიდან მოსალოდნელი სამტატო ერთეულების შემცირების შესახებ. საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 22 მაისის 17 ბრძანებით 2000 წლის 1 ივნისიდან შეწყდა დაქვემდებარებული დეპარტამენტების დაფინანსება და ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტმა და მის დაქვემდებარებაში არსებულმა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა შეწყვიტა საქმიანობა.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ რეორგანიზაციის შედეგად აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე იყო აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო, რომელსაც გადაცემული ჰქონდა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის და ქ. ბათუმის განყოფილების ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობები, აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 2000 წლის 6 ივნისის 14/06 ბრძანების საფუძველზე. აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 30 მაისის 18 ბრძანების თანახმად, სამუშაოდან გათავისუფლებული იყვნენ მოსარჩელები და ამავე ბრძანებით დეპარტამენტის ბუღალტერს დაევალა უზრუნველყო გათავისუფლებული მუშაკები ხელფასებითა და კომპენსაციით. რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას უნდა წარედგინოდა ყველა გათავისუფლებული მუშაკის ხელფასის, კომპენსაციის, მივლინებისა და სხვა ხარჯების უწყისები, რომელსაც უნდა გადაეწვიტა შრომითი ანაზღაურების საკითხი. ეს კომისიები შეიქმნა რეორგანიზაციის პერიოდში, როგორც საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის, ასევე აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 3 აპრილის 16 ბრძანებით.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ მათ მიერ შექმნილი იყო სრულყოფილი დოკუმენტაცია, რომლითაც დაანგარიშებული და დადასტურებული იყო სამართალმემკვიდრის, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებები მოსარჩელეთა მიმართ, მაგრამ ეს ვალდებულებები არ იყო შესრულებული, ანუ მოსარჩელებს არ ჰქონდათ მიღებული თანხები, რაც მათ ეკუთვნოდათ საქართველოს შრომის კოდექსის, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოპასუხეებისათვის მათი სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით მიუღებელი ხელფასის, სამუშაოდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული კომპენსაციის, მივლინებების, მატერიალური დახმარებისა და სხვა დავალიანების გადახდა, აგრეთვე მოპასუხეებზე დავალიანების გადახდის გამო საურავის დაკისრება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით ს. ა-ძის, ნ. ფ-ძის, მ. მ-ძისა და სხვათა სარჩელი, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, ფულადი თანხის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასი და ერთი თვის გამოსასვლელი დახმარება: ს. ა-ძის სასარგებლოდ – 1397,46 ლარი, ნ. ფ-ძის სასარგებლოდ – 1761,14 ლარი, ლ. ხ-შის სასარგებლოდ – 692,36 ლარი, მ. მ-ძის სასარგებლოდ – 452,53 ლარი, ც. ფ-ავას სასარგებლოდ – 417 ლარი, გ. შ-ძის სასარგებლოდ – 454,9 ლარი, ლ. დ-ძის სასარგებლოდ – 645,76 ლარი, ნ. მ-ძის სასარგებლოდ – 453,90 ლარი, ბ. ვ-ძის სასარგებლოდ – 1187,3 ლარი, ე. დ-ძის სასარგებლოდ – 427,8 ლარი, ლ. ხ-ძის სასარგებლოდ – 233,45 ლარი, რ. ჭ-შვილის სასარგებლოდ – 221,37 ლარი, ა. გ-ძის სასარგებლოდ 362,89 ლარი, ზ. ბ-ძის სასარგებლოდ – 437,34 ლარი, ლ. ა-ძის სასარგებლოდ – 336 ლარი, მ. შ-ძის სასარგებლოდ – 354 ლარი.

რი, ი. შ-მის სასარგებლოდ – 353,98 ლარი, ნ. ბ-მის სასარგებლოდ – 336 ლარი, რ. ა-მის სასარგებლოდ – 155 ლარი, მ. კ-ავას სასარგებლოდ – 155 ლარი, ი. ზ-მის სასარგებლოდ – 155 ლარი, ს. ს-მის სასარგებლოდ – 148 ლარი, ვ. ს-მის სასარგებლოდ – 496,6 ლარი, ნ. ხ-მის სასარგებლოდ – 386 ლარი, ა. ქ-მის სასარგებლოდ – 370,77 ლარი, ნ. რ-შვილის სასარგებლოდ – 334 ლარი, რ. შ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, შ. თ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, ზ. მ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, ე. ნ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, ხ. ჭ-ას სასარგებლოდ – 15,74 ლარი, ი. ვ-მის სასარგებლოდ – 314,22 ლარი, დ. ნ-მის სასარგებლოდ – 328,7 ლარი, მ. თ-შვილის სასარგებლოდ – 327,28 ლარი, თ. ა-მის სასარგებლოდ – 313,78 ლარი, ტ. ს-მის სასარგებლოდ – 454,83 ლარი, ზ. მ-შვილის სასარგებლოდ – 432,69 ლარი, მ. ქ-მის სასარგებლოდ – 477,79 ლარი, თ. ც-ის სასარგებლოდ – 442,98 ლარი, ნ. ბ-იონის სასარგებლოდ – 147,52 ლარი, ნ. ვ-მის სასარგებლოდ – 336 ლარი, თ. ვ-მის სასარგებლოდ – 137,40 ლარი, ვ. ნ-იას სასარგებლოდ – 218,40 ლარი, ნ. ხ-მის სასარგებლოდ – 201,5 ლარი, ლ. ხ-ავას სასარგებლოდ – 177,33 ლარი, ვ. გ-მის სასარგებლოდ – 210,85 ლარი, თ. პ-მის სასარგებლოდ – 150 ლარი, ჭ. მ-ურის სასარგებლოდ – 145,55 ლარი, ა. მ-შვილის სასარგებლოდ – 192,73 ლარი, ნ. ბ-მის სასარგებლოდ – 1414 ლარი, რ. ს-მის სასარგებლოდ – 1965 ლარი; სარჩელის დანარჩენი ნაწილი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასისა და ერთი თვის გამოსასვლელი დახმარების დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ფ-ძემ, გ. შ-ძემ, ლ. დ-ძემ, ე. დ-ძემ, ნ. მ-ძემ, ზ. ბ-ძემ, ლ. ა-ძემ, ვ. ს-ძემ, ა. ქ-ძემ, ნ. რ-შვილმა, რ. შ-ძემ, შ. თ-ძემ, ზ. მ-ძემ და თ. ა-ძემ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, ხოლო ნ. ფ-მისა და სხვათა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ა-მის, ნ. ფ-მის, მ. მ-მისა და სხვათა სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხეს – აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასი და ერთი თვის გამოსასვლელი დახმარება: ს. ა-მის სასარგებლოდ გადახდა 1397,46 ლარი, ნ. ფ-მის სასარგებლოდ – 1761,14 ლარი, ლ. ხ-ვაშის სასარგებლოდ – 692,36 ლარი, მ. მ-მის სასარგებლოდ – 452,53 ლარი, ც. ფ-ავას სასარგებლოდ – 417 ლარი, გ. შ-მის სასარგებლოდ – 454,9 ლარი, ლ. დ-მის სასარგებლოდ – 645,76 ლარი, ნ. მ-მის სასარგებლოდ – 453,90 ლარი, ბ. ვ-მის სასარგებლოდ – 1187,3 ლარი, ე. დ-მის სასარგებლოდ – 427,8 ლარი, ლ. ხ-მის სასარგებლოდ – 233,45 ლარი, რ. ჭ-შვილის სასარგებლოდ – 221,37 ლარი, ა. გ-მის სასარგებლოდ – 362,89 ლარი, ზ. ბ-მის სასარგებლოდ – 437,34 ლარი, ლ. ა-მის სასარგებლოდ – 336 ლარი, მ. შ-მის სასარგებლოდ – 354 ლარი, ი. შ-მის სასარგებლოდ – 353,98 ლარი, ნ. ბ-მის სასარგებლოდ – 336 ლარი, რ. ა-მის სასარგებლოდ – 155 ლარი, მ. კ-ავას სასარგებლოდ – 155 ლარი, ი. ზ-მის სასარგებლოდ – 155 ლარი, ს. ვ-მის სასარგებლოდ – 148 ლარი, ვ. ს-მის სასარგებლოდ – 496,6 ლარი, ნ. ხ-მის სასარგებლოდ – 386 ლარი, ა. ქ-მის სასარგებლოდ – 370,77 ლარი, ნ. რ-შვილის სასარგებლოდ – 334 ლარი, რ. შ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, შ. თ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, ზ. მ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, ე. ნ-მის სასარგებლოდ – 173,74 ლარი, ხ. ჭ-ას სასარგებლოდ – 315,74 ლარი, ი. ვ-მის სასარგებლოდ – 314,22 ლარი, დ. ნ-მის სასარგებლოდ – 328,7 ლარი, მ. თ-შვილის სასარგებლოდ – 327,28 ლარი, თ. ა-მის სასარგებლოდ – 313,78 ლარი, ტ. ს-მის სასარგებლოდ – 454,83 ლარი, ზ. მ-შვილის სასარგებლოდ – 432,69 ლარი, მ. ქ-მის სასარგებლოდ – 477,79 ლარი, თ. ც-მის სასარგებლოდ – 442,98 ლარი, ნ. ბ-იონის სასარგებლოდ – 147,52 ლარი, ნ. ვ-მის სასარგებლოდ – 336 ლარი, თ. ვაძის სასარგებლოდ – 137,40 ლარი, ვ. ნ-იას სასარგებლოდ – 218,40 ლარი, ნ. ხ-მის სასარგებლოდ – 201,5 ლარი, ლ. ხ-ავას სასარგებლოდ – 177,33 ლარი, ვ. გ-მის სასარგებლოდ – 210,85 ლარი, თ.პ-მის სასარგებლოდ – 150 ლარი, ჭ. მ-რის სასარგებლოდ – 145,55 ლარი, ა. მ-შვილის სასარგებლოდ – 192,73 ლარი, ნ. ბ-მის სასარგებლოდ – 1414 ლარი, რ. ს-მის სასარგებლოდ – 1965 ლარი; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩა უცვლელად.

საპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეორგანიზაციის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 30 მაისის 18 ბრძანებით, გათავისუფლებულ იქნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები, ამ ბრძანებითვე განისაზღვრა ფულადი სარგოს გაცემის პირობები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 29 ივნისის 1201/3 და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 17 ივლისის 1899 ერთობლივი ბრძანებით შექმნილმა კომისიამ ყოფილი «ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის» სამართალმემკვიდრის დადგენის მიზნით შეისწავლა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის საფინანსო დოკუმენტაცია.

საპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანებების გადახდევინების დაკისრების თაობაზე. საპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან არსებულ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ცენტრალური აპარატი, ქ. ბათუმის ხელვაჩაურისა და ქედის რაიონული განყოფილებები, ინვალიდთა სამედიცინო რეაბილიტაციისა და პროფორიენტაციის ცენტრი. საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის 2000 წლის 22 მაისის 17 ბრძანების თანახმად, 2000 წლის 1 ივნისიდან საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტმა და მის დაქვემდებარებაში არსებულმა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა და სამსახურებმა შეწყვიტეს საქმიანობა. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, წინადადება მიეცა აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 2000 წლის 6 ივნისის 14/06 ბრძანების საფუძველზე ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტისა და ქ. ბათუმის განყოფილების ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობები გადასცემოდა სამინისტროს. შესაბამისად, რეორგანიზაციის შედეგად აჭარის ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის უფლებამონაცვლე გახდა აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო. ამ დებულებიდან გამომდინარე, საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოცემულ საქმეზე აჭარის ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის უფლებამონაცვლეებს არ წარმოადგენდნენ.

საპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს დასკვნა სოლიდარულ მოვალედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიჩნევის თაობაზეც და განმარტა, რომ სოლიდარული ვალდებულება შეიძლება არსებობდეს მაშინ, როცა ეს პირდაპირ არის კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული. საპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთ დანაწესს კანონი არ შეიცავდა და არც რაიმე ხელშეკრულება იყო მხარეებს შორის დადებული სოლიდარული ვალდებულების შესახებ.

მოპასუხისათვის სახელფასო თანხისა და კომპენსაციის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებით საპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელები წარმოადგენდნენ საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებდნენ ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო დაწესებულებაში. იმავე კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, მათ უფლება ჰქონდათ, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლებამდე მიეღოთ შრომითი გასამრჯელო, ხოლო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებული იყო მოსარჩელებთან საბოლოო ანგარიშსწორება მოეხდინა არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა. აღნიშნული მოთხოვნა მოპასუხის მიერ არ შესრულებულა.

საპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელფასო დავალიანების მოთხოვნაზე კანონი რაიმე ხანდაზმულობის ვადას არ ითვალისწინებდა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელებულიყო წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ნ. ფ-მისა და სხვათა საპელაციო საჩივრის არგუმენტები და აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა ნაწილის მიერ მოთხოვნილ «მატერიალურ დახმარებას» შრომითი გასამრჯელო, ანუ ხელფასი არ მოიცავდა. მოსარჩელებს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენიათ იმის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, რომ მოპასუხე მხარეს მათ მიმართ შრომითი გასამრჯელოს გარდა ასეთი კონკრეტული ვალდებულებაც გააჩნდა. აპალანტები ვერც იმას ასაბუთებდნენ, თუ საიდან გამომდინარეობდა მათთვის მოპასუხეთა მხრიდან მატერიალური დახმარების ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ეს ნაწილი დაუსაბუთებელი იყო და მას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

საპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული იყო მოსამსახურისათვის სამსახურეობრივი მივლინების ხარჯების



ანაზღაურების ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. მოსარჩელებს სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ იმის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, თუ კონკრეტულად რომელი სამსახურეობრივი მივლინებების ხარჯები იყო მათ მიერ გაწეული. ამასთან, მათი ოდენობა შეესაბამებოდა თუ არა სადავო პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესს, რის გამოც დავის ამ ნაწილს ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნდა და შესაბამისად, მოსარჩელებს სარჩელის ამ ნაწილის დაკმაყოფილებაზე სწორად ეთქვათ უარი საქალაქო სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ამ მოსარჩელეთა მიმართ მოპასუხე მხარის ვალდებულების წარმოშობის კანონის დასახელებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლები არ არსებობდა, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლო იყო.

ამას გარდა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი ხსენებულ ნაწილში ხანდაზმული იყო, რამდენადაც აპელანტი ფიზიკური პირები ამტკიცებდნენ, რომ მოპასუხე მხარეს ვალდებულება 2000-2001 წლებში წარმოეშვა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრული იყო, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა 3 წელს, სარჩელი კი ამ ვალდებულების შესრულებაზე აღძრული იყო 2009 წლის მაისში. აქედან გამომდინარე, დარღვეული იყო კანონის დასახელებული ნორმით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა მოთხოვნასთან დაკავშირებით, რის გამოც სარჩელის ეს ნაწილი გარდა იმისა, რომ იყო უსაფუძვლო, ხანდაზმულიც იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასევე დაუსაბუთებელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა სახელფასო დავალიანების დაფარვის დაგვიანების გამო მოპასუხეებზე დამატებით საურავის დაკისრების შესახებაც, რამდენადაც ასეთი არც მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და გასამრჯელოს ანაზღაურების დაგვიანება არც მოპასუხეთა ბრალით ყოფილა გამოწვეული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასისა და ერთი თვის გასასვლელი დახმარების აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის ა/რ საქმეთა დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, რომ აღნიშნული არ დაუსაბუთებია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს გადაეცა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის გარკვეული ქონება, ის უნდა ჩათვლილიყო მის უფლებამონაცვლედ. აღნიშნულის თაობაზე, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2000 წლის 27 დეკემბრის 111/31-161 წერილის შესაბამისად, აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს ნება მიეცა აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის, მისი საქალაქო და რაიონული განყოფილებებისა და სხვა დაქვემდებარებული საწარმოების ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობანი გადაეცა სოციალური დახმარების შესაბამისი სამსახურებისათვის, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის დაფინანსების წყარო იყო სახელმწიფო ბიუჯეტი და დავის საგანს წარმოადგენდა ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიუღებელი ხალფასები და ერთი თვის გასასვლელი თანხა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად დააკისრა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის საგანი, კერძოდ, მოსარჩელები ითხოვდნენ მიუღებელ 8 თვის ხელფასს და ერთი თვის გასასვლელ დახმარებას. ამდენად, სასამართლოს ჯერ უნდა დაედგინა, თუ ვის მიერ ხდებოდა მოსარჩელებზე ხელფასების გაცემა და ვის მიერ ფინანსდებოდა აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან არსებული ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტისა და აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ 1996 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებული აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ფინანსური სახსრების წყარო იყო საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტიდან მიზნობრივ და პროგრამულ დაფინანსებაზე გამოყოფილი ასიგნებანი, ანუ დეპარტამენტი დაარსების დღიდან ლიკვიდაციამდე ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარ-

ტამენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 14 ოქტომბრის 1665 ბრძანებულებით დამტკიცებული «ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამას» ახორციელებდა და სწორედ აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით იყო შექმნილი იგი.

კასატორის განმარტებით, აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის გაუქმებასთან დაკავშირებით შექმნილი იყო შესაბამისი კომისია, რომელმაც გააკეთა დასკვნა დეპარტამენტის დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია გადაეგზავნა საქართველოს ინვალიდების საქმეთა ყოფილი დეპარტამენტის ბაზაზე შექმნილ საინვენტარიზაციო კომისიას. ამასთან, აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ 2001 წლის 18 ოქტომბრის 125 წერილით საქართველოს ინვალიდების საქმეთა ყოფილი დეპარტამენტის ბაზაზე შექმნილ საინვენტარიზაციო კომისიას გადაუგზავნა აჭარის ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის მოსამსახურეთა ხელფასების დავალიანებათა უწყისები.

კასატორი იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2001 წლის 28 დეკემბრის 18/06-1864 წერილით პროფკავშირების თავმჯდომარეს ეცნობა, რომ «2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული იყო საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან განთავისუფლებული მუშაკების შრომის ანაზღაურებაში წარმოქმნილი დავალიანების სრულად დაფარვა, რისთვისაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მუშავებოდა აღნიშნული დავალიანების დაფარვის გრაფიკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიზნობრივად თანხების მიღებისთანავე აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების დავალიანება იქნებოდა დაკმაყოფილებული. უფრო მეტიც, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული იყო მრავალი დოკუმენტი აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტების თანამშრომლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მათ შორის, 2002 წლის 20 ივნისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 12/31-1235 წერილით აცნობა აჭარის ა/რ მაშინდელ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, რომ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სახელფასო დავალიანების დაფარვა განხორციელდებოდა საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მას შემდეგ რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ დავალიანების დასაფარავად გამოყოფდა შესაბამის სახსრებს. აღნიშნულის გარდა, ერთ-ერთი მოსარჩელის, ნონა მამულაძისათვის მის განცხადებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაგზავნილი არაერთი წერილით ფინანსთა სამინისტრომ ნ. მ-ეს აცნობა, რომ დავალიანების დაფარვის საკითხი განხილული იქნებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარდგენის შემდეგ და დავალიანების დაფარვა განხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

კასატორი აღნიშნავს, რომ «საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 12 მაისის 17 ბრძანებით 2000 წლის 1 ივნისიდან შეწყდა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში არსებული განყოფილებების საქმიანობა. აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეწყვეტილ იქნა აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის დაფინანსება. აღნიშნულის საფუძველზე სამუშაოდან განთავისუფლდნენ აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლებიც. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი გაუქმდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეწყდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისი დაფინანსება.

კასატორი მიუთითებს, რომ 2002 წლის 20 ივნისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 12/31-1235 წერილით აცნობა აჭარის ა/რ მაშინდელ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, რომ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სახელფასო დავალიანების დაფარვა განხორციელდებოდა საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მას შემდეგ რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ დავალიანების დასაფარავად გამოყოფდა შესაბამის სახსრებს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 29 ივნისის 1201/ო და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 17 ივლისის 1899 ბრძანებებით შექმნილი ერთობლივი კომისიის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანიზაციების დარჩენილი სახელფასო დავალიანებების დაფარვა უნდა უზრუნველყოფილიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რისთვისაც დადგენილი წესის შესაბამისად, მას უნდა გამოეყო თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან. კასატორის განმარტებით, ზემოაღნიშნული დოკუმენტები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით დოკუმენტს, რომელიც ადასტურებდა, რომ მოცემული ქმედება განხორციელდებოდა, რაც შეიძლება გამხდარიყო დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

კასატორი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები ითხოვდნენ მიუღებელ ხელფასს, რომლის გაცემასაც ახორციელებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დაედგინა თუ ვინ იყო აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის უფლებამონაცვლე არაფრის მომცემი იყო სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს. ფაქტია, რომ მოსარჩელებს არ მიუღიათ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მათი კუთვნილი შრომის ანაზღაურება და ამ მხრივ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიჩნევა სათანადო მოპასუხედ დაუსაბუთებელი იყო. აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს არასდროს არ გააჩნდა დეპარტამენტის მიმართ ფინანსური ვალდებულება. ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოცემულ საქმეში წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს. საქმის მასალებიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ სათანადო მოპასუხეები იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, რომ აღნიშნული არ დაუსაბუთებია. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ შემოიფარგლა იმის აღნიშვნით, რომ ვინაიდან აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს გადაეცა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის გარკვეული ქონება, ის უნდა ჩათვლილიყო მის უფლებამონაცვლედ. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2000 წლის 27 დეკემბრის 111/31-161 წერილის შესაბამისად, აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს ნება მიეცა აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის, მისი საქალაქო და რაიონული განყოფილებებისა და სხვა დაქვემდებარებული საწარმოების ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობანი გადაეცა სოციალური დახმარების შესაბამისი სამსახურებისათვის, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. სააპელაციო სასამართლომ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ზემოაღნიშნულ საქმეში მოპასუხე მხარედ მხოლოდ იმიტომ ჩართო და დააკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასი და ერთი თვის გასასვლელი დახმარება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადაეცა ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონება (ერთი ქსეროქსის აპარატი, 6 სკამი და ერთი მაცივარი). კასატორის განმარტებით, საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია თუ ვინ ასრულებდა იმ უფლებამოსილებას, რომელიც ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის პრეროგატივა იყო. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონება წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო საკუთრებას და ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტს გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ასევე ნ. ფ-მემ, გ. შ-მემ, ლ. დ-მემ, ე. დ-მემ, ნ. მ-მემ, ზ. ბ-მემ, ლ. ა-მემ, ვ. ს-მემ, ა. ქ-მემ, ნ. რ-შვილმა, რ. შ-მემ, შ. თ-მემ, ზ. მ-მემ და თ. ა-მემ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ნ. ფ-მის, გ. შ-მის, ლ. დ-მის, ე. დ-მის და სხვათა საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით ნ. ფ-მის, გ. შ-მის და სხვათა საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად, ხოლო აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 30 სექტემბერს, 11.30 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ, ვინაიდან მოსარჩელე ფიზიკური პირების საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სადავოდ ხდის მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასისა და ერთი თვის გასასვლელი დახმარების მისთვის დაკისრებას, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში განსახილველ საკითხს წარმოადგენს მხოლოდ იმის დადგენა, თუ ვის უნდა დაეკისროს ხსენებული დავალიანების გადახდა.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 1150 ბრძანებისა და აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 1997 წლის 1 მაისის 11-5/13 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ცენტრალური აპარატი, ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის განყოფილებები, ინვალიდების სამედიცინო რეაბილიტაციისა და პროფორიენტაციის ცენტრი. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (მისი სამართალმემკვიდრეა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) 2000 წლის 22 მარტის 146-ო და ამავე წლის 12 მაისის 183-ო ბრძანებების საფუძველზე განხორციელებული საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ცენტრალური აპარატი, საქალაქო და რაიონული განყოფილებები, ხოლო ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი სამედიცინო-სოციალური მომსახურების დაწესებულებები გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 22 მარტის 147/ო ბრძანებით და საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 28 მარტის 13 ბრძანებით მატერიალური ფასეულობების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების სრული ინვენტარიზაციის მიზნით შეიქმნა კომისია. ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტში შემავალი დაწესებულების ყველა თანამშრომელი გაფრთხილებულ იქნა 2000 წლის 30 მარტიდან მოსალოდნელი საშტატო ერთეულების შემცირების შესახებ. საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 22 მაისის 17 ბრძანებით კი 2000 წლის 1 ივნისიდან შეწყდა დაქვემდებარებული დეპარტამენტების დაფინანსება და ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტმა და მის დაქვემდებარებაში არსებულმა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა შეწყვიტა საქმიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზეც: აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 30 მაისის 18 ბრძანების თანახმად, სამუშაოდან გათავისუფლებულ იქნენ მოსარჩელები და ამავე ბრძანებით დეპარტამენტის ბუღალტრებს დაევალიათ უზრუნველყოთ გათავისუფლებული მუშაკები ხელფასებითა და შესაბამისი კომპენსაციით. რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას უნდა წარდგენოდა ყველა გათავისუფლებული მუშაკის ხელფასის, კომპენსაციის, მივლინებისა და სხვა ხარჯების უწყისები, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა შრომითი ანაზღაურების საკითხი. ეს კომისიები შეიქმნა რეორგანიზაციის პერიოდში, როგორც საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის, ისე აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 3 აპრილის 16 ბრძანებით. მოსარჩელები წარმოადგენდნენ აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის, აჭარის ა/რ ინვალიდთა სამედიცინო რეაბილიტაციისა და პროფორიენტაციის ცენტრის, აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული განყოფილებისა და ქედის რაიონული განყოფილების ყოფილ მუშა-მოსამსახურეებს.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელებზე 1999 წლის 1 სექტემბრიდან 2000 წლის 1 ივნისამდე პერიოდის ხელფასი და კომპენსაციები არ იყო გაცემული. მოსარჩელები სახელფასო დავალიანებების ანაზღაურებას სისტემატურად მოითხოვდნენ სამივე მოპასუხისაგან, რაც დასტურდება საქმეში არსებული აღნიშნული ადრესატებისათვის გაგზავნილი წერილებით, რომლებსგანაც ისინი იღებდნენ პასუხს, რომ სახელფასო დავალიანება მართლაც არსებობდა და მისი გადახდა მოხდებოდა შესაბამისი წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას მოსარჩელებისათვის გაუცემელი ხელფასისა და ერთი თვის გასასვლელი დახმარების გაცემის შესახებ, თუმცა უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ხსენებული დავალიანების აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის (ძალადაკარგულია საქართველოს 02.11.2004 13277 კანონით) მე-3 მუხლის «ბ» პუნქტისა და მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი წარმოადგენდა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც შედიოდა სამთავრობო დაწესებულების – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამგებლობაში (მისი სამართალმემკვიდრეა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო). საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2000 წლის 22 მარტს გამოსცა 146/ო ბრძანება, «საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების საქმიანობის ორგანიზაციული საკითხების შესახებ», ასევე 2000 წლის 12 მაისის 183/ო ბრძანება «ინ-

ვალიდების საქმეთა დეპარტამენტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მის დაქვემდებარებაში მყოფი სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის დაწესებულებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სრულყოფის შესახებ». საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 22 მარტის 147/ო ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის საინვესტიციური კომისია. სწორედ ეს სამართლებრივი აქტები დაედო საფუძვლად ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის რეორგანიზაციას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის 2000 წლის 28 მარტის 13 ბრძანებით, ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სისტემაში შემავალი დაწესებულებების ყველა თანამშრომელი გაფრთხილებულ იქნა 2000 წლის 30 მარტიდან მოსალოდნელი სამსახური ერთეულების გაუქმების შესახებ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე შეიქმნა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის საორგანიზაციო კომისიის მიერ შემუშავებული ფინანსური და საბუღალტრო დოკუმენტების მიმღები და განმხილველი კომისია, რომელსაც ევალებოდა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის მიმართ არსებული კრედიტორულ-დებიტორული დავალიანებათა სამართალმემკვიდრის შესახებ დასკვნის მომზადება.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის 2000 წლის 22 მაისის 17 ბრძანებით გადაწყდა, რომ სამუშაოდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით მოხელეებზე უნდა გაცემულიყო სამსახურიდან განთავისუფლების კომპენსაცია: მოხელეებისთვის 2 თვის თანამდებობრივი სარგო, ხოლო დამხმარე მოსამსახურეებისათვის 1 თვის თანამდებობრივი სარგო. ამასთან, განთავისუფლებულ მუშაკთა საბოლოო ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2001 წლის 28 დეკემბრის წერილზე, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აღიარებს, რომ გასული პერიოდის დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიზნობრივად თანხების მიღებისთანავე აჭარის ა/რ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების დავალიანება პირველ რიგში იქნებოდა დაკმაყოფილებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 29 ივნისის 1201/ო და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 17 ივლისის 1899 ბრძანებებით ისევ შეიქმნა ერთობლივი კომისია ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეობისა და დავალიანებების გადაწყვეტის მიზნით, რომელსაც გადაეცა საფინანსო დოკუმენტაცია, თუმცა არც ამის შემდეგ იყო მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელეთა დავალიანების გადახდის თაობაზე. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კომისიის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ კომისიას ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანიზაციების დარჩენილი სახელფასო დავალიანებების დაფარვა უნდა უზრუნველყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რისთვისაც დადგენილი წესის შესაბამისად მისთვის უნდა გამოყოფილიყო თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

საკასაციო სასამართლო იმის გათვალისწინებით, რომ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი სტრუქტურულად შედიოდა საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროში, რომლის სამართალმემკვიდრესაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენდა, მიუთითებს ასევე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლზე, რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის მიზნით სამინისტროები და უწყებები უზრუნველყოფდნენ მათ ბალანსზე რიცხული წინა წლების კრედიტორული დავალიანებების დაზუსტებული ინფორმაციის წარდგენას დადგენილი ფორმის მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და აღნიშნულის შემდეგ ხდებოდა საბიუჯეტო დავალიანებათა დაფარვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტში შემავალი ყველა ადგილობრივი სამსახური ფინანსდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. შესაბამისად, გათავისუფლებული მუშაკების სახელფასო დავალიანების დაფარვაც უნდა მომხდარიყო საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, რასაც ადასტურებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს წერილიც აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიმართ, რომელშიც მითითებულია, რომ ყოფილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სახელფასო დავალიანების დაფარვა განხორციელდებოდა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მას შემდეგ, რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ დავალიანების დასაფარად გამოყოფდა შესაბამის სახსრებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ მოსარჩელეთა სახელფასო დავალიანებისა და ერთი თვის გასასვლელი დახმარების გადახდის ვალდებულება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკისრება.

საკასაციო სასამართლო ამასთან მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გაცდებდა დაშვებული საკასაციო საჩივრის ფარგლებს და ვერ შეაბრუნებს გადაწყვეტილებას ერთ-ერთი მოსარჩელის საუარესოდ. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებში დაშვებულია ტექნიკური უსწორობანი, კერძოდ, ზ. მ-შვილის ნაცვლად მითითებულია ზ. მ-შვილი, ვ. ნ-იას ნაცვლად – ვ. ნ-ია, ხოლო ნ. რ-შვილის ნაცვლად – ნ. რ-შვილი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით, კერძოდ, სარჩელით, აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ცენტრალური აპატარის მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემი ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და კომპენსაციის შესახებ ცნობით, ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 მაისის სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებით და რიგი სხვა მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ გადაწყვეტილებაში ზ. მ-შვილის ნაცვლად უნდა მიეთითოს ზ. მ-შვილი, ხოლო ვ. ნ-იას ნაცვლად – ვ. ნ-ია. რაც შეეხება საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებში მითითებულ ნ. რ-შვილს, აჭარის ა/რ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ცენტრალური აპატარის მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემი ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და კომპენსაციის შესახებ ცნობით და აჭარის ა/რ სანოტარო აქტით – მინდობილობით დასტურდება, რომ ნ. რ-შვილის ნაცვლად გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ნ. რ-შვილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც წარმოადგენს საკასაციო საჩივრის საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასისა და ერთი თვის გასასვლელი დახმარების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ა-ძის, ნ. ფ-ძის, მ. მ-ძის, ც. ფ-ავას, გ. შ-ძისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრება გაუცემელი ხელფასისა და ერთი თვის გასასვლელი დახმარების გაცემა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :**

1. აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელების სასარგებლოდ გაუცემელი ხელფასისა და ერთი თვის გასასვლელი დახმარების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. ა-ძის, ნ. ფ-ძის, მ. მ-ძის, ც. ფ-ავას, გ. შ-ძისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისროს გაუცემელი ხელფასი და ერთი თვის გასასვლელი დახმარება შემდეგი ოდენობით:
  - ს. ა-ძის სასარგებლოდ – 1397,46 ლარი,
  - ნ. ფ-ძის სასარგებლოდ – 1761,14 ლარი,
  - ლ. ხ-შის სასარგებლოდ – 692,36 ლარი,
  - მ. მ-ძის სასარგებლოდ – 452,53 ლარი,
  - ც. ფ-ავას სასარგებლოდ – 417 ლარი,
  - გ. შ-ძის სასარგებლოდ – 454,9 ლარი,
  - ლ. დ-ძის სასარგებლოდ – 645,76 ლარი,
  - ნ. მ-ძის სასარგებლოდ – 453,90 ლარი,

ბ. ვ-ძის სასარგებლოდ – 1187,3 ლარი,  
ე. დ-ძის სასარგებლოდ – 427,8 ლარი,  
ლ. ხ-ძის სასარგებლოდ – 233,45 ლარი,  
რ. ჭ-შვილის სასარგებლოდ – 221,37 ლარი,  
ა. გ-ძის სასარგებლოდ – 362,89 ლარი,  
ზ. ბ-ძის სასარგებლოდ – 437,34 ლარი,  
ლ. ა-ძის სასარგებლოდ – 336 ლარი,  
მ. შ-ძის სასარგებლოდ – 354 ლარი,  
ი. შ-ძის სასარგებლოდ – 353,98 ლარი,  
ნ. ბ-ძის სასარგებლოდ – 336 ლარი,  
რ. ა-ძის სასარგებლოდ – 155 ლარი,  
მ. კ-ავას სასარგებლოდ – 155 ლარი,  
ი. ზ-ძის სასარგებლოდ – 155 ლარი,  
ს. ვ-ძის სასარგებლოდ – 148 ლარი,  
ვ. ს-ძის სასარგებლოდ – 496,6 ლარი,  
ნ. ხ-ძის სასარგებლოდ – 386 ლარი,  
ა. ქ-ძის სასარგებლოდ – 370,77 ლარი,  
ნ. რ-შვილის სასარგებლოდ – 334 ლარი,  
რ. შ-ძის სასარგებლოდ – 173,74 ლარი,  
შ. თ-ძის სასარგებლოდ – 173,74 ლარი,  
ზ. მ-ძის სასარგებლოდ – 173,74 ლარი,  
ე. ნ-ძის სასარგებლოდ – 173,74 ლარი,  
ხ. ჭ-იას სასარგებლოდ – 315,74 ლარი,  
ი. ვ-ძის სასარგებლოდ – 314,22 ლარი,  
დ. ნ-ძის სასარგებლოდ – 328,7 ლარი,  
მ. თ-შვილის სასარგებლოდ – 327,28 ლარი,  
თ. ა-ძის სასარგებლოდ – 313,78 ლარი,  
ტ. ს-ძის სასარგებლოდ – 454,83 ლარი,  
ზ. მ-შვილის სასარგებლოდ – 432,69 ლარი,  
მ. ქ-ძის სასარგებლოდ – 477,79 ლარი,  
თ. ც-ძის სასარგებლოდ – 442,98 ლარი,  
ნ. ბ-ონის სასარგებლოდ – 147,52 ლარი,  
ნ. ვ-ძის სასარგებლოდ – 336 ლარი,  
თ. ვ-ძის სასარგებლოდ – 137,40 ლარი,  
ვ. ნ-იას სასარგებლოდ – 218,40 ლარი,  
ნ. ხ-ძის სასარგებლოდ – 201,5 ლარი,  
ლ. ხ-ავას სასარგებლოდ – 177,33 ლარი,  
ვ. გ-ძის სასარგებლოდ – 210,85 ლარი,  
თ. პ-ძის სასარგებლოდ – 150 ლარი,  
ჭ. მ-ურის სასარგებლოდ – 145,55 ლარი,  
ა. მ-შვილის სასარგებლოდ – 192,73 ლარი,  
ნ. ბ-ძის სასარგებლოდ – 1414 ლარი,  
რ. ს-ძის სასარგებლოდ – 1965 ლარი.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სახელფასო დავალიანების მიღების უფლება

### განჩინება

ბს-1590-1549(კ-10)

15 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 5 ნოემბერს ქ. კ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრება.

#### საქმის გარემოებები:

მოსარჩელე ქ. კ-მე 1998-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ლაბორატორიაში. ამ წლების განმავლობაში მის მიმართ სამინისტროს წარმოეშვა სახელფასო დავალიანება, ბოლო დროს სამინისტროს სისტემაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული სახელფასო დავალიანების აღიარება მოხდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, რასაც ადასტურებს ამავე სააგენტოს მიერ 2009 წლის 29 ოქტომბერს გაცემული '23-21/2854 ცნობა, თუმცა დავალიანების გადახდა არ მომხდარა, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს მიერ არ განხორციელდა დამატებითი ასიგნების გამოყოფა. ცნობის მიხედვით, მოსარჩელე ქ. კ-მის ხელზე მისაღები თანხა შეადგენდა 412,72 ლარს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელე ქ. კ-მე თავის მოთხოვნას ამყარებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ 2009 წლის 29 ოქტომბრის '23-21/2854 ცნობაზე.

სარჩელის სამართლებრივი გარემოებები:

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ დარღვეულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტი, რომლის თანახმადაც მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), თუმცა, ეს თანხა არ გაუსტუმრებიათ, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს მიერ არ გამოყოფილა დამატებითი ასიგნებები სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოზე.

ამავე კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი – მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

ასევე, საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად – დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1998-2000 წლების ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 381,22 ლარის ოდენობით, ხოლო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2003 წლის ნოემბრის თვის ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 31,50 ლარის ოდენობით, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ქ. კ-მე, იმ პერიოდში, როდესაც მის მიმართ წარმოიშვა სახელფასო დავალიანება, ანუ 1998-2000 წლებში, შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოსთან, კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად საჯარო მოხელეს წარმოადგენდა, რის გამოც მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები. გარდა ამისა, მოსარჩელე ქ. კ-მე 2003 წლიდან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა სსიპ გარემოს დაცვის ლაბორატორიასთან და ამ პერიოდში მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას



უნდა გავრცელდეს საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ, იმ დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 აგვისტოს 1333 ბრძანებულებით «საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში გარემოს დაცვის სფეროში ოპერატიული ანალიზური საქმიანობის წარმართვის მიზნით, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები: ა) სამეგრელოს გარემოს დაცვის ლაბორატორია; ბ) გურიის გარემოს დაცვის ლაბორატორია; გ) შიდა ქართლის გარემოს დაცვის ლაბორატორია; დ) ქვემო ქართლის გარემოს დაცვის ლაბორატორია; ე) სამცხე-ჯავახეთის გარემოს დაცვის ლაბორატორია; ვ) კახეთის გარემოს დაცვის ლაბორატორია. ახლად შექმნილი ზემოთ მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ ყოფილან ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რომელიმე სტრუქტურული ერთეულის უფლებამონაცვლედ.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 31 დეკემბრის 1641 ბრძანებულების მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სამეგრელოს, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის გარემოს დაცვის ლაბორატორიები რეორგანიზებული იქნა და მათ ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – «გარემოს დაცვის ლაბორატორია», რომელიც ასევე არ ყოფილა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რომელიმე სტრუქტურული ერთეულის უფლებამონაცვლედ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 15 თებერვლის 1116 ბრძანებით, ახლად შექმნილი – სსიპ მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი ჩაითვალა რეორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს დაცვის ლაბორატორიის უფლებამონაცვლედ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 6 აგვისტოს 1580 ბრძანებით კი რეორგანიზებული სსიპ მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ზემოაღნიშნული რეორგანიზებული დაწესებულებების უფლებამონაცვლეს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის ქ. კ-ძის სასარგებლოდ 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების – 381,22 ლარის დაკისრების ნაწილში და გასაჩივრებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნული სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის, შემდეგი მოტივით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა, რამდენადაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში არსებული მტკიცებულებები.

აპელანტის მითითებით, რაიონულმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ: «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი. ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის თანხის – 381 ლარის და 22 თეთრის ოდენობით დაკისრების ნაწილში საქმესთან დაკავშირებით არსებული გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებები არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის 11061 ბრძანებულების 1-ელი პუნქტის შესაბამისად, რეორგანიზებულ იქნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი და სივრცული ინფორმაციის ცენტრი, ხოლო მათ ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელიც «საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის და სივრცული ინფორმაციის ცენტრის რეორგანიზაციისა და ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 6 აგვისტოს 1580 ბრძანების 1-ელი პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის უფლებამონაცვლეს.

«სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და მათ ბაზაზე ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 15 თებერვლის 1116 ბრძანების 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი წარმოადგენდა სსიპ – გარემოს დაცვის ლაბორატორიის უფლებამონაცვლეს.

აღსანიშნავია, რომ ცნობა **1998-2003** წლების სახელფასო დავალიანების შესახებ გაცემულია სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, რაც მათი მხრიდან დავალიანების აღიარებას ნიშნავს, ხოლო სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო მიმდინარე წლის **2** თებერვლის **23-15/242** წერილის ასლით ადასტურებს, რომ ქ. კ-ძის სახელფასო დავალიანება ირიცხება სააგენტოს ბალანსზე, რომელიც მიიღო უფლებამონაცვლებით სამინისტროში შემავალი რეორგანიზებული ორგანიზაციებიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – ქ. კ-ძემ, შემდეგი საფუძველით:

სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს კანონი «საჯარო სამსახურის შესახებ», რადგან მოსარჩელე, ქ. კ-ძე **1998-2000** წლებში მუშაობდა რა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ამ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რის გამოც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა მოხელეს. შესაბამისად, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოყენებულ უნდა იქნეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები. გარდა ამისა, მოსარჩელე **2003** წელს შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა სსიპ გარემოს დაცვის ლაბორატორიასთან და ამ პერიოდში მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას უნდა გავრცელდეს საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ, იმ დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ასევე არ ცნო სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოპასუხემ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა სამართლებრივ დასაბუთებას გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და იმ ორგანიზაციას შორის სამართალმემკვიდრეობითი კავშირის არსებობის შესახებ, სადაც მუშაობის პერიოდში მოსარჩელეს წარმოეშვა სახელფასო დავალიანება. შესაბამისად, სააგენტო არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს სახელფასო დავალიანების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში.

«საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **2005** წლის **17** დეკემბრის **11061** ბრძანებულება ადასტურებს სამართალმემკვიდრეობითი კავშირის არსებობას ჯერ მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრთან და შემდეგ გარემოს დაცვის ლაბორატორიასთან. თავის მხრივ სსიპ გარემოს დაცვის ლაბორატორია შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის **2005** წლის **1641** ბრძანებულების «ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ» მე-2 პუნქტის შესაბამისად და წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის **2001** წლის **15** აგვისტოს **1333** ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამართალმემკვიდრეს. აღნიშნული ნორმატიული აქტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ბრძანებულებით გათვალისწინებული ორგანიზაციები არ შექმნილან რეორგანიზაციის რეჟიმში და არ წარმოადგენენ არცერთი მანამდე არსებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრეს. საქართველოს პრეზიდენტის **2001** წლის **1333** ბრძანებულებით შექმნილი ორგანიზაციების დებულებები დამტკიცდა საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის **2002** წლის **5** ივნისის **172** ბრძანებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს დებულების დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის მომენტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010** წლის **31** მარტის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **28** დეკემბრის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიჩნია დასაბუთებულად და კანონიერად, ვინაიდან აპელანტს არ წარუდგენია გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის **393-ე-394-ე** მუხლებით გათვალისწინებული საფუძველები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010** წლის **31** მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის დაკისრებული სახელფასო დავალიანების – **381,22** ლარის ანაზღაურების დაკისრება სსიპ გარემოს დაცვის სააგენტოსათვის შემდეგი მოტივით:

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით.

კასატორის მითითებით, ცნობა 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების შესახებ გაცემულია სსიპ გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ, რაც მათი მხრიდან დავალიანების აღიარებას ნიშნავს, ამასთან, სსიპ გარემოს დაცვის სააგენტოს 123-15/242 წერილში სააგენტო ადასტურებს, რომ ქ. კ-ძის სახელფასო დავალიანება ირიცხება სააგენტოს ბალანსზე, რომელიც მიიღო უფლებამონაცვლებით სამინისტროში შემავალი რეორგანიზებული ორგანიზაციებიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ ცნო სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 11 იანვრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლა-გაანალიზებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, განჩინება სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საქმის მასალებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ქ. კ-ძე 1998-2000 წლებში, რა პერიოდის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებაც წარმოადგენს დავის საგანს, მუშაობდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში – გარემოს მონიტორინგის ცენტრში, ხოლო 2005 წლის 4 იანვრის ბრძანების საფუძველზე გადაყვანილ იქნა გარემოს დაცვის ლაბორატორიაში, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შრომის წიგნაკით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ქ. კ-ძე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს, შესაბამისად, სადავო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სასამართლომ მართებულად გაავრცელა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-7 და «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის» 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის თანახმად, საჯარო მოხელეს ხელფასი ეძლევა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, განსაზღვრულია საჯარო მოხელისათვის ხელფასის გაცემის პერიოდი, რაც მოიცავს დროს – სამსახურში მიღებიდან გათავისუფლებამდე. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია, რომ მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი, ხოლო საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება გახდეს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მუშაკის სახელფასო და კანონით გათვალისწინებული სხვა სოციალური გარანტიების დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება იმ ორგანოს, რომელთანაც შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა მუშაკი.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ ქ. კ-ძის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურება უნდა მოხდეს არა სამინისტროს, არამედ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნული მოტივის დასაბუთებულად კასატორი უთითებს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე, რომელთა ანალიზი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ იძლევა ამგვარი დასკვნის საფუძველს.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 აგვისტოს 1333 ბრძანებულებით «საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სამეგრელოს, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის გარემოს დაცვის ლაბორატორიების შექმნის შესახებ», საქართველოს ზოგიერთ რეგიონში გარემოს დაცვის სფეროში ოპერატიული ანალიზური საქმიანობის წარმართვის მიზნით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სამეგრელოს, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის გარემოს დაცვის ლაბორატორიები, რომელიც არ ყოფილა ცნობილი სამინისტროს რომელიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებამონაცვლედ. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 31 დეკემბრის 1641 ბრძანებულებით «ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ», საჯარო სამართლის იუ-

რიდიული პირების – სამეგრელოს, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის გარემოს დაცვის ლაბორატორიების რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა სსიპ «გარემოს დაცვის ლაბორატორია». ამავე ბრძანებულებით შეიქმნა სსიპ «საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის სამსახური», რომელიც ასევე არ წარმოადგენდა რომელიმე ორგანოს უფლებამონაცვლეს. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის 11061 ბრძანებულებით «საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ» განხორციელდა სსიპ «საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის სამსახურისა» და სსიპ «გარემოს დაცვის ლაბორატორიის» რეორგანიზაცია და მათ ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 6 აგვისტოს 1580 ბრძანებით, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 31 ივლისის 1390 ბრძანებულების შესაბამისად, განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების – მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის, ასევე სივრცითი ინფორმაციის ცენტრის რეორგანიზაცია და მათ ბაზაზე შეიქმნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელიც ცნობილ იქნა რეორგანიზებული იურიდიული პირების უფლებამონაცვლედ.

ამდენად, მითითებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს სსიპ მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის უფლებამონაცვლეს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სსიპ «საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის სამსახურისა» და სსიპ «გარემოს დაცვის ლაბორატორიის» ბაზაზე შექმნილ ორგანიზაციას, მაგრამ იგი ვერ განიხილება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის – გარემოს მონიტორინგის ცენტრის უფლებამონაცვლედ, რომელთანაც 1998-2000 წლებში შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ქ. კ-ძე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის დავალიანების ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი და ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, როგორც მის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული ასევე კასატორის არგუმენტი, რომ ქ. კ-ძის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანება აღიარებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი 2009 წლის 29 ოქტომბერს გაცემული 123-21/2854 ცნობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, «2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს დაფარვის წესის შესაბამისად». ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, რაც წარმოადგენს დავალიანების კანონისმიერ აღიარებას არსებული დავალიანების დაფარვაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პრემიის სახით დავალიანების ანაზღაურება და სამკურნალო დახმარებაზე ხანდაზმულობის ვადის  
გავრცელება

გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით

ბს-1588-1547(კ-10)

13 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ღ-ამ 24.02.10წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს კონტროლის პალატის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის მისი კუთვნილი ხელფასის 1189,86 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში. მოპასუხე ორგანიზაციას გააჩნდა მის მიმართ სახელფასო დავალიანება, რომელიც შეადგენს 1189,86 ლარს, რომლის ანაზღაურებაზეც უარს აცხადებს მოპასუხე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.03.10წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ღ-ას სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს კონტროლის პალატის მიმართ, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე საქართველოს კონტროლის პალატას მოსარჩელე გ. ღ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 1998-1999-2000 და 2003 წლების ხელზე გასაცემი სახელფასო (გარდა პრემიის და სამკურნალო დახმარებისა) დავალიანების ანაზღაურება, სულ – 24.66 ლარის ოდენობით, მოსარჩელე გ. ღ-ას უარი ეთქვა მოპასუხე – საქართველოს კონტროლის პალატისათვის 1998-1999-2000 წლების პრემიის და სამკურნალო დახმარების ანაზღაურებაზე – 465.20 ლარის ოდენობით, ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ღ-ამ და საქართველოს კონტროლის პალატამ.

მოსარჩელისათვის 1998-2000 წლების პრემიის და მატერიალური დახმარების, რაც შეადგენს – 465,20 ლარს, ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად სასამართლომ მიიჩნია სარჩელის ხანდაზმულობა და მიუთითა, რომ პრემია და მატერიალური დახმარება წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახეებისგან, კერძოდ პრემიისაგან და მატერიალური დახმარებისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლში. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს კონტროლის პალატის 16.02.10წ. 1102/04 და 05.03.10წ. 118/08 წერილები განხილული რომ იყოს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მათში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე. ამასთან, ისინი აუცილებლად უნდა შეიცავდნენ ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს. მოცემულ შემთხვევაში წერილები არ შეიცავენ ზემოთ აღნიშნულ არცერთ ელემენტს, მათში მხოლოდ მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული ინფორმაციული მონაცემებია დაფიქსირებული სახელფასო დავალიანების არსებობის შესახებ. რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელფასის თანხების დავალიანების აუნაზღაურებლობას, სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს – სამართალურთიერთობის სტაბილურობის, კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრინციპებს, სახელმწიფოს პოლიტიკას პრიორიტეტულად დაიცვას ადამიანის უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები და შრომის სამართლიანი ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.03.10წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. ღ-ასა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.05.10წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.03.10წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე გაიზიარა 1-ელი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები და შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.05.10წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ღ-ამ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლი და საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე მხარეთა წერილობითი თანხმობის არარსებობის მიუხედავად. კასატორის განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის გაცემა ხორციელდება წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ კუთვნილ თანხაში შედიოდა პრემიისა და მატერიალური დახმარების თანხები. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ მის მოთხოვნაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდებოდა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სადავო დავალიანება აღიარებული იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.11წ. განჩინებით გ. ლ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

კასატორმა საქმის განხილვის დროს 13.04.11წ. სასამართლო სხდომაზე დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის პრემიისა და სამკურნალო დახმარების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილება მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ გ. ლ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.10წ. განჩინება გ. ლ-თვის პრემიის სახით ასანაზღაურებელი თანხის 318,20 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ლ-ას სარჩელი საქართველოს კონტროლის პალატისთვის პრემიის 318,20 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პრემიის 318,20 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.10წ. განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ლ-ა სამსახურეობრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს კონტროლის პალატასთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოთხოვნები. აღნიშნული კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ არის მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. საქართველოს კონტროლის პალატის 05.03.10წ. ცნობით დასტურდება, რომ გ. ლ-ას 1998-2000 წლებისა და 2003 წლის ხელზე მისაღები შრომის ანაზღაურება შეადგენს 1189,86 ლარს, მათ შორის ხელფასი – 724,66 ლარს, პრემია – 318,2 ლარს და სამკურნალო დახმარება – 147 ლარს. მოსამსახურეზე პრემიის გაცემა ადმინისტრაციის მიერ ხდება საქმიანობის შედეგების მიხედვით, მუშაკის მატერიალური წახალისების, საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის ამალღების მიზნით. მხედველობაშია მისაღები, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი შეადგენს არა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, არამედ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, რომელიც დასტურდება ზემოაღნიშნული ცნობით. ცნობით დასტურდება მოპასუხის მიერ გაწეული სამუშაოსათვის პრემიის თანხების გამოყოფა, რაც თავის მხრივ უქმნიდა მოსარჩელეს მისი მიღების სამართლიან მოლოდინს. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან განთავისუფლებისას) შესაბამისად, სამსახურიდან განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის შესაბამისად ხელფასი მოიცავს პრემიას. ვინაიდან პრემიის თანხის დავალიანება არ განეკუთვნება კომპენსაციას და სახეზე არ არის «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის მოთხოვნა, შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოთხოვნის ამ ნაწილის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულად მიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არასწორად განმარტეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე და 134<sup>1</sup> მუხლები და გამოიყენეს კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინათ, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც განსაზღვრულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება საქართველოს კონტროლის პალატისთვის გ. ლ-

ას სასარგებლოდ პრემიალური თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას გ. ღ-თვის სამკურნალო დახმარების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ და თვლის, რომ მოთხოვნა ამ ნაწილში მართებულად არ დაკმაყოფილდა. სამკურნალო დახმარების ანაზღაურება წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამკურნალო დახმარების ანაზღაურება არ არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი. ვინაიდან სამკურნალო დახმარების ანაზღაურება წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, მასზე ვერ გავრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლის დებულება. მოსამსახურეზე სამკურნალო დახმარების თანხის გაცემის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამკურნალო დახმარების კომპენსაციის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რომელიც აითვლება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1999-2000 წლების სამკურნალო დახმარების თანხები. შესაბამისად, სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (24.02.10წ.) გასული იყო ხანდაზმულობის კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. საქმეში დაცული საქართველოს კონტროლის პალატის 05.03.10წ. და 16.02.10წ. ცნობებით არ დასტურდება ვალის აღიარება, ვინაიდან ცნობები ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და მოთხოვნის აღიარება არ არის იდენტური, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო მოთხოვნის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, მოპასუხის მიერ დავალიანების ფაქტის აღიარება არ ნიშნავს მისი გადახდის აღიარებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გ. ღ-ზე გაცემული ცნობები, რომლებიც შეიცავენ მის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტებია და არ წარმოადგენენ დავალიანების აღიარებას, თანხის გადახდის დაპირებას და მასადავად ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის და მისი ათვლის თავიდან დაწყების პირობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამკურნალო დახმარების ანაზღაურების საქართველოს კონტროლის პალატისთვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

საქმის მასალებით არ დასტურდება სააპელაციო პალატის მიერ სსკ-ის 391-ე მუხლის დარღვევით საქმის განხილვა, სააპელაციო საჩივრებით აპელანტები ითხოვდნენ პირველი ინსტანციის გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმებას სამართლებრივი თვალსაზრისით, საქმის ფაქტობრივი გარემოებები დავას არ იწვევდა, აპელანტ გ. ღ-ას წარმომადგენელს წინასწარ ეცნობა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე სააპელაციო საჩივრის განხილვის შესახებ, ამდენად არ დასტურდება საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 376<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნის დარღვევით საქმის განხილვის შესახებ. ამასთანავე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები დავას არ იწვევს, ამ მიმართებით კასატორს არ წარმოუდგენია რაიმე პრეტენზია, ხოლო სამართლებრივი შეფასება ქმნის არა საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო პალატისათვის დაბრუნების, არამედ გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. გ. ღ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.10წ. განჩინება გ. ღ-თვის პრემიის სახით ასანაზღაურებელი თანხის 318,20 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ლ-ას სარჩელი საქართველოს კონტროლის პალატისათვის მისი კუთვნილი პრემიის 318,20 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს და საქართველოს კონტროლის პალატას გ. ლ-ას სასარგებლოდ დაეკისროს პრემიის 318,20 ლარის გადახდა;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.10წ. განჩინება დარჩეს უცვლელად;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამუშაოზე აღდგენა; განაცდურის ანაზღაურება

### სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

#### განჩინება

ბს-1148-1095(კ-09)

26 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წევპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოაკვირა:

მ. თ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, მესამე პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15373-პ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

#### საქმის გარემოებები:

მოსარჩელე მ. თ-მე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ადმინისტრაციის სპეციალისტის თანამდებობაზე, საიდანაც გათავისუფლდა 2008 წლის 1 აგვისტოს 15373-პ ბრძანებით. აღნიშნულ ბრძანებაში სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველად მითითებული იყო «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 16.1 მუხლის «ზ» და «ნ» ქვეპუნქტები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისისა და გორის რეგიონალური ცენტრების რეორგანიზაციის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 20 ივნისის 1539 ბრძანების მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის 1170 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების» 5.2 მუხლის «ვ» და «ზ» ქვეპუნქტები და თბილისის რეგიონალური ცენტრის უფროსის 2008 წლის 31 ივლისის 16-17-07/3927 წარდგინება.

#### სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელის მითითებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება უკანონო იყო, რამდენადაც საფუძველად დაედო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 20 ივნისის 1539 ბრძანება, რომელიც ეხებოდა რეორგანიზაციას, ხოლო როგორ ჩატარდა რეორგანიზაცია და შესრულდა თუ არა აღნიშნული ბრძანების მოთხოვნები, მოსარჩელისათვის გაურკვეველი იყო, ვინაიდან მის გათავისუფლებას საფუძველად არ ედო უკვე დამტკიცებული საშტატო განრიგები, საიდანაც ნათლად გამოჩნდებოდა, რამდენად შესრულდა რეორგანიზაციის შესახებ ბრძანების მოთხოვნები.

#### სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე, 127-ე მუხლები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტი, მე-60<sup>1</sup>, 53-ე 96-ე მუხლები და მიიჩნია, რომ დარღვეული იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის მოთხოვნები, სადავო აქტი არ იყო დასაბუთებული და მისი გამოცემისას არ იყო გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემო-



სავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 16.1 მუხლი ითვალისწინებდა მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველზე შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირებისას და სამსახურის ან მისი სტრუქტურული რეორგანიზაციისას ან/და ლიკვიდაციისას. «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისისა და გორის რეგიონალურ ცენტრებში რეორგანიზაციის შესახებ» საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 20 ივნისის 1539 ბრძანების შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით.

მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელემ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ რეორგანიზაცია განხორციელდა როგორც შტატების შემცირებით, ისე – ფუნქციონალურადაც. კერძოდ, გაუქმდა ის სამშატო ერთეული, სადაც მოსარჩელე მუშაობდა. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ითვალისწინებდა სამომავლო უფლების აღდგენას. ამასთან, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში მუშაკი არ იქნებოდა აღდგენილი თანამდებობაზე, თუ მისი კვალიფიკაცია ვერ დააკმაყოფილებდა იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც წარედგინებოდა პირს სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ გაზრდილი ხელფასის პირობებში. ასევე არ არსებობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1 მუხლის გამოყენების წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. თ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

2008 წლის 27 ივნისის მოსარჩელე – მ. თ-მე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 208.1 მუხლის საფუძველზე გაფრთხილებულ იქნა გორისა და თბილისის რეგიონალური ცენტრების რეორგანიზაციის გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15371-3 ბრძანებით მ. თ-მე გათავისუფლდა თბილისის რეგიონალური ცენტრის ადმინისტრაციის ... თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე წარმოადგენდა თბილისის რეგიონალური ცენტრის უფროსის 2007 წლის 31 ივლისის 116-17-07/3927 წარდგინება.

დადგენილია, რომ 2008 წლის 1 აგვისტომდე განხორციელდა შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის რეორგანიზაცია შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციად და შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის რეორგანიზაცია (შტატების შემცირებით), გორის რეგიონალური ცენტრის საბაჟო გამშვები პუნქტის «ყაზბეგის» შეერთებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 იანვრის 133 ბრძანების შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2008 წლის 7 აპრილის 1627 ბრძანებით დამტკიცებული სამშატო ნუსხები შეიცვალა და დამტკიცდა ამ ბრძანების დანართების შესაბამისად. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2008 წლის 1 აგვისტოს 11826 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის სამშატო ნუსხა, რომლის თანახმად, სამშატო ერთეულის რაოდენობა განისაზღვრა 561 ერთეულით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ რეორგანიზაციის შედეგად შტატები შემცირდა. კერძოდ, ადმინისტრაციის სამმართველო შედგებოდა 59 სამშატო ერთეულისაგან, ხოლო ადმინისტრაციის სპეციალისტის თანამდებობა რეორგანიზაციამდე იყო 28 ერთეული. რეორგანიზაციის შემდეგ ადმინისტრაციის სამმართველო შედგებოდა 49 სამშატო ერთეულისაგან, ხოლო ადმინისტრაციის სპეციალისტთა რაოდენობა განისაზღვრა 21 სამშატო ერთეულით.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. ამავე კანონის 12.2 მუხლით რეგლამენტირებული იყო, რომ სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი განისაზღვრებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. სამსახურის მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრებოდა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის შესაბამისად დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მოქმედება სამსახურის მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით სხვაგვარად არ წესრიგდებოდა შესაბამისი სამსახურებრივი ურთიერთობები. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 11.2 მუხლის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება ამ პუნქტში ჩამოთვლილ მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. ასეთ მოსამსახურეებს «ე» ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეები. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრძანება მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონს, თუ «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველები რეგლამენტირებული იყო «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 16.1 მუხლით, რომლის «ზ» და «ნ» ქვეპუნქტების თანახმად, შტატებით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება და სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია წარმოადგენდა მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. ამასთან, ამავე კანონის 22.5 მუხლის თანახმად, შემოსავლების სამსახურში და სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებში, განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ინიშნებოდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებულ/რეორგანიზებულ თანამდებობებზე, ტერიტორიულ ორგანოებში და სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მომუშავე პირები. ის თანამშრომლები, რომელთა გადაყვანა შემოსავლების სამსახურში ვერ ხერხდებოდა სამსახურის ან ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის ნაწილის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ერთეულის საშტატო რიცხოვნობიდან ან შესაბამისი თანამდებობრივი რანგიდან გამომდინარე, ითვლებოდნენ სამსახურიდან განთავისუფლებულებად.

საქალაქო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96.2 მუხლზე, რომლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა მოხელის განთავისუფლების საფუძველს. დაწესებულების რეორგანიზაციას როდესაც თან სდევდა შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლებულიყო სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო მითითებული ნორმის 1-ელი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება განთავისუფლებულიყო სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. კონკრეტულ შემთხვევაში, რეორგანიზაცია განხორციელდა შტატების შემცირებით, კერძოდ, ადმინისტრაციის ... თანამდებობა რეორგანიზაციამდე იყო 28 ერთეული, რეორგანიზაციის შემდეგ კი აღნიშნული თანამდებობა განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით. ამდენად, მოსარჩელის აპელირება, რომ მოპასუხე ვერ ასაბუთებდა, თუ რატომ ვერ ხერხდებოდა მისი სამსახურში აღდგენა, არ იყო მართებული. შტატების შემცირების პირობებში, ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა და ვერ გახდებოდა სასამართლოს მსჯელობის საგანი. კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მოქმედებდა კანონით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, სარჩელი უსაფუძველო იყო, ვინაიდან დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, მოპასუხემ არ დაიცვა «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი დებულებები. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც, სასარჩელო მოთხოვნა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისა და მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ, უსაფუძველო იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-მემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, მის მიერ წარდგენილი შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის სტრუქტურა და საშტატო ნუსხები 2008 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით. მოცემულ ნუსხებში თანამდებობისა და გვარ-სახელების მითითებით აღნიშნული იყო რეორგანიზაციამდე არსებულ საჯარო მოხელეთა და რეორგანიზაციის შემდეგ დანიშნულ საჯარო მოხელეთა ნუსხა, რომელთა შედარებისას ნათლად ირკვეოდა, რომ რეორგანიზაციის დროს მოსარჩელის – ... თანამდებობაზე დანიშნული იყო 4 ისეთი ახალი მოხელე, რომლებიც რეორგანიზაციამდე არ მუშაობდნენ ადმინისტრაციის ... თანამდებობაზე. აღნიშნული გარემოება სასამართლომ მიერ სწორად არ შეფასდა, როდესაც განმარტა, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ცნო სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით მ. თ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. თ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15371-პ ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მოპასუხეს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა

ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; მოპასუხეს ასევე დაევალა, აენაზღაურებინა მოსარჩელისთვის განაცდური ხელფასი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა სასამართლო კოლეგიის მიერ დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ გაიზიარა მათგან გამომდინარე სამართლებრივი დასკვნები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ საშტატო ერთეულების რაოდენობის შემცირება არ ქმნიდა მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველად მითითებულ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის 1539 ბრძანების «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისისა და გორის რეგიონალური ცენტრების რეორგანიზაციის შესახებ» მე-4 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდებოდა თბილისისა და გორის რეგიონალური ცენტრების მოსამსახურეთა გადაყვანა თბილისის რეგიონალური ცენტრის და გორის საგადასახადო ინსპექციის შესაბამის თანამდებობაზე, ისინი ითვლებოდნენ სამსახურიდან განთავისუფლებულებად. ამ აქტით საშტატო ერთეულთა შემცირების გარდა დადგინდა მოსამსახურეთა თანამდებობიდან გათავისუფლების დამატებითი პირობა – მოსარჩელის თბილისის (მოცემულ შემთხვევასთან მიმართებაში) რეგიონალური ცენტრის შესაბამის თანამდებობაზე გადაყვანის შესაძლებლობა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ რეორგანიზაციის შემდეგ თბილისის რეგიონალური ცენტრის ადმინისტრაციაში მომუშავე გათავისუფლებული თანამშრომლების ნაცვლად მიღებულ იქნა 4 ახალი მუშაკი, რაც ადასტურებდა მ. თ-ძის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების ობიექტურ შესაძლებლობას, მიუხედავად შტატების შემცირებისა.

პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა, მაგრამ იგი უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სრულყოფილად ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგს. მისი წინაპირობა კი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილი, საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და შეფასება იყო. პალატამ აღნიშნა, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანებით დაირღვა მოსარჩელის კანონიერი უფლებები, ვინაიდან საქმეში წარდგენილი მასალებით არ დადასტურდა, ჩაატარა თუ არა ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოება ზემოაღნიშნული საკითხების გამოსაკვლევად. ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მისი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება. ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, არსებობდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ აპელანტის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე საფუძველიანი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, ვინაიდან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის განთავისუფლება სამსახურიდან, ხოლო მოსარჩელის განთავისუფლების ბრძანება ამ ეტაპზე ბათილად იყო ცნობილი და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი და შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგი მოტივით:

#### **კასაციის მოტივი:**

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ასევე გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული – გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორის მითითებით, «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 16.1 მუხლი ითვალისწინებს მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველებს: ზ) შტატებით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირებისას და ნ) სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციისას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისისა და გორის რეგიონალური ცენტრებში რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის 1539 ბრძანების შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატე-

ბის შემცირებით. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატამ უფლებელყო ის გარემოება, რომ ნამდვილად განხორციელდა შტატების შემცირება. ადმინისტრაციის სპეციალისტების რაოდენობა რეორგანიზაციამდე იყო 28 სამშატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ კი აღნიშნული თანამდებობა განისაზღვრა 21 სამშატო ერთეულით, ამდენად, ცალსახად დადასტურებულია ის გარემოება, რომ შტატების შემცირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და აღნიშნული გათავისუფლების კანონიერ საფუძველს ქმნიდა. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სადავო ბრძანების მომზადებისა და გამოცემისას არ დარღვეულა კანონმდებლობით დადგენილი წესები. ამდენად, სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები არ წარმოშობს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «გ» პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ არ ცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძველობის მოტივით და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა არასრულყოფილად და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას თვითონ გადაეწყვიტა, თუ რა კონკრეტული თანამდებობა უნდა ყოფილიყო შეთავაზებული აპელანტისათვის და გააჩნდა თუ არა მას სადავო ბრძანების გამოცემის დროს მომუშავე სხვა მოხელეებთან შედარებით სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო მ. თ-ძის გათავისუფლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15371-პ ბრძანება და დაავალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. თ-ძის სამსახურებრივ საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვე-

ვამი, თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნათა დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რამდენადაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. თ-მე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ადმინისტრაციის ... თანამდებობაზე, საიდანაც რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო განთავისუფლდა 2008 წლის 1 აგვისტოს 15373-პ ბრძანებით.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის პრეამბულის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მოხელე შეიძლება განთავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას. «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ასევე გათვალისწინებულია მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლება შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირებისას, სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების რეორგანიზაციისას ან/და ლიკვიდაციისას.

«საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის და გორის რეგიონალურ ცენტრებში (საგადასახადო ინსპექციებში) რეორგანიზაციის შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის 1539 ბრძანების თანახმად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით. აღნიშნული ბრძანებით დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ თბილისის და გორის რეგიონალური ცენტრების (საგადასახადო ინსპექციების) მოსამსახურეთა გადაყვანა ვერ ხერხდება თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) და გორის საგადასახადო ინსპექციის შესაბამის თანამდებობაზე, ისინი ითვლებიან სამსახურიდან გათავისუფლებულებად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რადგან მითითებული ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი, მაგრამ ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტი გამოსცა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და თუ ამ დარღვევის არარსებობისას სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ თბილისის რეგიონალური ცენტრის ადმინისტრაციაში მომუშავე გათავისუფლებული თანამშრომლების ნაცვლად 4 ახალი მუშაკის მიღება, ადასტურებდა მ. თ-ძის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების ობიექტურ შესაძლებლობას, მიუხედავად შტატების შემცირებისა, არ გამომდინარეობს საქმის მასალების ობიექტური შეფასებიდან. სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის შესახებ, რომ არ გამოუკვლევია, ადმინისტრაციულ ორგანოში რა კრიტერიუმებით შეირჩა თანამშრომლები; 4 ახალი თანამშრომელი, რომლებიც დაინიშნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ადმინისტრაციის ... თანამდებობაზე, შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულებიდან გადმოიყვანეს, თუ ისინი არიან ის მოხელეები, რომლებსაც ამ სამსახურში მანამდე არ უმსახურიათ. სააპელაციო სასამართლომ უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები და იმსჯელოს, ახალი თანამშრომლები, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოში დაინიშნენ მ. თ-ძის გათავისუფლების შემდეგ, რა თანამდებობებზე მუშაობდნენ რეორგანიზაციამდე ამავე სტრუქტურაში.

სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების საფუძველზე უნდა დაასკვნას – ადმინისტრაციის მიერ მ. თ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებისას შესრულდა თუ არა «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის და გორის რეგიონალურ ცენტრებში (საგადასახადო ინსპექციებში) რეორგანიზაციის შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის 1539 ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმები სრულყოფილად, ობიექტურად არსებობდა თუ არა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტობრივი წინაპირობები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა მოპოვების, გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე თავად უნდა იმსჯელოს არსებითად სარჩელის საფუძვლიანობაზე – გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალურ-მატერიალურ კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქ-

მედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს ფაქტები და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სარჩელის საფუძველიანობაზე, სადავო ბრძანების კანონიერება-დასაბუთებულობაზე – სადავო აქტში არის თუ არა დასაბუთებული, თუ რატომ უნდა გათავისუფლებულიყო მ. თ-ძე და არა ამავე განყოფილებაში (სტრუქტურაში) მომუშავე სხვა თანამშრომელი, ანუ, რა კრიტერიუმებით შეფასდა რეორგანიზაციის გამო გასათავისუფლებელ პირთა წრე და გათავისუფლების საფუძველები სრულყოფილად არის თუ არა მითითებული სადავო ბრძანებაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ თანამშრომლების დასაქმების საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, თუმცა ამავე დროულად საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არასაკმარისად არის დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული საჯარო მოხელის, არამედ, მთლიანად საჯარო სამსახურისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მ. თ-ძესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაშიც, შეზღუდული იყო კანონის მოთხოვნის ფარგლებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განხორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას შეფასება უნდა მისცეს იმ ფაქტს, მოხდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მ. თ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებისას საქმის გარემოებების სრულყოფილი შეფასება და გამოკვლევა, კანონმდებლობის ზემოაღნიშნული მოთხოვნები დაცულია თუ არა მ. თ-ძის გათავისუფლებისას, სასამართლომ ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმეზე ყველა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არსებითი ხასიათისაა დავის კანონიერად გადაწყვეტისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად შეუძლებელია საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას არ იქნა დადგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-

ცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უნდა გამოიკვლიოს მითითებული გარემოებები ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 391-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **იძულებით გაცდენილი დროის ნამსახურებ წლებში ჩათვლა**

#### **განჩინება**

1ბს-874-836 (კ-09)

2 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებით გაცდენილი დროის ნამსახურებ წლებში ჩათვლა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. უ-ძემ 2006 წლის 31 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სხვა თანამდებობის შეთავაზების დავალეზა მოითხოვა. მოსარჩელემ განმარტა, რომ 1991 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, 1996 წლიდან – საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ... მასწავლებლის თანამდებობაზე. 2004 წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე იგი იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, რა დროსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11/541 ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, ისე რომ აღნიშნულის შესახებ გაფრთხილებული არ ყოფილა, რითაც დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 111-ე მუხლის მოთხოვნა. ე. უ-ძის განცხადებით, მოპასუხე პირდებოდა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენას, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანებით დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან, რის გამოც მიმართა სასამართლოს ზემოხსენებული ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით, ე. უ-ძის სასარჩელო განცხადება ბრძანებების ბათილად ცნობისა და მოპასუხეზე სანივთე ქონების კომპენსაციის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს დაეკისრა 1038,48 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა ხანდაზმულობის გამო. ე. უ-ძის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, თბილისის საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დროს მოპასუხის მხრიდან დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მოთხოვნები, 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება ხსენებული ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ. ამავე სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სასარჩელო მოთხოვნა 2004 წლის 24 ივლისის 11/541 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლის შესახებ, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო შეწყდა საქმის წარმოება.

მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაჩივრებულ იქნა საკასაციო წესით, მაგრამ გასაჩივრების ერთთვიანი ვადის გაშვების გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გამოწერილ იქნა სააღსრულებო ფურცელი და შესაბამისად, წარდგენილ იქნა თბილისის სააღსრულებო ბიუროში იძულებით აღსრულების მიზნით. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არ აღასრულა სასამართლო გადაწყვეტილება და ნაცვლად იმისა, რომ ბათილად ეცნო თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანება და შესაბამისად, კადრების განკარგულებაში მყოფი პირისათვის შეეთავაზებინა ოფიცის ნებისმიერი თანამდებობა, ცვლილება შეიტანა მასში, ე. უ-ძე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2004 წლის 25 ნოემბრიდან თითქმის 2 წლის უკანდახვევით და ჩარიცხეს რეზერვში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. უ-ძეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. უ-ძე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ... მასწავლებლად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 24 ივლისის 11/541 ბრძანებით დასტურდება, რომ ე. უ-ძე შტატების გაუქმებასთან დაკავშირებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და 2004 წლის 25 ივლისიდან გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, ე. უ-ძე «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან და ჩარიცხა რეზერვში.

აღნიშნული ბრძანებების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდური დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლის შესახებ სასარჩელო მოთხოვნით ე. უ-ძემ მიმართა სასამართლოს; თბილისის საოლქო სასამართლოში მოსარჩელემ სარჩელზე უარი თქვა ნაწილობრივ, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 24 ივლისის 11/541 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლის ნაწილში, შესაბამისად, აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნაზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო შეწყდა წარმოება, ხოლო ამავე დღეს თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც ე. უ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩენილ ნაწილში დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება ხსენებული ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის – ე. უ-ძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არ შეასრულა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან არ ცნო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანება ბათილად და შესაბამისად, არ შესთავაზა მას სხვა თანამდებობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებით დასტურდება, რომ ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეტანილ იქნა ნაწილობრივი ცვლილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანებაში და გაუქმდა ხსენებული ბრძანების 44-ე პუნქტი ვიცე-პოლკოვნიკ ე. უ-ძის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ სადავო ბრძანებით ცვლილება კი არ შევიდა 2004 წლის 04 ოქტომბრის 11/810 ბრძანებაში, არამედ ბათილად იქნა ცნობილი ხსენებული ბრძანების ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ე. უ-ძის სამსახურიდან დათხოვნას, მაგრამ ამავდროულად ახალი ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რადგან სპეციალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მისთვის სხვა თანამდებობის შეთავაზების ალბათობას და სახეზე იყო ახალი კანონისმიერი ვალდებულება ე. უ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, ხოლო ე. უ-ძის კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვიანი ვადა ამოიწურა 2004 წლის 24 ნოემბერს. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველში მითითებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შუამდგომლობა, რომელიც ზემოთქმულ ნორმებზე დაყრდნობით იქნა გამოცემული, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის გამოყენების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა იმ მიზეზის გამო, რომ ე. უ-ძემ ჯერ კიდევ 2005 წლის 27 ოქტომბერს უარი თქვა მის სარჩელზე 2004 წლის 24 ივლისის 11/541 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლის ნაწილში; სასამართლოს მიერ სარჩელზე ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, რაც მოსარჩელეს



სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, იგი დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინებას სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სანამ არ დამთავრდებოდა საბოლოოდ საქმის განხილვა ე. უ-ძის სარჩელზე, მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მისი სამსახურში დარჩენა-განთავისუფლების საკითხზე, შესაბამისად, იმსჯელა მას შემდეგ, რაც საკასაციო სასამართლომ გამოიტანა 2006 წლის 30 იანვრის განჩინება.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 1 აგვისტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ე. უ-ძის 2004 წლის 25 ნოემბრიდან დათხოვნის თაობაზე არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის ნორმებს და უცვლელად უნდა დარჩენილიყო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. უ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინებით მისი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ შეფასებებს. მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერია და შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. უ-ძემ, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმება, ასევე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებით გაცდენილი პერიოდის, კერძოდ, 2004 წლის 5 ოქტომბრიდან 2006 წლის 29 მარტამდე ნამსახურების წლებში ჩათვლა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა ე. უ-ძის მოთხოვნის – იძულებით გაცდენილი პერიოდის ნამსახურობის წლებში ჩათვლის შესახებ, რითაც დარღვეული იყო საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მოთხოვნა. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიცვალა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 8 ივნისის 11742 ბრძანებით ე. უ-ძე გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში, ჩაირიცხა კადრის სამხედრო სამსახურში და დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების ცალკეული ... ბატალიონის ... ოფიცრად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეთითებინა ის კონკრეტული მოტივები, რომლითაც დაასაბუთა თავისი განჩინება ე. უ-ძის მიერ სასარჩელო მოთხოვნის შემცირების შემდეგ. ასევე უნდა მიეთითებინა მატერიალური სამართლის ის ნორმები, რომელთაც ხელმძღვანელობდა, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ე. უ-ძის სარჩელი, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 8 ივნისის 11742 ბრძანების მე-2 პუნქტი დათხოვნის თარიღის ნაწილში (სიტყვები «2004 წლის 25 ნოემბრიდან») და 2004 წლის 25 ნოემბრიდან 2006 წლის 29 მარტამდე პერიოდი ე. უ-ძეს ჩაეთვალია ნამსახურების წლებში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებით შეტანილ იქნა ნაწილობრივი ცვლილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანებაში, რომლის თანახმად, გაუქმდა აღნიშნული ბრძანების 44-ე პუნქტი, ვიცე-პოლკოვნიკი ე. უ-ძე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი ვიცე-პოლკოვნიკი ე. უ-ძე ჩაითვალია დათხოვნილად 2004 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიცვალა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 8 ივნისის 11742 ბრძანებით ე. უ-ძე გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში, ჩაირიცხა კადრის სამხედრო სამსახურში და დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების ცალკეული ... ბატალიონის ... ოფიცრად. შესაბამისად, ე. უ-ძემ შეამცირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვა იძულებით გაცდენილი პერიოდის ნამსახურების წლებში ჩათვლა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. უ-ძე 2006 წლის 29 მარტიდან დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 15 საპყრობილის ... თანამდებობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანება ე. უ-ძის დათხოვ-

ნის ნაწილში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ არ მომხდარა გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებით მხოლოდ ცვლილება შევიდა 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანებაში, რომლითაც გაუქმდა ბრძანების 44-ე პუნქტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი ვიცე-პოლკოვნიკი ე. უ-ძე 2004 წლის 25 ნოემბრიდან ჩაითვალა დათხოვნილად საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში.

სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 18 ივნისს სააპელაციო პალატის სხდომაზე ე. უ-ძის მიერ მიცემული განმარტებიდან და შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღდგენის თაობაზე ავტომატურად ნიშნავდა იძულებით გაცდენილი პერიოდის ნამსახურობის წლებში ჩათვლას. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგინებულად ცნო, რომ მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენდა 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებაში ცვლილების შეტანა იმგვარად, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდი – 2004 წლის 25 ნოემბრიდან 2006 წლის 29 მარტამდე ჩათვალოს ნამსახურებ წლებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსარჩელემ ერთხელ უკვე განაცხადა უარი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 24 ივლისის 11/541 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდური დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლაზე, რაც აისახა 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია, რის გამოც სარჩელის მოთხოვნა თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანების ბათილობაზე და განაცდური დროის წლებში ჩათვლაზე უსაფუძვლო იყო. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 24 ივლისის 11/541 ბრძანება არ გაუქმებულა, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტზე დაყრდნობით, კასატორი თვლის, რომ ე. უ-ძის კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა აითვლებოდა 2004 წლის 25 ივლისიდან და დასრულდა 2004 წლის 25 ნოემბერს. აღნიშნული ნორმის მიხედვით ე. უ-ძე შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნას დაექვემდებარა 2004 წლის 25 ნოემბერს, რაც განხორციელდა თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებით.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ე. უ-ძის ხელმეორედ შეიარაღებულ ძალებში გაწვევისა და თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი, რაც არასწორად მიიჩნია «აღდგენად». კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელე არ აღდგენილა სამსახურში, არამედ მოხდა მისი ხელმეორედ გაწვევა და სხვა თანამდებობაზე დანიშვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 სექტემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი და დადგინდა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგინებულად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანება ე. უ-ძის ნაწილში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებით შევიდა ნაწილობრივი ცვლილება 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანებაში, რომლითაც გაუქმდა ბრძანების 44-ე პუნქტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი ვიცე-პოლკოვნიკი ე. უ-ძე 2004 წლის 25 ნოემბრიდან ჩაითვალა დათხოვნილად საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში. 2006 წლის 29 მარტიდან დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 15 საპყრობილის ... თანამდებობაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 8 ივნისის 11742 ბრძანებით ე. უ-ძე გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში, ჩაირიცხა კადრის სამხედრო სამსახურში და დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების ცალკეული ... ბატალიონის ... ოფიცრად.

საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის შემცირებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ე. უ-ძემ სწორად განსაზღვრა დავის საგანი და მოითხოვა იძულებით გაცდენილი დროის

2004 წლის 25 ნოემბრიდან 2006 წლის 29 მარტამდე ნამსახურობის წლებში ჩათვლა, ვინაიდან 2006 წლის 29 მარტიდან იგი უკვე წარმოადგენდა სხვა უწყების თანამშრომელს, ხოლო შემდეგ განმეორებით გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებებს და თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანების ბათილად ცნობას საფუძვლად დაედო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის (იმ დროს მოქმედი რედაქციით) მოთხოვნის დარღვევა, კერძოდ, სამუშაოდან განთავისუფლებამდე არ მომხდარა ე. უ-ძისათვის სხვა თანამდებობის შეთავაზება. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 30 იანვარს და 2006 წლის 22 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მე-9 თავის მე-5 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან უსაფუძვლოდ და უკანონოდ დათხოვნილი ოფიცრები თავდაცვის მინისტრისა და შესაბამისი სამხედრო უწყების ხელმძღვანელის მიერ აღდგენილი უნდა იქნენ იმავე თანამდებობაზე და იმავე ნაწილში, რომელშიც გადიოდნენ სამსახურს დათხოვნამდე, ხოლო უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცრები – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მიერ. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ იძულებით გაცდენილი დრო მათ ჩათვლებათ ნამსახურობის წლებში და მიეცემათ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება. დარღვეული უფლებების აღსადგენად შეიძლება მიმართონ სასამართლოსაც. ამდენად, სამხედრო სამსახურიდან ოფიცრის უკანონოდ დათხოვნის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებისა და განთავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის შედეგი თავისთავად არის იძულებით გაცდენილი დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლა. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის 11/810 ბრძანების 44-ე პუნქტი ე. უ-ძის ნაწილში და ბრძანების მიღების ერთ-ერთ საფუძვლად მიეთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე, გადაწყვეტილება არათუ არ აღსრულებულა, არამედ მოხდა მისი დათხოვნა შეიარაღებული ძალებიდან 2004 წლის 25 ნოემბრიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლში შეტანილი ცვლილება აღარ ითვალისწინებდა სხვა თანამდებობის შეთავაზების ვალდებულებას, მაგრამ ეს ვალდებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოეშვა სასამართლოს გადაწყვეტილებით. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომ სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. ამდენად, მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებისა ან სპეციალური ნორმატიული აქტით ურთიერთობის სხვაგვარად მოწესრიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვალდებული იყო აღსრულებია დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ, კადრების განკარგულებაში აღდგენის შემდეგ ე. უ-ძისათვის შეეთავაზებია სხვა თანამდებობა, სურვილის შემთხვევაში აღედგინა შეიარაღებული ძალების რიგებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა გაცდენილი დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან ე. უ-ძის კადრებში გადაყვანის 2004 წლის 24 ივლისის 11/541 ბრძანება არ გაუქმებულა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის მიხედვით, შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნას იგი დაექვემდებარა 2004 წლის 25 ნოემბრიდან, რაც განხორციელდა 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ნორმის გამოყენებით სამხედრო მოსამსახურის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნა არამართებულია მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ის გარემოება, რომ სამხედრო პირის შეიარაღებული ძალებიდან თავდაპირველი დათხოვნა იყო უკანონო. ამ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ითვალისწინებს დებულების მე-9 თავის მე-5 პუნქტის გამოყენებასა და იძულებით გაცდენილი დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლის აუცილებლობას.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან მოსარჩელემ პირველი დავის განხილვისას უარი განაცხადა განაცდური დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლაზე, დღევანდელი სარჩელის მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანების ბათილობისა და განაცდური დროის ნამსახურობის წლებში ჩათვლაზე, უსაფუძვლოა. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს 11782 ბრძანების

მიღებამ და სამხედრო მოსამსახურის ორი წლის უკანდახევით შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნამ წარმოშვა თავდაპირველი დავისაგან განსხვავებული, მხარის დამოუკიდებელი ინტერესი მოითხოვოს იძულებით გაცდენილი დროის – შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნიდან სხვა უწყებაში დასაქმებამდე პერიოდის ნამსახურებ წლებში ჩათვლა, ვინაიდან ეს დრო დასჭირდა მისი თავდაპირველი განთავისუფლების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის სასამართლო დავის გზით დადგენას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამტკიცებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც გამოიწვია ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. შესაბამისად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება მიღებულია კანონის შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 410-ე, 257-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **რეორგანიზაციის შედეგად სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის სამუშაოდან დათხოვნა**

### **განჩინება**

18ს-1194-1140 (2კ-09)

11 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 17 დეკემბერს მ. ბ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2001 წლის 6 ივლისიდან 2005 წლის 8 ივლისამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი სამსახურის უფროსად, უფროსი იურისტის თანამდებობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 8 ივლისის 1572 ბრძანების შესაბამისად, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო მოხდა მისი დათხოვნა სამხედრო ძალების რეზერვში. აღნიშნული ბრძანება მ. ბ-მის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და სარჩელით მოითხოვა სამსახურში აღდგენა და სახელფასო განაცდურის ანაზღაურება. საბოლოო ჯამში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ხსენებული ბრძანება იმ საფუძველით, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს და არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის წესი, შესაბამისად, სასაზღვრო პოლიციას დაევალა მ. ბ-მის საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული აქტის მომზადება. მოგვიან-

ნებით მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მიერ 2007 წლის 13 ნოემბერს მიღებულ იქნა 1919 ბრძანება, რომლითაც მ. ბ-მე კვლავ დაითხოვეს სამხედრო ძალების რეზერვიდან, ამჯერად 2007 წლის 12 ოქტომბრის რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო.

მოსარჩელემ აღნიშნული ბრძანება უკანონოდ მიიჩნია და განმარტა, რომ სამართალწარმოებისას დადგენილად ჩაითვალა, რომ გათავისუფლების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სასაზღვრო პოლიცია ვალდებული იყო შტატების შემცირების შემთხვევაშიც კი შეეთავაზებინა მ. ბ-მისათვის ტოლფასი თანამდებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. ამასთან, დადგენილად ჩაითვალა ის ფაქტიც, რომ რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირებას არ ჰქონია ადგილი, უბრალოდ სახელი შეეცვალა იმ სტრუქტურულ ერთეულსა და თანამდებობას, რომელიც მ. ბ-მეს ეკავა.

მოსარჩელის მითითებით, იმის მიუხედავად, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული და დადგინდა მთელი რიგი კანონდარღვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებისას, საზღვრის დაცვის პოლიციამ ისე გამოსცა ახალი ადმინისტრაციული აქტი, რომ არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში გაწერილი დარღვევები, რომელთაც მ. ბ-მის სამსახურიდან გათავისუფლებისას ჰქონდა ადგილი. მოსარჩელის განმარტებით, სასაზღვრო პოლიციაში საერთოდ არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება, მ. ბ-მე არ ყოფილა დაბარებული აღნიშნულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა მოხდა ისე, რომ არ გამოკვლევულა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე არც ერთი გარემოება და გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო ბრძანებით არ დარეგულირებულა არც სახელფასო განაცდურის საკითხი; თუ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ორგანომ ჩათვალა, რომ მ. ბ-მის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2005 წლის ბრძანება კანონის დარღვევით იყო მიღებული და თავის მხრივ, ბათილად ცნო იგი, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით იგი უკვე ბათილად იყო ცნობილი, მაშინ ღიად დატოვა ორწლიანი პერიოდი – 2005 წლის 8 ივლისიდან 2007 წლის 12 ოქტომბრამდე. ამდენად, აღნიშნულ პერიოდში მ. ბ-მე ითვლებოდა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლად, თუმცა არ მიუღია სახელფასო ანაზღაურება ხსენებული პერიოდისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 13 ნოემბრის 1919 ბრძანების ბათილად ცნობა, რეორგანიზაციის შემდეგ სტრუქტურული ერთეულისა და მისი თანამდებობისათვის მინიჭებული სახელწოდების გათვალისწინებით დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ბ-მის სარჩელი მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 13 ნოემბრის 1919 ბრძანება და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში მ. ბ-მის მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; მოსარჩელე მ. ბ-მეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის – სამსახურში აღდგენის დაკმაყოფილებაზე, ხოლო მ. ბ-მის სასარჩელო მოთხოვნა – განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციას მ. ბ-მისათვის გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაევალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა მ. ბ-მემ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილშიც დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინებით სააპელაციო და შეგებებული სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლებს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, თუ საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო ეთანხმებოდა 1-ელი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, მაშინ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მ. ბ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების ნორმატიული საფუძვლის არასწორი დასახელება არ იყო ფორმალური მნიშვნელობის, რადგან მათი განსხვავებული შინაარსი გულისხმობდა განსხვავებული ფაქტობრივი გარემოების დადგენის აუცილებლობასაც. კერძოდ, «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას დადგენილი უნდა ყოფილიყო რეორგანიზაციის არსებობა, რომელმაც შტატების შემცირება გამოიწვია, ხოლო «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი ერთ-ერთი მათგანის (შტატების შემცირების, რეორგანიზაციის) არსებობასაც საკმარისად მიიჩნევდა მოხელის სამსახურიდან დასათხოვად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკადრო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ს/პ პოლკოვნიკ ლ. ბ-შვილის წერილით დასტურდებოდა, რომ სასაზღვრო უწყებაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად იურიდიულ განყოფილებაში შტატები არ შემცირებულა. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 13 ნოემბრის სადავო ბრძანება მ. ბ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომელშიც გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი (მოხელის სამსახურიდან დათხოვნა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისას), ბუნდოვანს ხდიდა აღნიშნული ბრძანების კანონთან შესაბამისობას, რაც სასამართლოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მიხედვით გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებულის საფუძველზე მიიჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მ. ბ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაც. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და კანონიერი იყო, მისი გამაბათილებელი არგუმენტები სააპელაციო საჩივრების ავტორებს არ წარმოუდგენიათ, შესაბამისად, არ არსებობდა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინება შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ საკასაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემული დავა მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს. სადავო სამართალურთიერთობას სწორად არ შეუფარდა კანონის ნორმები, რის გამოც კასატორი ითხოვს მის გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კანონმდებლობა – «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონი და «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი. «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი, სპეციალური, პოლიციური და სამხედროებული დაწესებულების სისტემა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პოლიციის სისტემაში დასაქმებული პირები შეიძლება ატარებდნენ პოლიციის სპეციალურ წოდებებს ან სამხედრო წოდებებს. ამავე კანონის მე-19 მუხლის თანახმად კი, პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო წოდება და ფიცი აქვს დადებული.

კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელე მ. ბ-ძე შინაგან საქმეთა ორგანოებში მოშაობის პერიოდში ატარებდა ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას, მიუხედავად სისტემური გარდაქმნისა, იგი დათხოვნის მომენტისთვისაც ატარებდა სამხედრო ძალების ვიცე-პოლკოვნიკის წოდებას და არა სახელმწიფო სპეციალურ წოდებას. ამდენად, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი და უშუალოდ მისი მე-20 მუხლი, რომელიც პოლიციელთა დათხოვნის შესაძლებლობას და შესაბამის საფუძვლებს ითვალისწინებს, არ უნდა ემოქმედა მ. ბ-ძის სამსახურიდან დათხოვნის გადაწყვეტილების მიღებაზე. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ სწორად გამოიყენა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის 21-ე მუხლი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლებს, რომელთაგან ერთ-ერთი არის რეორგანიზა-

ცია და შტატების შემცირება, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი იმ დროისათვის და რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ 2007 წლის ოქტომბრისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» მე-9 თავის ნორმებიდან გამომდინარე, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა ყოფილიყო ოთხ თვეზე მეტი. სხვა, უფრო კონკრეტულ პროცესუალურ წესს იმ პერიოდისათვის კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის ან სამსახურიდან დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისათვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. ამასთან, მ. ბ-ძის სამუშაოზე დარჩენის საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი ხელმძღვანელობის სახით, მ. ბ-ძის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების საკითხს, კასატორი აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურისათვის მხოლოდ ორი თვის ფულად ანაზღაურებას, რაც მოსარჩელეს უკვე მიღებული ჰქონდა. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» მე-9 თავის მე-5 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან უსაფუძვლოდ და უკანონოდ დათხოვნილი ოფიცრები თავდაცვის მინისტრისა და შესაბამისი სამხედრო უწყების ხელმძღვანელის მიერ აღდგენილ უნდა იქნეს იმავე თანამდებობაზე და იმავე ნაწილში, რომელშიც გადიოდნენ სამსახურს დათხოვნამდე, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ იძულებით გაცდენილი დრო მათ ჩათვლებათ ნამსახურობის წლებში და მიეცემათ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება. ამდენად, კასატორის განმარტებით, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დასაშვებია იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა უკანონოდ დათხოვნილი მოსამსახურის აღდგენა და თანამდებობაზე მისი დანიშვნა, ასეთი გადაწყვეტილება კი სასამართლოს არ მიუღია.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას სადავო ბრძანების პროცედურული დარღვევით გამოცემის თაობაზე, კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ მოითხოვს მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის სავალდებულო წესით მონაწილეობას. კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლზე რომლის თანახმად, მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მონაწილეობის საფუძველი შეიძლება იყოს თვით დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ სადავო ბრძანების მომზადებისა და გამოცემის პროცესში დაინტერესებულ პირს – მ. ბ-ძეს მონაწილეობის წერილობითი სურვილი არ გამოუხატავს. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის პროცესუალური დარღვევები აქტის ბათილობის საფუძველად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დარღვევების არარსებობისას მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, კონკრეტულ შემთხვევაში კი, მ. ბ-ძის სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით სხვა სახის გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იყო.

კასატორი სადავო ბრძანების კანონშესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, თუ ხსენებული ბრძანება არსებითად პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს, სასამართლოს მითითება ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, როგორც დარღვევაზე, კასატორის აზრით, უსაფუძვლოა, ვინაიდან სადავო ბრძანება შეიცავს როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით დასაბუთებას, რაც დასტურდება ბრძანების პრეამბულაში სამართლებრივ, ხოლო ბრძანების გამოცემის საფუძვლის ნაწილში ფაქტობრივ საფუძვლებზე მითითებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინებაზე მ. ბ-ძის წარმომადგენელმა – ტ. ჩ-შვილმა საკასაციო საჩივარი წარადგინა, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით განუხილველი დარჩა საკასაციო საჩივრის შეტანისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 17 ნოემბერს, 12.00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცენო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მ. ბ-მე 2001 წლის 6 ივლისიდან 2003 წლის 22 ივლისამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში თავმჯდომარის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად – იურისტად. სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 22 ივლისის 1024 ბრძანებით განხორციელებული რეორგანიზაციისა და საშტატო ცვლილებების გამო, მ. ბ-მე გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, სადაც იმყოფებოდა 2005 წლის 8 ივლისამდე. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მ. ბ-მეს, «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 32-ე პუნქტის საფუძველზე, დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, მიეცა ორი თვის ფულადი სარგო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზეც, რომ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 8 ივლისის 1572 ბრძანებით, რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით კადრების სამმართველოს განკარგულებაში მყოფი მ. ბ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო ძალების რეზერვში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 8 ივლისის 1572 ბრძანება მ. ბ-მის სამხედრო ძალების რეზერვში დათხოვნის ნაწილში; შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიციას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნის ან სამხედრო ძალების რეზერვში დათხოვნის შესახებ. რაც შეეხება თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენასა და სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის ხელფასის ანაზღაურებას, აღნიშნულზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტობრივ გარემოებასაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 13 ნოემბრის 1919 ბრძანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 8 ივლისის 1572 ბრძანება კადრების განკარგულებაში მყოფი მ. ბ-მის სამხედრო ძალების რეზერვში დათხოვნის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი და რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველზე 2007 წლის 12 ოქტომბრიდან იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო ძალების რეზერვში.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 23 ივნისის 1242 ბრძანებაზე, რომლითაც გამოცხადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ხოლო დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სადავო საკითხის გადაწყვეტლად შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 13 ნოემბრის 1919 ბრძანების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება, ვინაიდან მ. ბ-მის საკასაციო საჩივარი, სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის გაუქმების თაობაზე, განუხილველად იქნა დატოვებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 1139 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის მიხედვით ოფიცერთა შემადგენლობის პირები შს ორგანოებიდან შეიძლება დაითხოვონ სამხედრო ძალების თადარიგში შტატების შემცირებით. ამავე დებულების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, შს ორგანოებში ორგანიზაციულ, საშტატო ღონისძიებათა განხორციელებისას, შს მინისტრის ბრძანებით შტატგარეშე დარჩენილი თანამშრომელი ირიცხება კადრების განკარგულებაში 4 თვემდე ვადით, არა უმეტეს ორი თვის ხელფასის (ფულადი სარგოს) შენარჩუნებით ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული ვადის გასვლამდე უნდა გადაწყდეს თანამშრომლის შრომითი მოწყობის საკითხი. მითითებულ ნორმაში კანონმდებელი გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლო მოქმედების ორ ალტერნატიულ ვარიანტს: პოზიტიურს და ნეგატიურს. კერძოდ, მოხელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანას ან სამსახურიდან განთავისუფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დე-



ბულების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი ფაქტობრივად განსაზღვრავს, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანილი პირი წარმოადგენს შტატგარეშე დარჩენილ თანამშრომელს, რომლის შრომითი მოწყობის საკითხიც უნდა გადაწყდეს 4-თვიანი ვადის გასვლამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 13 ნოემბრის 1919 ბრძანება, რომლითაც კადრების განკარგულებაში მყოფი მ. ბ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო ძალების რეზერვში. ხსენებული ბრძანების ბათილად ცნობა იწვევს არა დაკავებულ თანამდებობაზე მ. ბ-მის აღდგენას, არამედ დადგენილი ვადით მისი კადრების განკარგულებაში აღდგენას. ამდენად, გაურკვეველია, მოცემულ პირობებში თუ რა განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციას მ. ბ-მის გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე იმ პირობებში, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობით მოხდა მ. ბ-მის მხოლოდ კადრების განკარგულებაში აღდგენა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის 1493 ბრძანებულების 32-ე პუნქტის თანახმად, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეებს უნარჩუნდებთ ფულადი სარგოები ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი და სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია არა უმეტეს ორი თვისა. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს 2009 წლის 8 მაისის ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მ. ბ-მეს დაკავებული თანამდებობის შესაბამისად მიეცა ორი თვის ფულადი სარგო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 13 ნოემბრის 1919 ბრძანებით სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში მყოფი ვიცე-პოლკოვნიკი მ. ბ-მე 2007 წლის 12 ოქტომბრიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით დათხოვნილ იქნა სამხედრო ძალების რეზერვში. ამასთან, 2007 წლის 13 ნოემბრის 1919 ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, კანონმდებელი სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის ერთ-ერთ შემთხვევად რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებას უთითებს, ანუ ამ შემთხვევაში, კანონმდებელი მხოლოდ რეორგანიზაციისას, თუკი მას არ ახლავს შტატების შემცირება, მოსამსახურის დათხოვნას დაუშვებლად მიიჩნევს. მაშინ, როდესაც აღნიშნულ საკითხზე სულ სხვაგვარ რეგულაციას აწესებს «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი. კერძოდ, ამ კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირებისას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელები განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლებიან გაფრთხილებულად შესაძლო დათხოვნის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა საქალაქო სასამართლოს მოტივაცია, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივნისის 1126 დადგენილების საფუძველზე მიუთითა, რომ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად – საქართველოს სასაზღვრო პოლიციად, რის გამოც მის სამართლებრივ საქმიანობაზე არა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონი, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დაწესებულებებზე მოქმედი «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი უნდა გავრცელებულიყო. თუმცა საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა და არ გამოიკვლია, რეალურად რომელი კანონით უნდა დარეგულირებულიყო სადავო ურთიერთობა, იმ პირობებში, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის 1139 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე კადრების განკარგულებაში მყოფი პირის შრომითი მოწყობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო 4 თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს მოტივაციის გაზიარებით დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ მ. ბ-მის სამსახურიდან გათავისუფლებისას, მართალია, ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას, მაგრამ აღნიშნულს შტატების შემცირება არ მოჰყოლია. თუმცა სასამართლოებმა ისე მიუთითეს, რომ ჯერ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, შემდეგ კვი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში განხორციელებული რეორგანიზაციისას არ ჰქონია ადგილი შტატების შემცირებას, რომ არ გამოიკვლიეს საქმეში წარმოდგენილი წინააღმდეგობრივი მტკიცებულებები, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკადრო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის 2009 წლის 19 მარტის 138/7/1-2-3/8 წერილი, რომლის თანახმად, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და შემდგომ სასაზღვრო პოლიციაში განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 22 ივლისის 1024, შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს 1025, 2005 წლის 18 იანვრის 101, 2006 წლის 22 ივნისის 1070 და 2008 წლის 25 დეკემბრის 10166 ბრძანებების საფუძველზე სამტატო-საორგანიზაციო ცვლილებები.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას ყურადღების მიღმა დარჩა მთავარი საკითხი – ხსენებული აქტის კანონიერების შემოწმება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ამ შემთხვევაში სარჩელის საგანზე არსებითად მსჯელობისა და მოცემული დავის გადაწყვეტის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლიანობაზე მსჯელობას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და ამ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე განაცხადა უარი სადავო საკითხის გადაწყვეტაზე, რომ საერთოდ არ იმსჯელა მხარეთა მოტივებზე, შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და არ დაადგინა, თუ რატომ იყო შეუძლებელი მის მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის ფაქტის დადგენა

### განჩინება

18ს-1502-1433 (კ-09)

17 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 23 მარტს ბ. გ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 2 მარტის 196 კ/შ ბრძანებისა და 2009 წლის 24 თებერვლის 1317 ბრძანების ბათილად ცნობა, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის დაცვის პოლიციის სამმართველოს ზონალური მუშაობის ჯგუფის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენა და 2009 წლის 24 თებერვლიდან იძულებითი განაცდურის – 1092 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ იგი 1990 წლიდან წარმოადგენს შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში მომუშავე საჯარო მოსამსახურეს, ხოლო უკანასკნელად იგი დანიშნული იყო სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის დაცვის პოლიციის სამმართველოს ზონალური მუშაობის ჯგუფის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორის თანამდებობაზე. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 2 მარტის 196 კ/შ ბრძანებით ბ. გ-მე გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან პოლიციის სახელის დისკრედიტაციის მოტივით. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ 2009 წლის 11 თებერვალს ერთ-ერთ დასაცავ ობიექტზე პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დაფიქსირდა საფუშაგოს მიტოვების ფაქტი, რასთან დაკავშირებით ჩატარდა მოკვლევა და ბ. გ-მეს, როგორც ზონალური მუშაობის ჯგუფის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორს დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნა იმ მოტივით, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა სუსტი კონტროლის განხორციელებას და სამსახურებრივი პროცესის ხელშეშლას. მოსარჩელის მითითებით, გასაჩივრებულ ბრძანებაში მისი გამოცემის საფუძვლად მითითებულია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 24 თებერვლის 1317 ბრძანება დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, რადგან აღნიშნული ბრძანება პირდაპირ უკავშირდება სადაო საკითხს, მოსარჩელემ მოითხოვა აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობა.

მოსარჩელის მითითებით, თუ რა მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს პოლიციისათვის შეუფერებელ საქციელად უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა ხასიათისა და სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით. გასაჩივრებული ბრძანებიდან არ ირკვევა, თუ რომელი მოქმედება იქნა მიჩნეული კონკრეტულ შემთხვევაში პოლიციელისათვის შეუფერებელ საქციელად, ხოლო რაც შეეხება სამსახურებრივი შემოწმების შესახებ დასკვნას, მასში აღწერილი ფაქტები არასწორად არის გადმოცემული. მოსარჩელის მოსაზრებით, სადაო ბრძანების გამოცემისას მოპასუხის მიერ უხეშად დაირღვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების იმპერატიული მოთხოვნები, უფულებელყოფილია წესდების ის მოთხოვნა, რომლის თანახმად, თანამშრომელი შეიძლება დაითხოვონ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, თუ დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, მოსამსახურის წარსული საქმიანობა და რეპუტაცია მიზანშეუწონელს ხდის გადაცდომის ჩამდენი პირის მიერ მუშაობის გაგრძელებას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ბ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაო საკითხის გადაწყვეტლად ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება და დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე – ბ. გ-ძის მიმართ; ბ. გ-ძის სასარჩელო მოთხოვნა – იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა და დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ბ. გ-ძეს აუნაზღაუროს იძულებითი განაცდური ხელფასი გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; მოსარჩელე ბ. გ-ძეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის – სამუშაოზე აღდგენის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება.

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებელი დაწესებულების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, შესაბამისად, აღნიშნულ დეპარტამენტში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად.

სასამართლო განმარტავდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხის დაყენება შეუძლია მის უშუალო უფროსს წერილობითი ფორმით (წარდგინებით) დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, რასაც თან უნდა ახლდეს დისციპლინური გადაცდომის ამსახველი დასკვნა, ხოლო მეორე პუნქტში კი მითითებულია, რომ დასკვნაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: თანამშრომლის სახელი და გვარი, თანამდებობა, სახელმწიფო სპეციალური წოდება, შინაგან საქმეთა ორგანოებში და დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი, დისციპლინური გადაცდომის არსი, მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ გადაცდომის ფაქტს, დასაბუთება შესაძლო დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე, დასკვნის შედეგის თარიღი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის '303 ბრძანებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების ნუსხის მე-6 მუხლის თანახმად, სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურეთა (გარდა მოადგილეებისა) თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის '139 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების 69-ე პუნქტის თანახმად, რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს პოლიციის თანამშრომლისათვის უღირსი საქციელი, დათხოვნილ უნდა იქნენ რიგითი და ოფიცერთა დისკრედიტაციისათვის.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე შედეგნილი 2009 წლის 11 თებერვლის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მან არ განახორციელა დაკისრებული მოვალეობა უმცროსი ინსპექტორების მიმართ კონტროლის განხორციელების თაობაზე, დასკვნაში მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სახდელის – შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის საფუძვლად მითითებულია ზემოაღნიშნული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» და «ე» ქვეპუნქტები.

აღნიშნული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეა სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, ხოლო «ე» ქვეპუნქტის თანახმად, თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანებაზე მისი გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტის «ზ» ქვეპუნქტი. ამ ნორმის თანახმად, პოლიციელი შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს პოლიციელისათვის შეუფერებელი საქმიანობისათვის.

საქალაქო სასამართლო განმარტავდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ისე იქნა გამოტანილი ბრძანება მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, რომ არ შეუსწავლია და არ გამოუკვლევიდა დასკვნაში მითითებული გარემოებები, გასაჩივრებული ბრძანებებიდან არ ირკვევა, თუ რა მოქმედება წარმოადგენს პოლიციელის თანამშრომლისათვის შეუფერებელ ქმედებას. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია ბ. გ-ძის მიერ პოლიციის სერჟანტის ს. შ-ძისა და პოლიციის რიგითის ვ. ი-შვილის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობაზე, კერძოდ, მათ მიერ დასაცავი ობიექტის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად მიტოვებაზე, კონტროლის განუხორციელებლობა წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლისათვის შეუფერებელ ქმედებას, რომელიც ლახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავდა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. აღნიშნული ნორმა ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის შემდეგ გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ბრძანებაში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეთითებინა, თუ რა იგულისხმება გათავისუფლების საფუძვლად მითითებულ შეუფერებელ საქციელში.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მისაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე სამუშაოდან გათავისუფლებულია კანონმდებლობის სრული დაცვით. სასამართლოს მისაზრებით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე ბრძანება გამოიტანა მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ამ მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში დაზუსტებულია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

მოცემული ნორმიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გასაჩივრებული ბრძანება და დაევალოს მოპასუხეს კვლავ განიხილოს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი, კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით გამოიკვლიოს და შეაფასოს ბ. გ-ძის სამსახურიდან დათხოვნის საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. შესაბამისად, მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის სამუშაოზე აღდგენის დაკმაყოფილების ნაწილში.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავდა, რომ «საჯარო სამსახურის» შესახებ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, ბ. გ-ძეს უნდა აუნაზღაურდეს გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პე-

რიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის სახით, ვინაიდან ხელფასის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელის გათავისუფლება სამსახურიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა და ბ. გ-მემ.

პირველი აპელანტი მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში და განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში.

მეორე აპელანტი – ბ. გ-მე სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების შეცვლას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივრები დაუსაბუთებელია, ვინაიდან, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და მიიჩნია, რომ აპელანტების მიერ ვერ იქნა გაბათილებული ისინი. სააპელაციო საჩივრებში მითითებულ გარემოებებზე მოსარჩელე და მოპასუხე აპელირებდნენ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას, რაზეც შესაბამისი პასუხი იქნა გაცემული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბ. გ-მემ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა.

პირველი კასატორი – ბ. გ-მე თავის საკასაციო საჩივარში მითითებდა, რომ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებმა არამართებულად იმსჯელეს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის შედეგებზე იმ მიმართებით, რომ სადაო ბრძანებების ბათილად ცნობა უნდა მომხდარიყო სადაო საკითხის გადაწყვეტლად.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების არაადეკვატურობა ვლინდება იმ გარემოებიდან, რომ სასამართლომ გასაჩივრებული ბრძანებები კანონსაწინააღმდეგო აქტებად მიიჩნია არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით და დადგენილად ცნო ის ფაქტი, რომ ბ. გ-მის სამსახურიდან გათავისუფლება პოლიციელისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენის მოტივით დაუშვებელი იყო, რადგან მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი მსგავსი ქმედების ჩადენას.

კასატორი აღნიშნავდა, რომ სასამართლომ ფაქტობრივად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამსახურიდან გათავისუფლება და მისი საფუძველი არაკანონიერად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერ

რად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

მეორე კასატორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოცემული ბრძანება ბ. გ-ძის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ არ საჭიროებდა დასაბუთებას. კასატორი მიუთითებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. კასატორი აღნიშნავდა, რომ ბ. გ-ძისათვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რის უტყუარ მტკიცებულებასაც წარმოადგენს დასკვნა სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე, სადაც დაფიქსირებულია თუ რა არის პოლიციელისათვის შეუფერებელი ქმედება.

კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ელი ნაწილი. ბრძანების გამოცემამდე მოხდა ყველა გარემოების გამოკვლევა და გადაწყვეტილება მიღებული იქნა ამ გარემოებათა შეფასების საფუძველზე, ბრძანების გამოცემა მოხდა ყველა იმ პროცედურის დაცვით, რაც გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და ბ. გ-ძის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2009 წლის 11 თებერვალს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთ. სამმართველოს ინსპექტორებისა და მონიტორინგის განყოფილების ინსპექტორების მიერ შემოწმდა ქ.თბილისის ისანი-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს სამმართველოების თანამშრომელთა მიერ საშემსრულებლო დისციპლინა, რის შედეგადაც დაფიქსირდა დისციპლინური დარღვევის რამდენიმე ფაქტი. კერძოდ, 2009 წლის 11 თებერვალს 14 საათსა და 50 წუთზე შემოწმდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს ობიექტების დაცვის განყოფილების შპს «...ის» ოფისის დასაცავი ობიექტი, რა დროსაც გამოვლინდა, რომ აღნიშნული ობიექტების დაცვის უმცროს ინსპექტორებს მიტოვებული ჰქონდათ საგულშაო.

თანამშრომელთა მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტზე ჩატარებული შემოწმების თაობაზე შედგა დასკვნა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტირებისა და მონიტორინგის სამმართველოში 2009 წლის 13 თებერვალს გამოძახებულ იქნა ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს ზონალური მუშაობის ჯგუფის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ბ. გ-ძე, რომელმაც უარი განაცხადა ახსნა-განმარტების მიცემაზე და თვითნებურად მიატოვა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შენობა.

იმავე დასკვნის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის ისანი-სამგორის დაცვის პოლიციის სამმართველოს ზონალური მუშაობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ – ბ. ჯ. ძე გ-ძეს «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტისა და საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის «თ» პუნქტის საფუძველზე, შეფარდებოდა დისციპლინური სახდელი შს ორგანოებიდან დათხოვნა.

ზემოაღნიშნული დასკვნა საფუძველად დაედო შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 24.02.09წ. 1317 ბრძანებას ბ. გ-ძის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, ხოლო საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 02 მარტის 1962 პ/შ ბრძანებით ბ. გ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა საქართველოს შს ორგანოებიდან 2009 წლის 24 თებერვლიდან.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებას და თვლის, რომ საქმის მასალებში ასახული მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს აძლევს საკმარის საფუძველს წარმოადგინოს სამართლებრივი დასკვნები და შეფასებები და სადავო საკითხთან მიმართებაში მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომელშიც სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ არ იზიარებს ფაქტს იმის თაობაზე, რომ ბ. გ-ძის მხრიდან ადგილი ჰქონ-

და პოლიციის თანამშრომლისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენას, რომელიც ლახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

ასეთ პირობებში, როდესაც სასამართლოს შეფასება არის ცალსახა და ფაქტობრივად უარყოფილია გათავისუფლების საფუძვლების არსებობის ფაქტი, სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლზე მითითებით ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებას, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე, ჩადენილი გადაცდომის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს გამოყენებული პასუხისმგებლობის ადექვატურობა და მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება. ამასთან, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება მიექცეს ბ. გ-ძის სამსახურებრივ სტატუსს და საკითხი გადაწყდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონისა და იმ სპეციალური კანონმდებლობის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს პოლიციის თანამშრომელთა შრომით სამართლებრივი მოწყობის საკითხებს.

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 1.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პოლიცია არის ადმინისტრაციული ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და წესრიგს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შს ორგანოებში სამსახურის გავლის სპეციფიკა და მუშაობის გასამხედროებული რეჟიმი, შს ორგანოს თანამშრომლებს მკვეთრად გამოიწვევს საჯარო სამსახურის დარჩენილი მოხელეებისაგან. რაც ძირითადად გამოიხატება სამსახურებრივი დისციპლინის, თანამდებობრივი სუბორდინაციისა და წოდებრივი ქვემდებარეობის განუხრელ დაცვაში.

«შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, შს ორგანოებში სამსახურებრივი დისციპლინა ნიშნავს შს ორგანოს თანამშრომლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, ფიცის, სამსახურის ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე საქართველოს შს მინისტრის ბრძანებების, უშუალო უფროსის მითითებებისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობისა და უფლებამოსილების შესრულებას.

იმავე სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების 41-ე მუხლის საფუძველზე, შს ორგანოს უფროსი პასუხისმგებელია ხელქვეითი თანამშრომლების სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობისათვის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ამ უკანასკნელი ნორმის შინაარსს და იმ ვითარებაში, როდესაც დაცვის პოლიციის ფუნქციას წარმოადგენს დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონების, კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან კვლევის საგნად იქცეს, შედიოდა თუ არა უშუალოდ ბ. გ-ძისათვის დაკისრებულ მოვალეობაში საგულშაღოზე გამწესებულ ინსპექტორებზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

შს ორგანოს თანამშრომელთა მიმართ მაღალი სადისციპლინო-სამემსრულებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს და შეაფასოს ბ. გ-ძის მხრიდან ხელქვეითთა მიმართ კონტროლის შესუსტება ქმნის თუ არა მისი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს ოქმში ასახულ ინფორმაციას, რომელიც შეეხება ბ. გ-ძის მხრიდან პროტესტის ნიშნად დაცვის პოლიციის შენობის მიტოვების ფაქტს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გარემოება საჭიროებს სასამართლოს შეფასებას, კერძოდ ახსნა-განმარტების მიუცემლობა ნიშნავს თუ არა ბ. გ-ძის მხრიდან დაუმორჩილებლობას, საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას და მის მიერ ჩადენილი ქმედება რამდენად შეესაბამება მის თანამდებობრივ სტატუსს.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 79-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს. ამავე კანონის 99-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავს მითითებას სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობის თაობაზე იმ პირობებშიც, როდესაც მის მიმართ არ მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება, თუ ამ პირის მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევას (ანალოგიური შინაარსის ნორმას შეიცავს «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონიც).

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს დადგინდეს, სადავო აქტის გამოცემის მომენტისათვის მოქმედებდა თუ არა ბ. გ-ძის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების რაიმე სხვა სახის ღონისძიება და წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე დადგინდეს, მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს თუ არა სამსახურებრივ მოვალეობის უხეშ დარღვევას.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე ხელახალი გამოკვლევის მიზნით საჭიროებს იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის I ნაწილით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და ბ. გ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამუშაოზე აღდგენის შესაძლებლობის შემოწმება და გადაწყვეტილების აღუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

18ს-1373-1312(კ-09)

2 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 20.01.09წ. სარჩელით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოპასუხის 28.01.05წ. 146 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მ. ბ-ძის სასარგებლოდ 2006 წლის თებერვლიდან სასამართლო გადაწყვეტილების სრულ აღსრულებამდე ანუ მის სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ აჭარის ა/რ ქობულეთის რაიონის გამგეობის 28.01.05წ. 146 ბრძანებით მ. ბ-ძე გაათავისუფლეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობიდან და გადაიყვანეს ქობულეთის რაიონის გამგეობის ... განყოფილების ... თანამდებობის 0,5 განაკვეთზე. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის რაიონის გამგეობის 28.01.05წ. 146 ბრძანება და მ. ბ-ძე აღდგენილ იქნა იმ განყოფილების ... თანამდებობაზე, რომელიც ასრულებდა ... განყოფილების ფუნქციებს, ქობულეთის რაიონის გამგეობას ასევე დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 435 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, ქობულეთის რაიონის გამგეობა არ ასრულებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოპასუხე მიუთითებდა, რომ თანამდებობა, რომელზეც მ. ბ-ძე უნდა აღდგენილიყო რაიონის გამგეობაში არ არსებობდა, რაც მოსარჩელის მოსაზრებით არ შეესაბამებოდა რეალობას, ვინაიდან გამგეობის 30.05.06წ. წერილობითი შეტყობინებით აჭარის ა/რ სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ ზემოაღნიშნული თანამდებობა გაუქმებული იყო, ამასთანავე ამავე თარიღით გამგეობის მიერ გამოიცა ბრძანება ... თანამდებობაზე სხვა პირის დანიშვნის შესახებ. მ. ბ-ძეს მიეცა იძულებითი განაცდურის თანხა 362 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გამგეობა სრულად არ ასრულებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, სასამართლოს მეშვეობით სამსახურში აღდგენის მცდელობის გამო გამგეობის 03.02.06წ. ბრძანებით მ. ბ-ძე დათხოვნილ იქნა ... განყოფილების ... თანამდებობიდანაც, სადაც იგი 0,5 განაკვეთზე მუშაობდა და მისი ყოველთვიური სარგო 75 ლარს შეადგენდა. ადმინისტრაციის ზემოაღნიშნული ქმედებით მ. ბ-ძეს მიადგა მატერიალური ზიანი, რადგან მან ვერ შეძლო მუშაობა და ყოველთვიურად ხელფასის მიღება.

მოსარჩელის წარმომადგენლებმა უარი თქვეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილზე, რომლითაც ითხოვდნენ 28.01.05წ. 146 ბრძანების ბათილად ცნობაზე, ვინაიდან ბრძანება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე იყო გაუქმებული.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 23.02.09წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 09.06.09წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლის 08.07.09წ. საოქმო განჩინებით თანამოსარჩელედ საქმეში ჩაბმულ იქნა მ. ბ-ძე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.09წ. განჩინებით საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 23.02.09წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა 19.10.05წ. მოხდა. კანონიერ ძალაში შესული ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი ქობულეთის რაიონის გამგეობის 28.01.05წ. 146 ბრძანება, ხოლო მის აღსრულებასთან დაკავშირებით აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლისადმი ქობულეთის რაიონული გამგეობის პასუხში აღინიშნა, რომ ქობულეთის რაიონის გამგეობის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გამო ... განყოფილება ლიკვიდირებული იყო, რაც შეუძლებელს ხდიდა სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. ქობულეთის რაიონის გამგეობის 18.01.05წ. ბრძანების 11 დანართის თანახმად, ქობულეთის რაიონის გამგეობის აპარატის, ადგილობრივი და ორმაგი დაქვემდებარების სამსახურების საშტატო ნუსხაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მითითებული თანამდებობა არ არსებობს. ქობულეთის რაიონის გამგეობის 26.10.05წ. 113 ბრძანების დანართის მიხედვით, ქობულეთის რაიონის გამგეობის აპარატსა და აპარატში შემავალი სტრუქტურების და თანამდებობების საშტატო ნუსხაში, ქობულეთის რაიონის გამგეობის: 30.01.06წ. 11 ბრძანების 11 დანართში, 17.02.06წ. 12 ბრძანებაში, 06.06.06წ. 110 განკარგულების დანართში, 08.05.06წ. 14 ბრძანების დანართში, 07.12.06წ. 16 ბრძანებაში, 21.01.08წ. 18 ბრძანების დანართში, 15.04.08წ. 189 ბრძანების დანართში არ არის მითითებული ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილებაში მითითებული თანამდებობა, რომელიც ასრულებს ... განყოფილების ფუნქციას. ამდენად, შესაბამისი სამსახურის არარსებობის გამო, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მოკლებული იყო შესაძლებლობას აღსრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.09წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სამსახურის ან თანამდებობის დასახელების შეცვლა არ ნიშნავდა მისი ფუნქციების შეცვლას. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიდა მ. ბ-ძის გათავისუფლების პერიოდისთვის რა ფუნქციებს ასრულებდა ის სამსახური, რომლის ხელმძღვანელიც იყო მ. ბ-ძე და რა ფუნქციებს ასრულებდა ახალი სამსახური და მისი ხელმძღვანელი მ. ბ-ძის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისთვის. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული სამსახური და მისი ხელმძღვანელი ემსახურებოდნენ სოციალურ საკითხებს. ქობულეთის რაიონის გამგეობა არ ასრულებდა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებას მ. ბ-ძის სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რითიც მ. ბ-ძეს მიუღებელი ანაზღაურების გამო ადგებოდა მატერიალური ზიანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრული იყო, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, შესაბამისად სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის-პროფკავშირების წარმომადგენელმა და მ. ბ-ძემ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება მოითხოვეს. გამგეობის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის არ. კომიტეტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 05.04.05წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა ქობულეთის რაიონის გამგეობის 28.01.05წ. 146 ბრძანება, რომლითაც მ. ბ-ძე განთავისუფლდა ქობულეთის რაიონის გამგეობის ... განყოფილების ... მოვალეობის შესრულებისაგან და დაინიშნა რაიონის

გამგეობის აპარატის ... განყოფილების ... **0,5** საშტატო განაკვეთზე. სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით მ. ბ-მე აღდგენილ იქნა იმ განყოფილების ... თანამდებობაზე, რომელიც ასრულებდა ... პრობლემების ფუნქციებს, მოსარჩელეს აუნაზღაურდა აგრეთვე განაცდური ხელფასი **435** ლარის ოდენობით. ქობულეთის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს **14.06.05წ.** განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ქობულეთის გამგეობის სააპელაციო საჩივარი. აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს **14.06.05წ.** განჩინება საკასაციო წესით გამგეობის მიერ არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. **13-27** სააღსრულებო ფურცლით დასტურდება, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს **05.04.05წ.** გადაწყვეტილება **19.10.05წ.** მიექცა აღსასრულებლად. ქობულეთის რაიონის გამგეობის **06.04.06წ.** განკარგულებით, ქობულეთის რაიონული სასამართლოს **05.04.05წ.** გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მ. ბ-მეს რაიონის ბიუჯეტის გამგეობის რეზერვიდან გამოეყო **435** ლარი, რითაც ნაწილობრივ აღსრულდა სასამართლოს **05.04.05წ.** გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქობულეთის რაიონის გამგეობის **30.05.06წ.** წერილით სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ გამგეობის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გამო მოხდა ... განყოფილების ლიკვიდაცია, რაც შეუძლებელს ხდიდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული **05.04.05წ.** გადაწყვეტილების აღსრულებას. გამგებლის პირველი მოადგილის იმავე თარიღით გამოცემული **120** ბრძანებით ... მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე სხვა პირი დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლო ამ გარემოების აღწერით შემოიფარგლა და არ მიუცია მისთვის რაიმე შეფასება. საკასაციო პალატისათვის მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ მ. ბ-მის ... თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტისათვის გამგეობაში არსებობდა ორი სტრუქტურა-ერთი, ... განყოფილება, რომლის ... მოვალეობასაც ასრულებდა მ. ბ-მე და რომელიც მხოლოდ გამგეობის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და მეორე, ... განყოფილება, რომელიც ორმაგი დაქვემდებარების იყო და რაიონის გამგეობასთან ერთად ექვემდებარებოდა აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ქობულეთის რაიონის ... ადგილობრივი სამსახურის, რაც დასტურდება ქობულეთის რაიონის გამგებლის **30.05.06წ.** **120** ბრძანებით აღნიშნული სამსახურის ... მოვალეობის შემსრულებლად სხვა პირის დანიშვნის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ დავა ისე გადაწყვიტა, რომ არ შეუსწავლია რეორგანიზაციამდე არსებული გამგეობის ორი განყოფილების ფუნქციონალური დატვირთვა, მათი ხელმძღვანელად დანიშვნის წესი, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სტრუქტურული ერთეულის – ... ადგილობრივი სამსახურის ფუნქციები, არ დადგენილა თუ რატომ არ იყო შესაძლებელი ამ სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მ. ბ-მის აღდგენა, რით განსხვავდებოდა აღნიშნული სამსახურის ფუნქციები ... განყოფილების ფუნქციებისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ. ბ-მე. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სამსახურის სტრუქტურული დაქვემდებარება, გამგეობის ახალი სტრუქტურული დანაყოფის ორმაგი დაქვემდებარების შემთხვევაში განყოფილების უფროსის დანიშვნის წესი, გამგეობის კომპეტენცია უფროსის დანიშვნის საკითხში და შესაბამისად გამგეობის სათანადო მოპასუხეობის საკითხი. ფუნქციონალური დატვირთვის გამოკვლევის გარეშე სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანამდებობის არარსებობის გამო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია, არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან სასამართლოს არ უმსჯელია თუ რა არის მითითებული ქობულეთის რაიონული სასამართლოს **05.04.05წ.** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში: განყოფილების დასახელება თუ ფუნქცია, სააპელაციო პალატამ არ გასცა პასუხი მოსარჩელის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ გათავისუფლებამდელი თანამდებობის არარსებობის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითა, რომ მ. ბ-მე უნდა აღდგენილიყო იმ განყოფილების ... თანამდებობაზე, რომელიც ასრულებდა ... პრობლემების ფუნქციებს, ამასთანავე სასამართლოს არ გაურკვევია სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია. სააპელაციო სასამართლომ ქობულეთის რაიონის გამგებლის **18.01.05წ.** **11**, **26.10.05წ.** **113**, **30.901.06წ.** **11**, **17.02.06წ.** **12** ბრძანებების, **06.06.06წ.** **1110** განკარგულების, **08.05.06წ.** **14**, **21.01.08წ.** **18**, **15.04.08წ.** **189** ბრძანებების დანართებზე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **07.12.06წ.** **16** დადგენილების დანართებზე მითითებით დააკვნა, რომ აღნიშნული აქტებით დამტკიცებული საშტატო განაკვეთები არ ითვალისწინებდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს **05.04.05წ.** გადაწყვეტილებაში მითითებულ თანამდებობას. ხსენებული აქტებით დამტკიცებული საშტატო განრიგებით არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ასეთი თანამდებობის არარსებობის თაობაზე, ვინაიდან დამტკიცებული საშტატო განაკვეთებით განსაზღვრულია ისეთი განყოფილებები, რომლებიც შესაძლოა ასრულებდნენ ... პრობლემების ფუნქციებს. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმე მსჯელობას იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ არის ამჟამად გამგეობის სტრუქტურაში მოქმედი ... სამსახურის ის განყოფილება, რომელიც ... პრობლემების ფუნქციებს ახორციელებს, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია გამგეობის საშტატო განრიგით გათვალისწინებული სტრუქტურის ფუნქციონალური დატვირთვა, რომლის სახელწოდება ინოვაციური ცვლილებების პერიოდში შესაძლოა პერმანენტურ ცვლილებებს განიცდიდეს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ... ფუნქციების შესრულებას. «ადგილობრივი თვით-

მმართველობისა და მმართველობის შესახებ» 16.10.97წ. საქართველოს ორგანული კანონის 7.1 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა შორის გათვალისწინებული იყო დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება, ასევე საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა მშენებლობისათვის ხელის შეწყობა. ამავ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების პროგრამების განხორციელების ორგანიზებას. ანალოგიურ დებულებებს შეიცავდა აგრეთვე ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის 21.12.98წ. 1702 ბრძანებულებით დამტკიცებული «რაიონის გამგეობის დებულება». «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» 16.12.05წ. საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების საქმიანობის ხელშეწყობა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმ განყოფილების ... თანამდებობის არარსებობის თაობაზე, რომელიც ... პრობლემების ფუნქციებს ასრულებს დაუსაბუთებელია, ასეთი თანამდებობის არარსებობა საჭიროებს სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებათა ანალიზს.

დაზუსტებას საჭიროებს აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ გარკვევას საჭიროებს თუ რას ისახავს მიზნად მოსარჩელის მოთხოვნა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ, იძულებითი განაცდურის თუ გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურებას, დადგენას საჭიროებს აგრეთვე მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა, მოთხოვნილ თანხაში განყოფილების ... თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ 2006 წლის 3 თებერვლამდე მიღებული ხელფასის, აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული 05.04.05წ. გადაწყვეტილებით გათვალისწინებული განაცდურის თანხის ანაზღაურების გათვალისწინება. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში დადგენას საჭიროებს მ. ბ-ძის ხელფასი განყოფილების ... თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტში.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, აღნიშნული სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, რაც თავის მხრივ სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის ა.რ. კომიტეტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.09წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ სამსახურიდან დათხოვნის დაუშვებლობა**

**განჩინება**

18ს-272-262(კ-10)

16 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 23 თებერვალს ლ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სარწყავი სისტემების (სიონის წყალსაცავი) სამმართველოს მიმართ და მოითხოვა სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემის სამმართველოს უფროსის 2006 წლის 24 იანვრის 17 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, ასევე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1998 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოში და აწარმოებდა .... მუშაობის პერიოდში მას არ ჰქონია მიღებული რაიმე სახის დისციპლინური სასჯელი. 2006 წლის 24 იანვარს იგი გათავისუფლებული იქნა სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სარწყავი სისტემების სამმართველოს უფროსის 17 ბრძანებით, რაც მოსარჩელეს მიაჩნდა უკანონოდ და თვლიდა, რომ ბრძანებას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი და ეყრდნობოდა არარსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სარწყავი სისტემების სამმართველოს უფროსის 2006 წლის 24 იანვრის 17 ბრძანება ლ. ბ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს საქართველოს შრომის კოდექსისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დაევალა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავდა, რომ ლ. ბ-შვილი მუშაობდა რა ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს წყალსაცავის ... თანამდებობაზე, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, ამასთან, ამავე კოდექსის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. კანონის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე მიიღოს მოხელე. სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-ბრძანებით.

ვინაიდან, ბრძანების სამართლებრივი შედეგია საჯარო შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მიმართულია საჯარო შრომითი სამართალურთიერთობის შეწყვეტისაკენ და აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების კანონიერებაზე დავები განხილული უნდა იქნეს და სასამართლომ უნდა იმსჯელოს ბრძანების, როგორც ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე. სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ამ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონითა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ნორმებით დადგენილ მოთხოვნებთან.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მოხელეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება.

სასამართლო მიუთითებდა, რომ მოსარჩელე ლ. ბ-შვილს სასამართლოში სარჩელი აღძრული აქვს 2006 წლის 23 თებერვალს, ხოლო სადაო ბრძანება გამოცემულია 2006 წლის 24 იანვარს, ამდენად, მოსარჩელის მიერ დაცულია «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

სადაო ბრძანებაში მითითებულია, რომ ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს წყალსაცავის ... მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლებული იქნა ლ. ბ-შვილი «სა-

ჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნულ მუხლს მე-3 პუნქტი არ გააჩნია, ხოლო ამავე კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინარული გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 78-ე მუხლის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული ან არაჯეროვანი შესრულება ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა გ) ზოგადხეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

ამდენად, კანონით რეგლამენტირებული არ არის, კონკრეტულად რა ითვლება სამსახურებრივ მოვალეობათა ისეთ უხეშ დარღვევად, რის გამოც მოხელეს სამსახურიდან შედარებით მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გარეშე პირდაპირ დაითხოვენ. დისციპლინური გადაცდომის შეფასების უფლებამოსილება გააჩნია დაწესებულების ხელმძღვანელობას, მაგრამ თუ ეს შეფასება უსაფუძვლოა, მოხელეს შეუძლია დაიცვას საკუთარი უფლებები. მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით, მას ასევე შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა. ხოლო დისციპლინური სასჯელის დადებამდე დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო დისციპლინური სასჯელის გამოყენების შემდეგ ბრძანებას მისი გამოყენების მოტივების მითითებით მოხელეს, რომელსაც დაედო სასჯელი, გამოუცხადებენ ან შეატყობინებენ ხელწერილის ჩამორთმევით, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 103-ე მუხლის თანახმად, მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლის თანახმადაც, მას შეეფარდა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, ან სასჯელი, რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას. მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადაო ბრძანების მიღების დროს შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შეწავლილი. ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია, რის გამოც სასამართლოს მიაჩნია, რომ სადაო ბრძანება – ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე.

ამასთან, სასამართლომ გაიზიარა, რომ მოსარჩელეს აქვს სადაო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადაო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სარწყავი სისტემების სამმართველოს უფროსის 2006 წლის 24 იანვრის 17 ბრძანება და არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადაო ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით მოპასუხეს დაევალოს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 26 დეკემბრის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება ადმინისტრაციულ საქმეზე 13ბ/3335-06 სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს სააპელაციო საჩივრისა გამო მოწინააღმდეგე მხარე ლ. ბ-შვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს უფლებამონაცვლის დადგენამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე 13ბ/3335-06 განახლდა საქმის წარმოება. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე მითითებით სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტას.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, რის შედეგადაც საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის საფუძველზე მიღებულ იქნა არასწორი გადაწყვეტილება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არასწორად იქნა ჩაბმული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისია, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს უფლებამონაცვლე.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სალიკვიდაციო კომისიისათვის სავალდებულო ვერ გახდება ყველა იმ მოქმედების შესრულება იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ვერ შესძლებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას.

კასატორი ასევე მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი და ამავე კოდექსის 281-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტის გამო, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და თავის მხრივ აღნიშნავს შემდეგს: პროცესუალური მოწინააღმდეგე ლ. ბ-შვილი მუშაობდა რა ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემის სამმართველოს წყალსაცავის მექანიკოსის თანამდებობაზე, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

ლ. ბ-შვილზე, როგორც საჯარო მოსამსახურეზე, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები. მითითებული კანონის 99.2 მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის

დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოსამსახურის თანამდებობიდან დათხოვნის პროცესში სარგებლობს გარკვეული დისკრეციით, მაგრამ იმავედროულად სრულად ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო ზემოაღნიშნული სახის აქტის გამოცემისას გათავისუფლებული არ არის აქტის დასაბუთების ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უარყოფას. სამართლის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას რამდენიმე სასურველი გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი, როგორც ქვევის ზოგადი წესი, განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას განსაზღვრული ურთიერთობა დაარეგულიროს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონიერების ფარგლებში.

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სადავო ბრძანების გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მოხელის გათავისუფლებას შრომითი კოლექტივის საერთო კრების ოქმის საფუძველზე, აგრეთვე არ იყო განსაზღვრული სამსახურივი ურთიერთობის შეჩერების, შეწყვეტის და შრომითი ურთიერთობის აღდგენის შემთხვევაში მითითება შრომითი კოლექტივის თანხმობის არსებობის ვალდებულება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაზე იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ გააჩნია კანონიერი საფუძველი, სადავო აქტს არ აქცევს კანონიერად.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას აქტის კანონშეუსაბამობის თაობაზე, იმავედროულად არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებას და თვლის, რომ საქმეში დაცული მასალები სააპელაციო სასამართლოს აძლევს საშუალებას მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება.

საგულისხმოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას და აღნიშნავს, რომ სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიას აკისრია დროებითი უფლებამოსილება გაატაროს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები. კერძოდ, მოახდინოს სალიკვიდაციო ობიექტის ბალანსზე რიცხული ქონებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა სრული ინვენტარიზაცია, კრედიტორული დავალიანებების დაფარვის უზრუნველყოფა, დაწესებულების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხების განაწილება, გადაწყვიტოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების სამართლებრივი ბედი და შემდგომ ამისა, შეადგინოს სალიკვიდაციო ბალანსი.

სალიკვიდაციო კომისიის ფუნქციონალური და უფლებრივი დატვირთვა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს გაიზიაროს კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისია, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ზემო სამგორის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს უფლებამონაცვლედ, არ არის უფლებამოსილი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იმსჯელოს სამსახურში აღდგნა/გათავისუფლების საკითხებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არამართებულად მიიჩნევს სალიკვიდაციო კომისიისათვის პირის სამსახურებრივი მოწყობის თაობაზე აქტის გამოცემის დავალებას და თვლის, რომ სასამართლომ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით თვითონ უნდა გადაწყვიტოს უფლებრივი საკითხი, რა მიზნითაც საქმეს განსახილველად უბრუნებს იმავე სააპელაციო სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და



## დაადგინა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის შემოწმება

### განჩინება

18ს-415-402 (კ-10)

15 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი გაცდენილი პერიოდის ხელფასის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 ივნისს ნ. კ-იამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ და მოითხოვა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15300-პ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა შემდეგ გარემოებებზე: 1993 წლიდან მუშაობდა თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის საგადასახადო ინსპექციის .... 2008 წლის 1 აგვისტოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 15300-პ ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დაწესებულების რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით. ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ არის უკანონო, ვინაიდან დაწესებულებაში რეორგანიზაცია არ განხორციელებულა, არც შტატების შემცირებას არ ჰქონია ადგილი. მის თანამდებობაზე მიიღეს სხვა პირი ნ. ჯ-ია.

მოპასუხე-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა სარჩელი არ სცნო და მოითხოვა აღნიშნულის უარყოფა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მისი საშტატო ერთეული არ შემცირებულა და მის ადგილზე მიიღეს სხვა თანამშრომელი.

სასამართლომ მიუთითა, რომ გლდანი-ნამალადევის განყოფილება წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც, ცალკე აღებული, საქართველოს კანონის «საბიუჯეტო სისტემების შესახებ» მე-2 მუხლის «ი» პუნქტის თანახმად, მხარჯავ დაწესებულებაში არ მოიაზრება და დამოუკიდებელ დაწესებულებას არ წარმოადგენს. თბილისის რეგიონალური ცენტრის და გორის საგადასახადო ინსპექციის რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება, რომელიც საკმარის საფუძველს წარმოადგენდა მოსამსახურის სამსახურიდან გასათავისუფლებლად. აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად, თბილისის რეგიონალური ცენტრის მომსახურების გლდანი-ნამალადევის რაიონის განყოფილების ... ნ. კ-ია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2008 წლის 1 აგვისტოს 15300-პ ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ არც «საჯარო სამსახურის შესახებ» და არც «შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი რეორგანიზაციის და შტატების შემცირებისას სამსახურში დარჩენის უპირატესობას არ ანიჭებს აფხაზეთიდან დევნილ პირებს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე-34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით

გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15300-პ ბრძანება ნ. კ-იას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ ეწინააღმდეგებოდა «შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონს, ასევე «საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 19 ივნისის 1530 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესს», ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაცული იყო როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური კანონიერების მოთხოვნები და აღნიშნულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება ნ. კ-იას მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით, რომლის საფუძველზეც აპელანტი ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. კ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15300-პ ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ასევე დაევალა აუნაზღაუროს მოსარჩელეს განაცდური ხელფასი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან არ დაეთანხმა მათ თაობაზე სასამართლო კოლეგიის დასკვნებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად თბილისის საგადასახადო ინსპექციაში (რეგიონალურ ცენტრში) განხორციელებული რეორგანიზაციისა, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2008 წლის 23 ივლისის 11732 და 2008 წლის 11826 ბრძანებებით შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სამტატო ნუსხების ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ იმ სტრუქტურულ ერთეულში, კერძოდ, ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში, რომელშიც კ-ია მუშაობდა, სამტატო ერთეულები არ შემცირებულა. უფრო მეტიც, ამ ინსპექციის სამტატო ერთეულების რაოდენობა, როგორც ზოგადად, ისე ცალკეულ თანამდებობათა მიხედვით, რეორგანიზაციამდე და მის შემდეგ, დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15300-პ ბრძანებიდან არ ჩანდა, შემოსავლების სამსახურმა სრულყოფილად გამოიკვლია თუ არა საქმის გარემოებები და მის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის უფროსმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით მინიჭებულ დისკრეციული უფლებამოსილების ჩარჩოებში, რომელ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის, და არა სხვა თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ, ანდა საერთოდ, თბილისის საბაჟო დეპარტამენტში მომხდარი რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევდა თანამშრომელთა შტატების შემცირება, შეეხო თუ არა და როგორ, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) გლდანი-ნამალადევის განყოფილებას, რომელშიც რეორგანიზაციის შემდეგაც სამტატო ერთეულების რაოდენობა დარჩა იგივე.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ შემოსავლების სამსახურს ნ. კ-იას თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე სადავო ბრძანების გამოცემისას სრულყოფილად არ გამოუკვლევიდა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, ამიტომაც, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად სცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს 15300-პ ბრძანება ნ. კ-იას თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და შემოსავლების სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ გამოეცა ახალი აქტი.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ნორმათა შეფარდების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამ თვალსაზრისით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპებს და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების დარღვევით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს ბრძანება 15300-3 ნ. კ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დავის საგანი – ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც ნიშნავს იმას, რომ სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3 მუხლის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალოდ ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

ამდენად, შეცვლებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს დასაშვებობის იმ პირობებს, რომელსაც აღნიშნული სახის სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს.

უდავოა, რომ გასაჩივრებული აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს და ნ. კ-ია წინამდებარე დავაში წარმოადგენს დაინტერესებულ პირს. რაც შეეხება დასაშვებობის მე-2 პირობას, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე ამ თვალსაზრისით საჭიროებს დამატებით გამოკვლევას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილში გაკეთებულ დათქმას კანონით გათვალისწინებულ ვადებზე და აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლი აკეთებს ცალსახა მითითებას სამსახურებრივ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების 1 თვის ვადაში გასაჩივრების სავალდებულობის თაობაზე. კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 აგვისტოს ბრძანება 15300-3 თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მომსახურების სამმართველოს გლდან-ნაძალადევის განყოფილების ... – ნ. კ-იას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. იმავე აქტზე განხორციელებული ჩანაწერით დასტურდება, რომ ნ. კ-იას ზემოაღნიშნული აქტი ჩაბარდა 2009 წლის 12 თებერვალს, აღნიშნულს მხარე ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში. ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დენის დასაწყისს უკავშირებს აქტის მხარისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გადაცემას, საკასაციო სასამართლო, მიუხედავად აქტის გამოცემის თარიღისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებისა, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელისათვის იმავე თვეს ცნობილი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, ვადის ათვლის დასაწყისს უკავშირებს 2009 წლის 12 თებერვალს, ანუ იმ მომენტს, როდესაც ნ. კ-იას კანონით დადგენილი წესის დაცვით გადაეცა ბრძანება მისი სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე.

აქტის ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის თაობაზე მოთხოვნა სასამართლოში შეტანილია 2009 წლის 16 ივნისს, ამდენად მოსარჩელისათვის აქტის გადაცემიდან, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, გასულია ოთხი თვე.

როგორც უკვე აღინიშნა, შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების თაობაზე აღძრული სარჩელი განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, შესაბამისად ამ კატეგორიის დავები გადიან ყველა იმ სტადიას, რაც დადგენილია აღნიშნული სამართალწარმოებისათვის. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კი სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი უკავშირდება სარჩელის დასაშვებობის საკითხს, რის გამოც, მიუხედავად მხარეთა მოთხოვნის არსებობისა, სასამართლო ვალდებულია, საკუთარი

ინიციატივით დაადგინოს და გამოიკვილოს სარჩელის დასაშვებობის კანონით დადგენილი პირობების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ექვემდებარება აყენებს რა აქტის გასაჩივრების ერთგვარი ვადის გაშვების ფაქტს, საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვილოს და დაადგინოს, არსებობს თუ არა გასაჩივრების ვადის აღდგენის კანონით გათვალისწინებული საფუძველი და მხოლოდ აღნიშნულის დადებითად გადაწყვეტის შემდგომ იქონიოს მსჯელობა აქტის მატერიალურ კანონიერებაზე. ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

18ს-474-454(კ-10)

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაო-ოზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 30 ივლისს კ. მ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ და ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2003-2005 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ... განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად, განყოფილების გამგის მოადგილედ, გამგეობის ... თავმჯდომარის მოადგილედ, ... განყოფილების ... კომიტეტის თავმჯდომარედ და ა.შ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2005 წლის 13 აპრილს ქ. თბილისის მერიაში ჩატარებული რეორგანიზაციის საფუძველით განთავისუფლეს სამსახურიდან. მოსარჩელის განმარტებით, მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 აპრილის '240/1-03 და 2006 წლის 21 დეკემბრის '614/1-03 განკარგულებები სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრებული ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულების თანახმად, იგი სამსახურიდან განთავისუფლებულად 2005 წლის 13 აპრილიდან ჩაითვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, მოპასუხემ დაარღვია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტები, აგრეთვე ამავე კოდექსის 206-ე და 207-ე მუხლები და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე, 97-ე მუხლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით კ. მ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულების მე-4 პუნქტი განთავისუფლების ვადის მითითების ნაწილში (2005 წლის 13 აპრილიდან); კ. მ-იას სარჩელი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლას მოსარჩელისათვის 2005 წლის 13 აპრილიდან 2008 წლის 9 ივლისამდე პერიოდის განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაეკისრა; კ. მ-იას სარჩელი ქ. თბილისის ვაკე საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულების სამსახურიდან დათხოვნის ნაწილში ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და 2008 წლის 9 ივლისის შემდგომი პერიოდის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-იამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლამაც. აპელანტმა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. მ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; კ. მ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ კ. მ-იას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2005 წლის 13 აპრილის '1240/1-03 და 2006 წლის 21 დეკემბრის '614/1-03 განკარგულებები სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულებით ცნობად იქნა მიღებული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2006 წლის 21 დეკემბრის '614/1-03 განკარგულება, კ. მ-იამ უარი განაცხადა შეთავაზებულ თანამდებობაზე – ... გაყოფილების ... დანიშვნაზე, სასამართლო გადაწყვეტილებით გამგებლას იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება არ დაკისრებია, რის გამოც იგი სამსახურიდან განთავისუფლებულად 2005 წლის 13 აპრილიდან ჩაითვალა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოიცა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის განთავისუფლება მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის შესაბამისად განხორციელდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 2005 წლის 13 აპრილისათვის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების გამო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხელეს შესთავაზებდნენ სხვა თანამდებობას და იგი უარს განაცხადებდა ამ თანამდებობაზე დანიშვნაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულების თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, კ. მ-იას შესთავაზეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის ... განყოფილებაში ... თანამდებობაზე დანიშვნა, რაზედაც მან უარი განაცხადა. ამასთანავე, გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით გამგებლას კ. მ-იასათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება არ დაკისრებია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულება იყო კანონიერი და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 იანვრის და 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებებით, კ. მ-იას სარჩელი იძულებითი განაცდურის (ხელფასის) ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილებულა, რაც მოსარჩელეს კანონმდებლობით დადგენილი წესით (სააპელაციო საჩივრის წარდგენით) სადავოდ არ გაუხდია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში იყო უსაფუძველო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-იამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. მ-იას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი კ. მ-იას საკასაციო საჩივარი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2005 წლის 13 აპრილის '240/1-03 განკარგულების თანახმად, «ქ. თბილისის მერიის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 4 მარტის '21 განკარგულების მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის '10 ბრძანებით დამტკიცებული ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის შესაბამისად, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის თანახმად, კ. მ-ია განთავისუფლდა სამსახურიდან. 2005 წლის 13 მაისს კ. მ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ გამგებლის მიმართ და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2005 წლის 13 აპრილის '240/1-03 განკარგულების მისი განთავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასის და მისი კუთვნილი მანქანის ამორტიზაციისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით კ. მ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელეს განთავისუფლების ნაწილში სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 13 აპრილის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის '240/1-03 განკარგულება და მოპასუხეს – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლას ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევალა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ავტომანქანის ამორტიზაციისა და რემონტის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 23 მაისის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 ოქტომბრის განჩინებებით.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2006 წლის 21 დეკემბრის '614/1-03 განკარგულება და მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევალა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინებებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოიცა გასაჩივრებული ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის '67/1-03 განკარგულებით ცნობად იქნა მიღებული, რომ სასამართლო გადაწყვეტილება

ყვეტილებით გამგეობას კ. მ-იასათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება არ დაკისრებია, რის გამოც, იგი სამსახურიდან განთავისუფლებულად 2005 წლის 13 აპრილიდან ჩაითვალა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 იანვრის და 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებებით, კ. მ-იას სარჩელი იძულებითი განაცდურის (ხელფასის) ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილებულა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში კ. მ-ია გამგეობის განკარგულებების ბათილად ცნობასთან ერთად, სამსახურში აღდგენას და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებას ითხოვდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსიდან გამომდინარე, კ. მ-იას უარი ეთქვა მხოლოდ სამსახურში აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო (ხელფასი). ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად კი, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლება-მოხილია, მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებულ შრომით უფლებების დაცვისა და შრომის ანაზღაურების პრინციპებს. ამდენად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს კანონი აძლევს უფლებას, მოითხოვოს იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 დეკემბრის 'ბს-1230-805(კ-05) და 2005 წლის 28 ნოემბრის 'ბს-1043-625(კ-05) განჩინებებზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს, პირის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემიდან ახალ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ამასთან, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ითვლება, რომ მოხელე, კანონით დადგენილი წესით, სამსახურიდან განთავისუფლებული არ არის, რის გამოც მას მიეცემა იძულებითი განაცდური ხელფასი, იმ ხელფასის შესაბამისად, რომელსაც იგი იღებდა სადავო ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემამდე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში როდესაც, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 აპრილის '240/1-09 და 2006 წლის 26 დეკემბრის '614/1-03 განკარგულებები, მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე უარის თქმა საფუძველს მოკლებულია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, თუ რამდენად დასაშვებია მოსარჩელის განთავისუფლება წინა რიცხვიდან ანუ 2005 წლის 13 აპრილიდან, მაშინ როდესაც მისი განთავისუფლების შესახებ განკარგულება 2008 წლის 9 ივლისს არის გამოცემული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე!» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე!» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კ. მ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

18ს-342-331(კ-10)

20 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

**დავის საგანი:** შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ს. ზ-შვილმა 23.07.09წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიისა და თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს მიმართ, რომლითაც თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერის 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანებისა და თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს 24.06.09წ. 1229 განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.10.08წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერის 20.04.07წ. 1838 «კ» ბრძანება ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და მერიას დაევალა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქ. ქუთაისის მერიაში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შედეგადაც ქ. ქუთაისის მერის 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანების საფუძველზე ს. ზ-შვილი 2007 წლის 20 აპრილიდან გათავისუფლდა მერიის ...



საქალაქო სამსახურის ... თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოში, რომლის **24.06.09წ. 1229** განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. მოსარჩელის მითითებით, ქ. ქუთაისის მერის **06.04.09წ. 1328** «კ» ბრძანება და ქ. ქუთაისის საკრებულოს **24.06.09წ. 1229** განკარგულება ეწინააღმდეგება კანონს და ლახავს მის უფლებებს. დარღვეულია მათი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც ქმნის სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძველს. კერძოდ, მოპასუხის მიერ დარღვეულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-13 და 97-ე მუხლების, სზაკ-ის მე-6, მე-7 და **53.4** მუხლებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **20.10.08წ.** გადაწყვეტილების მოთხოვნები. სადავო აქტები გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ვინაიდან ს. ზ-შვილის აზრით მოპასუხის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას სათანადო შეფასება არ მიეცა მისი პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურომის ხარისხს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **30.10.09წ.** გადაწყვეტილებით ს. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერის **06.04.09წ. 1328** «კ» ბრძანება, ქ. ქუთაისის საკრებულოს **24.06.09წ. 1229** განკარგულება; ქ. ქუთაისის მერს დაევალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. ზ-შვილის მერიის ... საქალაქო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს დარჩენილ თანამშრომლებთან შედარებით უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ... ორი შტატი არ შემცირებულა, **2008 წლის** მდგომარეობით არის ... ერთი შტატი, მეორე შტატს შეეცვალა სახელწოდება და ნაცვლად ... დაერქვა .... მერის სადავო აქტი არ შეიცავს დასაბუთებას იმისა, თუ რა გახდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, სზაკ-ის **53.1** მუხლის თანახმად აქტი წერილობით დასაბუთებას უნდა შეიცავდეს, ხოლო თუ ორგანო აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითება ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემისას.

ქ. ქუთაისის საკრებულოს **1229** განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ საკრებულო არ წარმოადგენს მერიის ზემდგომ ორგანოს და მოსარჩელეს უფლება ჰქონდა მერის ბრძანება გაესაჩივრებინა პირდაპირ სასამართლოში. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მოქმედების განუხორციელებლობა – განაცდურის ხელფასის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესებს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **30.10.09წ.** გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ქუთაისის მერიამ და ქ. ქუთაისის საკრებულომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **25.01.2010წ.** გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს სააპელაციო საჩივრები, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **30.10.09წ.** გადაწყვეტილება და ს. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერის **04.01.07წ. 147** ბრძანებით ს. ზ-შვილი დაინიშნა მერიის ... საქალაქო სამსახურის ... სამთვიანი საგამოცდო ვადით – **2007 წლის 3** იანვრიდან – **3** აპრილამდე. ქ. ქუთაისის მერის **26.01.07წ. 130** ბრძანებით ცვლილება-დამატებები იქნა შეტანილი საშტატო განრიგში, მერის **18.04.07წ. 1351** ბრძანებით დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი, რის შედეგადაც ... საშტატო ერთეულების რაოდენობა **6** ერთეულით შემცირდა. **20.04.07წ. 1838** ბრძანებით ს. ზ-შვილი «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის **97.3, 108-ე, 109-ე** მუხლების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **20.10.08წ.** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ს. ზ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ **20.04.07წ.** ბრძანება კანონის მოთხოვნის უგულვებელყოფით იქნა გამოცემული, რის გამოც მერიას დაევალია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ახალი აქტის გამოცემისას მერიის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. მსჯელობის საგნად იქცა ... სამსახურში დასაქმებული თითოეული მოხელის კვალიფიკაცია, პროფესიული ჩვევებისა და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან და მიღებულ იქნა დასაბუთებული გადაწყვეტილება მერის **06.04.09წ. 1328** «კ» ბრძანების სახით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა, რომ მერიის ... საქალაქო სამსახურში შტატების შემცირებისას ს. ზ-შვილთან შედარებით სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლებით ისარგებლეს მოხელეებმა კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმისა და პიროვნული უნარ-ჩვევების გათვალისწინების შედეგად. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის **96-ე-97-ე** მუხლები უშვებს სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას, უფლებას ანიჭებს დაწესებულების ადმინისტრაციას გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემამდე შეაფასოს მოხელის პროფესიონალიზმი და პიროვნული მახასიათებლები და მიიღოს გადაწყვეტილება იმ მოხელის სამუშაოზე დატოვების შესახებ, რომლის კვალიფიკაცია და პროფესიული უნარ-ჩვევები შეესაბამება სამსახურის მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს კონტროლი დაწესებულებათა გადაწყვეტილებების შემოწმებისას ვრცელდება ამ გადაწყვეტილებების კანონიერება-დასაბუთებულობაზე და არა მიზანშეწონილობაზე. კვალიფიკაციის დონის და სპეციალობის გათვალისწინებით ცალკეულ მუშაკთა სამუშაოზე

დატოვების საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება ადმინისტრაციის დისკრეციის სფეროს. სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას სხვა (სამუშაოზე დარჩენილ) მოხელეთა კვალიფიკაციის საკითხზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 38.8 მუხლის, 39.4 მუხლის «გ» ქვეპუნქტი გამორიცხავს თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს (თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს) რაიმე სახის კონტროლს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის (ქალაქის მერის) მიერ «საჯარო სამსახურის შესახებ» ორგანული კანონის საფუძველზე გამოცემულ აქტებზე. ამდენად, საკრებულოს 24.06.09წ. 1229 განკარგულება დაინტერესებული პირის მიმართ არ წარმოშობს იურიდიული ძალის მქონე შედეგს და მისი ბათილობის შესახებ მოთხოვნა მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით გამოცემული აქტი საჩივრის ერთეულოდ წარდგენის გარეშე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულომ არსებითად, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით, იმსჯელა ს. ზ-შვილის საჩივარზე და არ განუმარტა მას სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127.1 მუხლის დარღვევით წარდგენილი სარჩელი დასაშვებია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.01.2010წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ს. ზ-შვილის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, უსაფუძვლოდ უარყო მის მიერ წარდგენილი და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული წერილობითი მტკიცებულებები და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. კასატორი უთითებს, რომ უსაფუძვლოდ მოხდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, ვინაიდან შტატების შემცირებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, არასწორად მოხდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის გამოყენება. ამასთანავე, დარღვეულია აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც ქმნის სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია. სასამართლომ უნდა დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება და გაითვალისწინოს სზაკ-ის 53.4 მუხლის მოთხოვნები. ასევე, საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ქ. ქუთაისის მერს არ ჰქონდა უფლება 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანებით ს. ზ-შვილი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა 2007 წლის 20 აპრილიდან, მას უსაფუძვლოდ ეთქვა უარი იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ს. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორი ს. ზ-შვილი, დაბადებული 31.08.58წ., არის საშუალო სპეციალური განათლების მქონე, ... აღრიცხვის სპეციალობით, ს. ზ-შვილი 1978-2007 წლებში მუშაობდა ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურში. ქ. ქუთაისის მერის 26.01.07წ. 130 ბრძანებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი «თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულების (მერიის აპარატისა და საქალაქო სამსახურის) საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ» ქ. ქუთაისის მერის 29.12.06წ. 1623 ბრძანების 111 დანართში. ამასთანავე, ქ. ქუთაისის მერის 18.04.07წ. 1351 ბრძანებით დამტკიცდა თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების (მერიის აპარატისა და საქალაქო სამსახურის) საშტატო განრიგი და ქ. ქუთაისის მერის 29.12.06წ. 1623 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის ... საშტატო ერთეულების რაოდენობა შემცირდა 6 ერთეულით.

ქ. ქუთაისის მერის 20.04.07წ. 1838 ბრძანებით, კასატორი ს. ზ-შვილი ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... თანამდებობიდან გათავისუფლდა 2007 წლის 20 აპრილიდან, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტებისა და 108-ე, 109-ე მუხლების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.10.08წ. გადაწყვეტილებით, რომლითაც მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოეცა ახალი აქტი. ქ. ქუთაისის მერის 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანების საფუძველზე, ს. ზ-შვილი 2007 წლის 20 აპრილიდან ხელმეორედ გათავისუფლდა თანამდებობიდან.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.01.2010წ. გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ს. ზ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა 20.04.07წ. – 06.04.09წ. პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლოს არ მოყავს არც ერთი არგუმენტი შრომითი გასამრჯელოს გაცე-

მაზე უართან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილთან დაკავშირებით სახეზეა 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შემთხვევა, გადაწყვეტილების დასაბუთება ამ ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. ამასთანავე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 110-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. ქ. ქუთაისის მერის 20.04.07წ. 1838 «კ» ბრძანება, რომელიც გახდა ს. ზ-შვილისათვის სამსახურიდან გათავისუფლებისა და შესაბამისად, ხელფასის შეწყვეტის საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 20.10.08წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაწყვეტლად და მერიას დაევალა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე. მიუხედავად ამისა, სადავო აქტი იძულებითი განაცდურის თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით რაიმე მითითებას არ შეიცავს და ს. ზ-შვილის თანამდებობიდან ათავისუფლებს არა სადავო ბრძანების გამოცემის, არამედ თავდაპირველი, ბათილად ცნობილი აქტის გამოცემის რიცხვიდან, ამასთანავე სასამართლო არ ასაბუთებს სადავო აქტისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭების კანონიერებას. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერის 20.04.07წ. 1838 «კ» ბრძანება არ წარმოადგენს ს. ზ-შვილის სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივ საფუძველს და შესაბამისად, შრომითი გასამრჯელოს გაუცემლობის პირობას, ვინაიდან, ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება და შესაბამისი ბრძანება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას, ამასთანავე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე. კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების დადგენა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ს. ზ-შვილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ქ. ქუთაისის მერის 20.04.07წ. 1838 «კ» ბრძანების ბათილად ცნობა წარმოშობს ადმინისტრაციის ვალდებულებას აღადგინოს ხსენებულ ბრძანებამდე არსებული მდგომარეობა. ამასთანავე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლი განსაზღვრავს მოთხოვნის უფლებას სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამდენად, სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37.1 მუხლის საფუძველზე 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანების გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საკითხზე.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127.1 მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. აღნიშნული არ გამოიცხადება სარჩელის აღძვრამდე ადმინისტრაციული რესურსის ამოწურვის, მერის სადავო აქტთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას. საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საკრებულო არ იყო უფლებამოსილი განეხილა ს. ზ-შვილის საჩივარი, ამ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო პალატა წინააღმდეგობრივ პოზიციას ავლენს, ერთის მხრივ უთითებს საკრებულოს კომპეტენციის არარსებობაზე განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი, ხოლო მეორეს მხრივ ძალაში ტოვებს საკრებულოს აქტს, რომლითაც უარი ეთქვა ს. ზ-შვილს მერის სადავო აქტის გაუქმებაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 44.4 მუხლის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის (მერის) სამართლებრივი აქტების შეჩერებისა და გაუქმების უფლება აქვს საკრებულოს. საკრებულოს აღნიშნული უფლებამოსილება თავისთავად გულისხმობს საკრებულოს უფლებამოსილებას განიხილოს მერიის გადაწყვეტილების მიმართ შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი. ამასთანავე, ქ. ქუთაისის მერის 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანებით ს. ზ-შვილს განემარტა ბრძანების ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. ქუთაისის საკრებულომ არსებითად იმსჯელა ს. ზ-შვილის მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე, რომელიც არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის მოტივით. ამდენად, ს. ზ-შვილს გააჩნდა სარჩელის აღძვრამდე საკრებულოსადმი მიმართვის, ხოლო საკრებულოს ს. ზ-შვილის საჩივრის განხილვის სამართლებრივი საფუძველი, საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებიდან სარჩელი აღძრულია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად მართებულია სარჩელის დასაშვებად ცნობა და არსებითი განხილვა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. ზ-შვილი გათავისუფლდა ქ. ქუთაისის მერიის ... სამსახურის ... თანამდებობიდან შტატით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირების გამო. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას გაათავისუფლოს მოხელე დაწესებულების შტატებით გათვალისწინე-

ბულ თანამდებობათა შემცირებისას. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ნორმა პირდაპირ არ უთითებს დისკრეციული უფლებამოსილების ტერმინს, ნორმის შინაარსი ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებას. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიციური კადრით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მისი მიზნის შესაბამისად (სზაკ-ის 6.2 მუხ.). შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა უკავშირდება მუშაკთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მერის სადავო ბრძანებაში ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია სზაკ-ის მე-6 მუხლი («დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი»).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია იქონიოს მსჯელობა სადავო აქტის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე ანუ მის კანონიერებაზე, დავის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა მიზანშეწონილობის მოსაზრებებით, უკანასკნელს არა აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა კანონმდებლობის ნორმატიული მოთხოვნების დაცვასთან. სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას სადავო გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის ასპექტებზე, აქტის მიზანშეწონილობის გადამოწმება სცილდება სასამართლო კონტროლის ფარგლებს, რაც ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპით არის განპირობებული, სასამართლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განხორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვერ შეცვლის ადმინისტრაციულ მიხედულებას სასამართლოს მიხედულებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, თვითნებობის ფაქტების აცილების მიზნით, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას გარკვეულწილად გაითვალისწინოს მიზანშეწონილობის, რაციონალობის ასპექტები. მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს ადმინისტრაციას უფლებამოსილებით გაათავისუფლოს სამსახურიდან მოხელე შემცირებასთან დაკავშირებით. ქ. ქუთაისის მერის **18.04.07წ. 1351** ბრძანებით დამტკიცდა მერიის ... საქალაქო სამსახურის სამშატო განრიგი, ხსენებული ბრძანებით განისაზღვრა სამსახურის და არა მისი რომელიმე ჯგუფის სამშატო განრიგი, დამტკიცებული განრიგით დასტურდება რომ ... შტატი ექვსი ერთეულით შემცირდება. შტატების შემცირებისას ადმინისტრაციას შესაძლო მისაღები გადაწყვეტილებებიდან არ აურჩევია ისეთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონით არ იყო გათვალისწინებული, საკასაციო პალატა თვლის, რომ ს. ზ-შვილის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციას არ დაურღვევია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, მაშასადამე სახეზე არ არის შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, არ დარღვეულა პროპორციულობის, თანასწორობის, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეთათვის, მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად, საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპები, რომელთა დაცვა საჭიროა არა მხოლოდ კასატორის, არამედ ... სამსახურში დარჩენილი მოხელეების მიმართაც. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით, დაცულია აქტის მომზადების და გამოცემის მოთხოვნები, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად სზაკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შესწავლილი იქნა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქტის გამოცემისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისაღები გადაწყვეტილებისათვის საჭირო ფაქტების გამოკვლევა-შესწავლას, სადავო აქტში თითოეული კანდიდატის მონაცემების მიუთითებლობა თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომლის არარსებობის შემთხვევაში საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული (სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწ.). საქმეში დაცული ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს **20.10.08წ.** გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ქ. ქუთაისის მერიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, მოკვლელ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. საქმის მასალებში დაცული იურიდიული საქალაქო სამსახურის **03.04.09წ.** დასკვნით დასტურდება, რომ შესწავლილ იქნა მერიის ... საქალაქო სამსახურის თანამშრომელთა, ... თანამდებობაზე დანიშნულ პირთა – მ. ბ.

შვილის, მ. კ-შვილის, ბ. ს-ძის, ი. რ-ძის, ზ. მ-ძის, მ. ჭ-შვილის, მ. ს-ძის, ბ. კ-შვილის, მ. ს-შვილის, ვ. ა-შვილის პირადი საქმეები, რომელნიც დარჩენენ სამსახურში ს. ზ-შვილის გათავისუფლების შემდეგ. ადმინისტრაციული წარმოების სრულფასოვნად ჩატარებას ადასტურებს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგნად იქცა თითოეული მოხელის განათლების დონე, სპეციალობა, სტაჟი, დაკავებული თანამდებობა, მიეთითა შესაბამისი ბრძანებები თითოეული მოხელის სამსახურში დანიშვნის შესახებ. ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ ყველა თანამშრომელს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება, გარდა მოსარჩელის – ს. ზ-შვილისა და მ. ს-შვილისა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. ზ-შვილს ეცნობა ქ. ქუთაისის მერიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღი, განემარტა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, ასევე სზაკ-ის 86-ე, 87-ე, 96-ე, 98-ე მუხლებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი, იგი მოწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ჩანიშნულ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისად მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია არ იყო შეზღუდული კვალიფიკაციის ისეთი გარეგნული ნიშნით, როგორცაა სტაჟი, აღნიშნული მაჩვენებელი არ წარმოადგენს სამსახურში უპირატესი დარჩენის უპირობო კრიტერიუმს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა არა დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ სრული განსაზღვრულობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა მუშაკების სამსახურებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასება, თითოეული მუშაკის პროფესიონალიზმის, შრომითი უნარ-ჩვევების, კომპეტენტურობის, მიღებული განათლების, კარიერული ზრდის პერსპექტივის, კრეატიულობის, პირადი თვისებების, თანამშრომლობის უნარის, კოლეგიალობის, რეპუტაციის, სხვა გარემოებების გათვალისწინება და კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას სხვა პირებთან შედარებით გააჩნდა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლება, საკასაციო პალატა თვლის, რომ კადრების შემცირებისას ობიექტურად, ადეკვატურად შეფასდა თანამშრომელთა პროფესიული ჩვევები, სადავო გადაწყვეტილება არ დაფუძნებულა ისეთ გარემოებაზე, რომელიც არ იქნა სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული ადმინისტრაციული წარმოების დროს (სზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხ.). ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი 20.10.08წ. გადაწყვეტილებით დავის გადაწყვეტლად სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე «ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ» მერის 20.04.07წ. 1838 «კ» ბრძანების ბათილად ცნობა არ გამოირიცხავდა საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ს. ზ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემას. შესაბამისად არ არსებობს ს. ზ-შვილის ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ქ. ქუთაისის მერიისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.01.2010წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ს. ზ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა 2007 წლის 20 აპრილიდან 2009 წლის 6 აპრილამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების და შესაბამისად ქ. ქუთაისის მერის 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანების და თვითმმართველი ქალაქის ქ. ქუთაისის საკრებულოს 24.06.09წ. 1229 განკარგულების იმ ნაწილში ბათილად ცნობაზე, რომლითაც ს. ზ-შვილი 2007 წლის 20 აპრილიდან გათავისუფლდა თანამდებობიდან. საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.01.2010წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში, კერძოდ სადავო აქტების – ქ. ქუთაისის მერის 06.04.09წ. 1328 «კ» ბრძანების და თვითმმართველი ქალაქის ქ. ქუთაისის საკრებულოს 24.06.09წ. 1229 განკარგულების დანარჩენ ნაწილებში ბათილად ცნობაზე, ს. ზ-შვილის ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ქ. ქუთაისის მერისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებაზე უარის თქმის ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-664-642(კ-10)

3 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 27 ოქტომბრის 1218 ბრძანების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება სამუშაოზე აღდგენის თაობაზე და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 20 ნოემბერს ი. ვ-მემ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 27 ოქტომბრის 1218 ბრძანების ბათილად (უკანონოდ) ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება სამუშაოზე აღდგენის თაობაზე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ 1998 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და ითვლებოდა წარმატებულ მუშაკად. 2007 წელს დაინიშნა ხარაგაულის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ... თანამდებობაზე და მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა მაღალი პასუხისმგებლობით. 2009 წლის 27 ოქტომბერს მას გადასცეს გამგებლის ბრძანება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ დისციპლინური გადაცდომის გამო. გამგებლის იურისტის განმარტებით, მის განთავისუფლებას საფუძვლად დაედო მისი განყოფილების ... – ლ. შ-ძის მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, რომლის მიმართ კონტროლი ევალებოდა მას, როგორც განყოფილების .... აღნიშნულთან დაკავშირებით, ლ. შ-ძეს მიეცა შენიშვნა, ხოლო თვითონ განთავისუფლდა სამსახურიდან. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოსარჩელე მიიჩნევდა უკანონოდ და დაუსაბუთებლად. ლ. შ-ძის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობები შესრულებულ იქნა ჯეროვნად, შესაბამისად, არც დისციპლინურ გადაცდომას არ ჰქონია ადგილი. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, არ იქნა მხედველობაში მიღებული, რომ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ყოველთვის ასრულებდა პირნათლად და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 24 აპრილის 113 და 2009 წლის 27 აპრილის 114 განკარგულებებით მისი მუშაობა შეფასებულია დადებითად.

ამდენად, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება მიღებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რადგან დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია და რომც ჩაედინა, აღნიშნული არ წარმოადგენდა ისეთი ხასიათის დარღვევას, რისთვისაც უპირობოდ ექვემდებარებოდა დათხოვნას.

ხარაგაულის მაგისტრატის მოსამართლის 2009 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ი. ჩ-ძე.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ი. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ ი. ვ-ძე 2007 წლიდან დანიშნული იყო ხარაგაულის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ... და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის სამსახურის ..., რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 27 აგვისტოს 1177 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა სამუშაო გეგმა, რომლის მე-14 პუნქტის თანახმად, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა ... ლ. შ-ძეს დაევა 20 სექტემბრამდე წარმოედგინა დაბა ხარაგაულის სკოლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის, წყალმომარაგებისა და საკომუნიკაციო სისტემით მომსახურების არსებული მდგომარეობის შესწავლა და ინფორმაციის წარმოდგენა. ლ. შ-ძე მივიდა დაბის ტერიტორიაზე არსებულ სასწავლო დაწესებულებებში, თუმცა დაწვრილებით და კონკრეტულად არ შეუმოწმებია სანიტარული ნორმების დაცვის და წყალმომარაგების მხრივ არსებული პრობლემური მდგომარეობა. შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი გასაუბრებით და არასრული ინფორმაციებით, ამას-

თან, რაიმე წერილობითი აქტი არ შემდგარა. დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისათვის ლ. შ-ძეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – შენიშვნა, რაც სადავო არ გამხდარა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ... პასუხს აგებს სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებაზე, ხოლო «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. ვ-ძე, როგორც გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ..., ვალდებული იყო კონტროლი გაეწია მისი სამსახურის ... მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე. ვინაიდან, სახეზე იყო ლ. შ-ძის მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მისი სამსახურის ..., რომლის მიმართ უკვე მოქმედებდა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება შენიშვნის სახით და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამგებელი უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ და უარი ეთქვა მას დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ვ-ძემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით ი. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დადგენილია და მხარეთა დავას არ იწვევს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 15 ივლისის 1191 ბრძანებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ... ი. ვ-ძეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა, მიცემული დავალების შეუსრულებლობის გამო და აღნიშნული ბრძანება ი. ვ-ძეს სადავოდ არ გაუხდია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა 2009 წლის სექტემბრის თვის სამუშაო გეგმის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ... – ლ. შ-ძეს დაკისრებული ჰქონდა დაბა ხარაგაულის სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და საკომუნიკაციო სისტემით მომსახურების არსებული მდგომარეობის შესწავლა და ინფორმაციის წარმოდგენა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 27 აგვისტოს 1177 ბრძანებით დაევალი თითოეულ პასუხისმგებელ პირს დავალების შესრულებაზე ინფორმაციის წარდგენა, კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაეკისრა აპარატის უფროსს – ნ. მ-შვილს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად ლ. შ-ძის მიერ დავალების შესრულებაზე კონტროლი ევალებოდა აპარატის უფროსს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის ისე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების მე-5 მუხლის «ე» პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული და მის დაფინანსებაზე მყოფი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინაცია, კონტროლი ამ ობიექტებში წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და საკომუნიკაციო სისტემების მუშაობაზე წარმოადგენს ამ სამსახურის უფლება-მოვალეობებს, შესაბამისად, ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურის ... ვალდებულია, უზრუნველყოს სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია და პასუხს აგებს სამსახურის მონაცემების და ფუნქციების შესრულებაზე, ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის მუშაკებს შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას. ამდენად, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებზე და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელია უშუალოდ სამსახურის ..., სამსახურის იმ პასუხისმგებელ პირთან ერთად, რომელსაც უშუალოდ ევალება კონკრეტული ამოცანის შესრულება, რომელზეც კონტროლი და კოორდინაციის ვალდებულება აკისრია სამსახურის ....

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უსაფუძვლოა აპელანტის მსჯელობა, რომ გამგებლის 27.08.2009წ. 1177 ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო გამგეობის აპარატის უფროსი და რომ სწორედ მას უნდა დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა ლ. შ-ძის მიერ დავალების არაჯეროვანად შესრულებაზე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მითითებული ბრძანების თანახმად, აპარატის უფროსს ევალებოდა კონტროლი მხოლოდ დავალების შემსრულებლების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე, ვინაიდან დავალება ეხებოდა გამგეობის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაკებს და ფიზიკურად შეუძლებელია მათზე ერთი პირის მიერ კონტროლის გაწევა.

ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მსჯელობა, რომ მას არ ჩაუდენია დისციპლინური გადაცდომა და რომ არ არსებობდა დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძვლები ლ. შ-ძის მიერ 2009 წლის სექტემბრის თვის გეგმით გათვალისწინებული დავალების შესრულებასთან და-

კავშირებით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის სექტემბრის თვის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების გამო ... – ლ. შ-ძეს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 27 ოქტომბრის 1215 ბრძანებით დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა და აღნიშნული გადაწყვეტილება ლ. შ-ძეს სადავოდ არ გაუხდია. ანუ, აღიარებული და დადასტურებულია დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. რაც შეეხება ლ. შ-ძის მიერ შესრულებული დავალების ხარისხს, აღსანიშნავია, რომ რაიონის გამგებლის სახელზე შედგენილი მოხსენებითი ბარათით ... თითოეულ სკოლასთან მიმართებაში შემოიფარგლა მწირი ინფორმაციით და ფაქტების კონსტატაციით, რომ «სკოლა მარაგდება წყლით, ელექტროენერგიით, სანიტარული ნორმები დაცულია»; ან «წყალი და ელექტროენერგია მიეწოდება განრიგით, დაუცველია სანიტარული ნორმები, გააჩნიათ ან არ გააჩნიათ საკომუნიკაციო საშუალებები – მაგიტიკომის ტელეკომის აპარატი», მაშინ როდესაც ... გამგებლის ბრძანებით ერთი თვის სამუშაო გეგმის სახით დავალებული ჰქონდა დაბის სკოლებში სანიტარული ნორმების დაცვის, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და საკომუნიკაციო სისტემებით მომსახურების არსებული მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა. რიგ შემთხვევაში ... დაეყრდნო მხოლოდ სკოლის ხელმძღვანელის მიერ მიწოდებულ არარსებულ ინფორმაციას, მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით, რაც სიტყვა სიტყვით აისახა გამგებლის სახელზე შედგენილ ლ. შ-ძის მოხსენებით ბარათში, ისე, რომ თვით ... არ დაინტერესებულა და ადგილზე არ შეუმოწმებია არსებული ვითარება. შესაბამისად, პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობები და დასკვნები წამყვანი სპეციალისტის მიერ გაწეული მუშაობის არაჯეროვნად შეფასებასთან დაკავშირებით, რადგან წარდგენილი ინფორმაცია არ შეიცავს საჭირო მონაცემებს სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების შესასრულებლად და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მსჯელობა, რომ ლ. შ-ძის მიერ დავალების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაშიც მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა შეუსაბამოდ მკაცრია, მისი წარსულის და გაწეული საქმიანობის გათვალისწინებით. დადგენილია, რომ აპელანტის მიმართ მოქმედებდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება, მიცემული დავალების შეუსრულებლობისათვის, ასევე, შრომის შინაგანაწესის დარღვევის და სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისათვის, ამავე სამსახურის ყველა თანამშრომლის მიმართ მოქმედებდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რაც ადასტურებს იმ გარემოებებს, რომ სამსახურის ხელმძღვანელი ვერ უზრუნველყოფდა დებულებით მისთვის დაკისრებული სამსახურის მუშაობის ორგანიზაციას, კოორდინაციას და კონტროლს სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების და ფუნქციების შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მსჯელობა, რომ დისციპლინურ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას დაშვებული დარღვევები წარმოადგენს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, ვინაიდან დაინტერესებული პირი არ იყო მიწვეული და არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა თავისი მოსაზრება მის მიმართ წამოყენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი ბათილად (უკანონოდ) ცნობის საკითხები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით, რომლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს, ვინაიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 99.2 მუხლის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ასევე ადგილი არ აქვს ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევას და არც ისეთი სახის დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, ვინაიდან არც სასარჩელო განცხადებაში, არც პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას ი. ვ-ძეს არ მიუთითებია ისეთ არსებითი ხასიათის გარემოებებზე, რომლებიც განაპირობებდნენ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დისციპლინური ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას არსებითი ხასიათის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, უსაფუძვლოა აპელანტის მოთხოვნა ადმინისტრაციულ წარმოებაზე მისი მიუწვევლობის და სადავო საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლების არ მიცემის გამო სადავო აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. ვ-ძემ, რომელმაც მოითხოვა საჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლები, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია



დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელოს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ორგანოს, ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, ხოლო მე-7 მუხლის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა და ამ აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

კასატორის აღნიშვნით, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი თანამდებობის პირის მიერ არ მოხდა კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინება და მისადაგება მისაღებ გადაწყვეტილებასთან, არ მოხდა კანონით განსაზღვრული პროპორციის დაცვა. კასატორის აზრით, სახელმწიფო ან ადგილობრივი ინტერესი დარღვეული არ ყოფილა, ზიანი არავის არ მიდგომია, არ მომხდარა დაფიქსირება იმ გარემოებისა, რომ შესრულებულ სამუშაოში მოყვანილი ფაქტები არ ასახავდნენ რეალობას.

კასატორი მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს ობიექტური ნების არსებობის შემთხვევაში, უნდა მოეხდინა შედარება ზემოაღნიშნული კანონის ნორმებიდან გამომდინარე: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისციპლინურ გადაცდომად მიჩნეული ქმედება, რეალურად წარმოადგენდა თუ არა დისციპლინურ გადაცდომას; რა საჯარო ინტერესი არსებობდა საერთოდ და ფაქტით დამდგარი შედეგი აღემატებოდა თუ არა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტით მისთვის კანონით დაცულ უფლებებსა და კანონიერი ინტერესებისათვის მიყენებულ ზიანს; გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რამდენად პროპორციული იყო კერძო და საჯარო ინტერესთა თანაფარდობა.

კასატორის აღნიშვნით, მის მიმართ არსებული ერთადერთი ბრალდება ისაა, რომ ლ. შ-მემ დავალება შეასრულა არასათანადოდ, ხოლო მან ვერ შეძლო მისი გადამოწმება. მიუხედავად ამისა, ლ. შ-მე ამაჟამად აგრძელებს მუშაობას, ხოლო იგი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა მისი ქმედებების გამო, რაც კასატორის აზრით, წარმოადგენს სამსახურებრივ დევნას არა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, არამედ მისი პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ვ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად იძლევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 27 ოქტომბრის 1218 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ხარაგაულის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ... ი. ვ-მე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის მოტივით. სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დავის საგანი – ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. სარჩელი აღძრულია იმავე საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, რისი გათვალისწინებითაც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს შემოწმდეს ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო არ უარყოფს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 99-ე მუხლის თაობაზე განვითარებულ მსჯელობას და ადასტურებს, რომ წინამდებარე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომა.

უდავოა, რომ ი. ვ-მის მიმართ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 15.07.09წ. 1141 ბრძანებით გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება-შენიშვნა, რაც მხარეს არ გაუსაჩივრებია და რის შედეგადაც ფაქტი გადაცდომის არსებობის თაობაზე იქნეს უდავო ხასიათს.

ამდენად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 27.10.2009წ. 1218 სადავო ბრძანება აფიქსირებს გადაცდომის მე-2 შემთხვევას, რაც იძლევა ზემოაღნიშნული 99.2 მუხლის გამოყენების შესაძლებლობას. თუმ-

ცა, იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მხოლოდ ფორმალური კანონიერების თვალსაზრისით შემოწმებას და თვლის, რომ დავის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ცალსახა მითითებას გამგებლის დისკრეციაზე და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციის ფარგლებში, სასამართლოს მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ იმ საკითხის განსაზღვრა, მოხდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს (გამგებლის) მხრიდან ამ უფლების კანონიერების ფარგლებში გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში აქტის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლს ეძლევა ფორმალური ხასიათი, რაც გამორიცხავს თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დისკრეცია ადმინისტრაციულ ორგანოს არ აძლევს უფლებას მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული წესების უარყოფით და ვერ გაიზიარებს სასამართლოთა მითითებას გამგებლის მხრიდან სადავო აქტის გამოცემისას მითითებული წესების დაცვის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას, უფრო მეტიც, მითითებული ნორმა ატარებს იმპერატიულ ხასიათს და დაუშვებლად მიიჩნევს აქტის მიღებას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და მტკიცებულებების შესწავლის გარეშე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებას საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის შესახებ და თვლის, რომ სადავო აქტის გამოცემისას დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში დაცულ შემდეგ მტკიცებულებებზე: საქმეში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბუკდით დამოწმებული დოკუმენტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისადმი, რომელშიც მითითებულია, რომ ... ლ. შ-ძის მიერ დავალებული საკითხი შესწავლილია ადგილზე მიუსვლელოდ დაგზავნილი კითხვარების საფუძველზე და მოკვლევა წარმოებულია მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რაც, დოკუმენტის ავტორს მიაჩნია მიზანშეწონილად.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული აქტის ფორმას და თვლის, რომ ამ სახით წარმოებული დოკუმენტი არ პასუხობს საქმისწარმოების ელემენტარულ მოთხოვნებს, არ ემყარება შესაბამის მტკიცებულებებს, არ შეიცავს არგუმენტაციას, არ ატარებს ინფორმაციულ თუ ანალიტიკურ შინაარსს, რის გამოც ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციული წარმოების კომპონენტად.

საყურადღებოა, რომ მითითებული აქტი დათარიღებულია 2009 წლის 27 ოქტომბრით. იმავე რიცხვითაა დათარიღებული სადავო გადაწყვეტილება ი. ვ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, რაც უდავოს ხდის, რომ დამატებით წარმოებას ადგილი არ ჰქონია და ერთადერთი მასალა, რომელიც გასაჩივრებულ აქტს დაედო საფუძვლად, არის ზემოაღნიშნული ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე სკოლის დირექტორების განმარტებაზე, ანუ იმ მტკიცებულებაზე, რომელზე დაყრდნობითაც ადმინისტრაციული ორგანო ცდილობს დაასაბუთოს, რომ მისი მხრიდან დაცულია ადმინისტრაციული წარმოება.

საქმეში წარმოდგენილია სსიპ ხარაგაულის 12 დაწყებითი, საბაზო, საშუალო სკოლის დირექტორის 2009 წლის 9 დეკემბრის პასუხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისადმი. წერილი გაგზავნილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის იმავე რიცხვის მიმართვის პასუხად. იმავე რიცხვში, იმავე მიმართვის პასუხად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე ინფორმაციას აგზავნის ასევე ხარაგაულის 13 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოძიებულია სადავო აქტის გამოცემის შემდგომ, შესაბამისად აღნიშნული ვერ ჩაითვლება გამგებლის მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავის მოთხოვნათა დაცვით განხორციელებულ ადმინისტრაციულ წარმოებად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ადმინისტრაციული ორგანოს ავალებს აქტი გამოსცეს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე და არა პირიქით.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ გამგებელმა ი. ვ-ძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების, სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი, გადაწყვიტა ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევით. გამგებელმა ისე გაათავისუფლა კასატორი სამსახურიდან, რომ არ გამოუკვლევია, რეალურად არსებობდა თუ არა გადაცდომის ფაქტი და გადაცდომა ჩაიდინა თუ არა მითითებულმა პირმა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით ადმინისტრაციული წარმოების არ არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია არსებობდა თუ არა კასატორის მიმართ ადმი-

ნისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველი. საკასაციო სასამართლო არასაკმარის მოტივად მიიჩნევს მითითებას იმის თაობაზე, რომ ი. ვ-მისადმი დაქვემდებარებულმა პირმა არაჯეროვნად შეასრულა მიცემული დავალება. ასეთ პირობებში სავალდებულოა, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაამტკიცოს, რომ კონკრეტული დავალების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო უშუალოდ იმ პირის ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით), რომელსაც შეერაცხა გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

რაც შეეხება საკითხს, ლ. შ-მემ სრულყოფილად შეასრულა თუ არა დავალება, აღნიშნული არ წარმოადგენს წინამდებარე დავის საგანს და ამდენად მისი შეფასება არ შედის საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესების დარღვევით, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს, საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლა-გამოკვლევის საფუძველზე ი. ვ-მესთან მიმართებაში მიიღოს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ი. ვ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ვ-მის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად იქნას ცნობილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 27 ოქტომბრის '218 ბრძანება და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის დაევალოს საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შემდგომ ი. ვ-მესთან დაკავშირებით გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. ი. ვ-მეს აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური 2009 წლის 27 ოქტომბრიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის კანონიერების შემოწმება**

#### **განჩინება**

18ს-1262-1226(კ-10)

11 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ტ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, რომლითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 26 იანვრის '157 ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის '887/კ ბრძანებით გათავისუფლდა ამავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება გაასაჩივრა სასამართლო წესით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათი-

ლად იქნა ცნობილი, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი გათავისუფლების მომენტიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულმა ორგანომ 2010 წლის 26 იანვარს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2008 წლის 25 სექტემბრიდან, რაც არღვევს მოსარჩელის კანონიერ უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 26 იანვრის 157 ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით გ. ტ-ძის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 მაისის სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ძემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინებით გ. ტ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლი, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, მიიჩნია, რომ გ. ტ-ძის სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა დასაბუთებულ მოტივაციას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და ამდენად ის არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა..

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი გ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა – გ. ტ-ძემ დააზუსტა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, დაზუსტებული საკასაციო საჩივრის მოტივის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების თანახმად დადგინდად მიაჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის 1887/კ ბრძანებით გ. ტ-ძე გათავისუფლდა ამავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება მის მიერ გასაჩივრდა სასამართლო წესით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი გათავისუფლების მომენტიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულმა ორგანომ 2010 წლის 26 იანვარს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2008 წლის 25 სექტემბრიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა – გ. ტ-ძემ დააზუსტა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თავდაპირველად, გ. ტ-ძემ სასარჩელო წესით სადავოდ გახადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის ბრძანება, ამავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების თაობა-

ზე, ამასთან აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვდა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსიდან გამომდინარე, გ. ტ-მეს უარი ეთქვა მხოლოდ სამსახურში აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავალა გ. ტ-მისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო (ხელფასი). ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად კი, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებულ შრომითი უფლებების დაცვისა და შრომის ანაზღაურების პრინციპებს. ამდენად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს კანონი აძლევს უფლებას, მოითხოვოს იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 დეკემბრის 'ზს-1230-805(კ-05) და 2005 წლის 28 ნოემბრის 'ზს-1043-625(კ-05) განჩინებებზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს, პირის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემიდან ახალ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ამასთან, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ითვლება, რომ მოხელე, კანონით დადგენილი წესით, სამსახურიდან განთავისუფლებული არ არის, რის გამოც მას მიეცემა იძულებითი განაცდური ხელფასი, იმ ხელფასის შესაბამისად, რომელსაც იგი იღებდა სადავო ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემამდე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დაუსაბუთებელია. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში როდესაც, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის '887/კ ბრძანება, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემომითითებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდ-

გენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ტ-მის დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრა**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

18ს-1374-1338(კ-10)

13 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 24 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს დ. ფ-მა, მ. ბ-მა, ნ. მ-მა, მ. კ-მა და ნ. ბ-ემ მოპასუხის ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელები სარჩელით ითხოვდნენ ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 9 ნოემბრის 11629 განკარგულების ბათილად ცნობას მოსარჩელეთა მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში; სამსახურში აღდგენასა და გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდში იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. ფ-ს, მ. ბ-ს, ნ. მ-ს, მ. კ-ს, ნ. ბ-ეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ისა და ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის 123 ბრძანება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის 1149 განკარგულება მოსარჩელეთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მერიას დაევალა იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივარი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა. თბილისის მერიას დაევალა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოსარჩელეთა მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. სარჩელი ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის

<sup>140</sup> ბრძანებისა და ქალაქ თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის <sup>1483</sup> განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქ.თბილისის მერის 2009 წლის 9 ნოემბრის <sup>1629</sup> განკარგულებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე, დ. ფ-ი, მ. ბ-ი, ნ. მ-ი, მ. კ-ი და ნ. ბ-ე 2005 წლის 19 სექტემბრიდან გათავისუფლდნენ სამსახურიდან; დ. ფ-ს, მ. ბ-ს, ნ. მ-ს, მ. კ-ს და ნ. ბ-ეს მიეცათ განაცდური გათავისუფლების დროისათვის არსებული სახელფასო განაკვეთის შესაბამისად 2005 წლის 3 მაისიდან 2005 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.6. მუხლზე, რომლის შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის <sup>123</sup> ბრძანება, ისე რომ არ განსაზღვრულა მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. ქალაქ თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ ბრძანების ძალადაკარგულად ცნობასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ აღნიშნული ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის <sup>120</sup> ბრძანებულებას, და არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ რადგან სამართლის თითოეული ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს უკავშირება და განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოების შეფასებით ჩატარებული იქნა კონკურსი და აღნიშნული წესით აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების გამოცემით თანამდებობაზე დაინიშნენ კონკურსში გამარჯვებული პირები, სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გამოიწვევდა ქალაქ თბილისის მერიის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას და აღნიშნულიდან გამომდინარე ძალადაკარგულად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული ქალაქ თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის <sup>123</sup> ბრძანება, ზაკ-ის 32.5. მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად თუ ნორმატიულ სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს ან გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილად ცნობის ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა რა სსკ-ის 106-ე მუხლის «ბ» პუნქტზე, მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ 2005 წლის 5 მაისის <sup>123</sup> ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებით ძალაში იქნა დატოვებული ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგები იმ ნაწილში, რომლითაც 2005 წლის კონკურსის შედეგების შესაბამისად ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში ახალი საშტატო ნუსხით დამტკიცებულ თანამდებობებზე დაინიშნენ კონკურსში გამარჯვებული თანამშრომლები. შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ ვაკანტური თანამდებობის დაკავება შესაძლებელი იყო მხოლოდ თბილისის მერის ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა კონკურსის გავლის შემდეგ, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 25.2. მუხლის თანახმად, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გაუვლელობა შეიძლება გახდეს პირის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-7 პუნქტზე მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ასევე აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა სარჩელი ქ.თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის <sup>140</sup> ბრძანებისა და ქ.თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის <sup>1483</sup> განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა

სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩეელებს ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 12 ივლისის <sup>154</sup> ბრძანებით ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ, აღნიშნული ერთ-ერთ საფუძველად დაედო ქ. თბილისის მერის 2009 წლის 9 ნოემბრის <sup>1629</sup> განკარგულების გამოცემას მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2005 წლის 19 სექტემბრიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დ. ფ-ი, მ. ბ-ი, ნ. მ-ი, მ. კ-ი, ნ. ბ-ე ქ. თბილისის მერის 2009 წლის 9 ნოემბრის <sup>1629</sup> განკარგულებით სამსახურიდან გათავისუფლდნენ 2005 წლის 19 სექტემბრიდან, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 25.2. მუხლის შესაბამისად. მოსარჩეელებს ამავე ბრძანებით აუნაზღაურდათ იძულებითი განაცდური «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს – შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს.

სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის მერის 2009 წლის 9 ნოემბრის 11629 განკარგულების გამოცემის დროისათვის არ გაუქმებულა ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც მოყვა ქ. თბილისის მერიის ენერჯეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციას და თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის 140 ბრძანებას, რომლითაც დამტკიცდა ქ.თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და სამტატო ნუსხა, ასევე ძალაშია თბილისის მერის ბრძანებით დამტკიცებული და ჩატარებული ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა კონკურსის სამართლებრივი შედეგები, რომლის საფუძველზე თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის 140 ბრძანებით დამტკიცებული სამტატო ნუსხის შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში ვაკანტურ თანამდებობზე დაინიშნენ კონკურსში გამარჯვებული პირები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის მერიამ მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცა ახალი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან თბილისის მერი არ იყო შეზღუდული მოსარჩელეთა მიმართ გათავისუფლების ბრძანების გამოცემაზე უკუ თარიღით იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომელიც შედეგად მოჰყვა თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის 140 ბრძანებით დამტკიცებულ ქ.თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულებას, სტრუქტურას და სამტატო ნუსხას, და თბილისის მერის ბრძანებით დამტკიცებულ და ჩატარებულ ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა კონკურსის სამართლებრივ შედეგებს.

ის გარემოება, რომ მოსარჩელებს უნდა აუნაზღაურდეთ იძულებითი განაცდური «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად და ხელფასი მიაზრებს თანამდებობრივ სარგოსთან ერთად სხვადასხვა დანამატებს, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად ხელფასის ცნებაში მოიაზრება მხოლოდ თანამდებობრივი სარგო, რაც შეეხება პრემიას და სხვა დანამატებს, სასამართლოს მოსაზრებით, პრემია და სხვა დანამატები ხელფასის შემადგენელ ნაწილს არ განეკუთვნებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ თბილისის მერიის 2009 წლის 9 ნოემბრის 11629 განკარგულება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ ეწინააღმდეგებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონს და ზაკ-ის 61-ე მუხლის მოთხოვნებს, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაცული იყო, როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური კანონმდებლობის მოთხოვნები და აღნიშნულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ფ-მა, მ. ბ-მა, ნ. მ-მა, მ. კ-მა და ნ. ბ-ემ.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინებით დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ის, ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლობის მოტივით არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ იძულებითი განაცდური ხელფასი ანაზღაურებული უნდა იქნას აქტის გამოცემის დღემდე და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: სადაო ადმინისტრაციული აქტით განისაზღვრა და დადგენილი იქნა მხარეთა შორის შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის პერიოდი, შესაბამისად, გასამრჯელოს ანაზღაურებაც უკავშირდება ამ პერიოდს. ამრიგად, განსახილველი დავის შემთხვევაში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს არა აქტის გამოცემის თარიღს (2009 წლის 9 ნოემბერი), არამედ იმ თარიღს, რა თარიღამდეც სადაო აქტით (ნაწილით) განისაზღვრა მხარეთა შორის შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა (2005 წლის 19 სექტემბერი), სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის გარეშე ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც დამსაქმებელს არ წარმოეშობა გასამრჯელოს ანაზღაურების ვალდებულება დასაქმებულის მიმართ. რამდენადაც, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ნაწილით), მხარეთა შორის არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები შეწყდა 2005 წლის 19 სექტემბრიდან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება აენაზღაურებინა მოსარჩელებისათვის სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის (2005 წლის 3 მაისიდან – 2005 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით) განაცდური ხელფასი მათი გათავისუფლების მომენტი-სათვის არსებული სახელფასო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) ოდენობის გათვალისწინებით.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. ფ-მა, მ. ბ-მა, ნ. მ-მა, მ. კ-მა და ნ. ბ-ემ და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მერის 2009 წლის 9 ნოემბრის 11629 განკარგულებით იგნორირებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, ვინაიდან კასატორები სადავო განკარგულებით გათავისუფლდნენ სამსახურიდან 2005 წლის 19 სექტემბრიდან, უკუ თარიღით და



მიეცათ განაცდური ხელფასი 2005 წლის 3 მაისიდან 2005 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით და არა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. მითითებული განკარგულება, კასატორების აზრით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» პუნქტის საფუძველზე წარმოადგენს შემზღვევლი ხასიათის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო მერის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, უნდა გამოეცა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იმ გარემოების ჩათვალისწინებით, რომ ქ. თბილისის მერის განკარგულება მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი და აღარ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მოხელეთა მიმართ ხელფასის გაუცემლობისა, რადგან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის «ი» პუნქტზე მითითებით, კასატორები თვლიან, რომ მერიამ მოსარჩელებს უნდა აუნაზრაუროს იძულებით განაცდური ხელფასი დათხოვნის დღიდან მათთან მიმართებაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

კასატორები ასევე თვლიან, რომ შრომითი გასამრჯელო, მითითებული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. განაცდური ხელფასი არის თანხა, რომელსაც მოხელე მიიღებდა სამსახურში ყოფნის პერიოდში შესაბამისი დანამატებით, რაც სასამართლოების მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

კასატორები მიუთითებენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 თავით დადგენილი წესით სასამართლო გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველით და სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი შეფასებები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მერის 2009 წლის 9 ნოემბრის 11629 განკარგულება, რომლის საფუძველზეც დ. ფ-ი, მ. ბ-ი, ნ. მ-ი, მ. კ-ი, ნ. ბ-ე 2005 წლის 19 სექტემბრიდან გათავისუფლდნენ სამსახურიდან. ამავე განკარგულებით ზემოაღნიშნულ პირებს მიეცათ განაცდური ხელფასი (პრემიების გარეშე) გათავისუფლების დროისათვის არსებული სახელფასო განაკვეთის შესაბამისად, გათავისუფლების დღიდან 2005 წლის 3 მაისიდან 2005 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით.

კასატორები მიიჩნევენ, რომ ქ. თბილისის მერის 2009 წლის 9 ნოემბრის 11629 განკარგულება წინააღმდეგობაშია სასამართლო გადაწყვეტილებასთან. განკარგულებით იგნორირებულია სასამართლოს მოთხოვნები და საკითხი გადაწყვეტილია ამ მოთხოვნათა უგულებელყოფით.

საკასაციო სასამართლოს მიერ კასატორთა საჩივრის საფუძველზე შემოწმდა გასაჩივრებული განკარგულების კანონიერება, რის შედეგადაც საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ ადასტურებს მერიის მხრიდან სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას ამ აქტისათვის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტს.

საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

აღნიშნული ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადაწყვეტილება ადასრულოს სწორედ იმ ფორმით და იმ სახით, რა სახითაც აღნიშნულია გადაწყვეტილებაში.

იმ გარემოების გასარკვევად, თუ რა ნაწილში ეწინააღმდეგება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ ანალიზს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ის და ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 05 მაისის 123 ბრძანება ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ გამოცხადდა ძალადაკარგულად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნო-

ბილი ქ.თბილისის მერიის 2005 წლის 05 მაისის 1149 განკარგულება მოსარჩელეთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ.თბილისის მერიას დაევალა წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელებმა, ისე ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით, ქ.თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ის, ნ. ბ-ისა და მათი წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ის, ნ. ბ-ის სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მერიას დაევალა მოსარჩელებისათვის ანაზღაურებინა განაცდური ხელფასი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელადაა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით.

ამდენად, ცალსახა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მერიას მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაევალა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. მოცემულ პირობებში დასადგენია მხოლოდ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მერიას ევალება მოსარჩელეთათვის თანხის ანაზღაურება. საყურადღებოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით უცვლელადაა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. თბილისის მერის 2005 წლის 05 მაისის 123 ბრძანების შეფასების ნაწილში. ქ.თბილისის მერიის 2005 წლის 05 მაისის 123 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ენერგეტიკის საქალაქო სამსახური, რომლის თანამშრომლებსაც წარმოადგენდნენ მოსარჩელები, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება დაედო საფუძვლად მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქალაქო სასამართლოს დასაბუთებას ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის 123 ბრძანების შეფასების ნაწილში. გადაწყვეტილება მიუთითებს შემდეგზე: ქ.თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის 123 ბრძანება ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მაისის 1120 ბრძანებულებას და არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ რადგან სამართლის თითოეული ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ჩატარებული იქნა კონკურსი და აღმჭურველი აქტით თანამდებობაზე დაინიშნენ კონკურსში გამარჯვებული პირები, ზემოაღნიშნული აქტის ბათილობა, სასამართლო მოსაზრებით, გამოიწვევდა ქ. თბილისის მერიის ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას და იგი სასკ-ის 32.5 მუხლის საფუძველზე ცნობილი იქნა ძალადაკარგულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: ადმინისტრაციული სამართალწარმოება სასამართლოს ამოცანაა შესაძლებლობას კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინოს კანონიერების პრინციპის შეპირისპირება საჯარო და კერძო ინტერესებთან და საქმეზე მიიღოს თანაზომიერი გადაწყვეტილება. სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილებით სადავო აქტი, მიუხედავად მისი უკანონობისა, გამოცხადებულია ძალადაკარგულად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ორ ფორმას: ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იმ სამართლებრივ შედეგში, რაც თან სდევს თითოეულ ზემოაღნიშნულ შემთხვევას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, არა ავტომატურად, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იწვევს აქტის ძალაში შესვლიდან წარმოშობილი შედეგების გაუქმებას და ხელს უწყობს არა მხოლოდ მომავალში უფლებების დარღვევის თავიდან აცილებას, არამედ უკვე დარღვეული უფლების აღდგენას, მაშინ როდესაც, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება იწვევს მისი მოქმედების შეწყვეტას მხოლოდ ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ქ.თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის 123 ბრძანება გამოცხადებულია ძალადაკარგულად და არა ბათილად, აღნიშნული გადაწყვეტილება არ იძლევა მოსარჩელეთა უფლებების სრულად აღდგენის შესაძლებლობას, ვინაიდან მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული თავად სამსახურის ლიკვიდაციის ფაქტთან, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება გაგებული იქნას იმგვარად, რომ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და არ იყოს ორიენტირებული შესაბამის შედეგზე.

აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებს იძულებითი განაცდური უნდა აუნაზღაურდეთ ლიკვიდაციის თაობაზე მიღებული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან მერიის მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

გადაწყვეტილება, რომელიც იქცა მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძვლად და რომლითაც, როგორც აღინიშნა, სადავო აქტი გამოცხადდა ძალადაკარგულად, ძალაში შევიდა 2009 წლის 8 აპრილს, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ქ.თბილისის მერიაში ჩატარდა 2009 წლის 9 ნოემბერს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული წარმოადგენს სწორედ იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელებს (კასატორებს) უნდა აუნაზღაურდეთ იძულებითი განაცდური.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მოთხოვნას სამსახურში აღდგენისა და თანამდებობრივ სარგოზე დამატებით პრემიისა და კანონით გათვალისწინებული დანამატების მიცემის თაობაზე, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო ფაქტობრივად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობას და დამატებით აღნიშნავს, პრემიისა და სხვა დანამატების გაცემის საფუძველი განსხვავდება თანამდებობრივი სარგოს გაცემისაგან. პრემია და დანამატი არ წარმოადგენს სტაბილურ და წინასწარ დადგენილ დანამატს, იგი ხშირად დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და ა.შ. რის გამოც სასამართლო, როგორც წესი, ვერ განსაზღვრავს, ვერ დაადასტურებს და ვერც გამორიცხავს ამ გარემოებების არსებობის საკითხს იმ პირობებში, როდესაც პირი, მართალია, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ფაქტობრივად არ ასრულებს დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა რიგ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განჩინების შეცვლით საქმეზე მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :**

1. დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ის, ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ის, ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად იქნას ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 9 ნოემბრის 11629 განკარგულება დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ისა და ნ. ბ-ის 2005 წლის 3 მაისიდან 2005 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილი; ქ. თბილისის მერიას დაევალოს დ. ფ-ის, მ. ბ-ის, ნ. მ-ის, მ. კ-ის, ნ. ბ-ის აუნაზღაუროს განაცდური ხელფასი 2009 წლის 8 აპრილიდან 2009 წლის 9 ნოემბრის ჩათვლით;
4. სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. სამივლინებო თანხების ანაზღაურება**

#### **სამივლინებო თანხების ანაზღაურების წესი**

##### **განჩინება**

1ბს-1558-1487(კ-09)

7 ივლისი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. მ-შვილმა 03.05.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოპასუხისათ-

ვის მის სასარგებლოდ დავალიანების – **3631,35** აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში, რაც **6391,8** ლარს შეადგენს, დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის **11.01.2000წ.** **123** ბრძანების საფუძველზე, **2000** წლის **16** იანვრიდან **2001** წლის **2** აგვისტომდე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შვეულმფრენის მფრინავის კურსებზე, რასთან დაკავშირებითაც უნდა მომხდარიყო სამივლინებო და სხვა სახის ხარჯების ანაზღაურება. საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის **29.09.06წლის** **11641** წერილით სამივლინებო პერიოდი იყო **563** დღე. ხარჯებმა შეადგინა **3631.35** აშშ დოლარი. დ. მ-შვილის არაერთ მოთხოვნას, დავალიანების დაფარვის შესახებ, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **13.03.08წ.** გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე დ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა **3631.35** აშშ დოლარის ეკვივალენტი **6391.8** ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **13.03.08წ.** გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.06.08წ.** გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **13.03.08წ.** გადაწყვეტილება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **18.02.09წ.** განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.06.08წ.** განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის **29.09.06წ.** **11641** წერილის თანახმად, სამივლინებო თანხა, საქართველოს პრეზიდენტის **04.04.98წ.** **1220** ბრძანებულების მე-2 დანართის საფუძველზე, შეადგენს **3631,35** აშშ დოლარს, კურსით **6391,8** ლარი. საქმის მასალებით არ ირკვეოდა კონკრეტულად რა სახის ხარჯებმა შეადგინა აღნიშნული თანხა. სამივლინებო თანხა მოიცავს მგზავრობის, განთავსების, სადღეღამისო (მათ შორის კვების) ხარჯებს, მოცემულ შემთხვევაში არ იყო დადგენილი თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებული თანხა, რომელ კომპონენტს განეკუთვნებოდა. საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ დ. მ-შვილის შემთხვევაში ხარჯები გაიღო მიმდებმა სახელმწიფომ. საქმეში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის **30.10.08წ.** **112/1556** წერილის მიხედვით, დ. მ-შვილი აშშ-ის მხრიდან დაფინანსდა მგზავრობის, განთავსებისა და კვების ხარჯებით. საქმეში არ მოიპოვება პირადად დ. მ-შვილის მიერ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის **02.03.07წ.** **19/602** წერილში მითითება იმის შესახებ, რომ დაფინანსების წყაროს არსებობის შემთხვევაში, მოხდება მივლინების ანაზღაურების საკითხის განხილვა, წარმოადგენს აღიარებას. სასკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ცნოს სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ ცნობა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნის ცნობა არ გამოიციხავს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის თავდაცვის სამინისტროსათვის გადახდის უპირობო დაკისრებას, სამივლინებო თანხის ანაზღაურებისას საქართველოს პრეზიდენტის **04.04.98წ.** **1220** ბრძანებულებით დადგენილი წესის დაცვის შემოწმებას. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული (სსკ-ის **394-ე** მუხლის «ე» ქვეპუნქტი), რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნიდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **21.09.09წ.** გადაწყვეტილებით აპელანტ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **13.03.08წ.** გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის **30.10.08წ.** **112/1556** წერილის თანახმად, დ. მ-შვილი აშშ-ის მხრიდან დაფინანსდა მგზავრობის, განთავსებისა და კვების ხარჯებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის **29.09.06წ.** **11641** წერილის თანახმად, სამივლინებო თანხა, საქართველოს პრეზიდენტის **04.04.98წ.** **1220**

ბრძანებულების მე-2 პუნქტის დანართის საფუძველზე შეადგენს 3631.35 აშშ დოლარს, კურსით 6391,8 ლარი. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე წარდგენილი ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის სამხედრო ოლქის თავდაცვისა და თანამშრომელთა განყოფილების შტაბის «IMEთ» პროგრამის კოორდინატორის კ. შ-შვილის 05.06.09წ. წერილით ირკვევა, რომ დ. მ-შვილი ესწრებოდა ტრენინგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში «UH-1H» კურსისა და «IMEთ» პროგრამების ფარგლებში, მათ ყოველდღიურად უნაზღაურებოდან დათვალი, საცხოვრებელი ადგილი და სხვა ხარჯები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის 24.07.09წ. 19/3121 წერილის თანახმად, დ. მ-შვილის სამივილინებო თანხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკრედიტებული და შესაბამისად ვალად აღიარებული არა აქვს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსის 10.07.09წ. 12162 წერილით დ. მ-შვილს ეცნობა, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის 09.06.09წ. 11821 და 09.09.06წ. 11641 წერილებში აღნიშნული მითითება საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. 1220 ბრძანებულების 12 დანართის საფუძველზე თანხის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება კორექტირებას და თანხა სამინისტროს მიერ არ ანაზღაურდება. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.01.2000წ. 123 ბრძანების საფუძველზე, დ. მ-შვილი 2000 წლის 16 იანვრიდან 2001 წლის 2 აგვისტომდე წარგზავნილ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიული გადამზადების კურსებზე და მიმღები მხარის მიერ დაფინანსდა მგზავრობის, განთავსების, კვებისა და სხვა ხარჯებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.09წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. მ-შვილმა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის 29.09.06წ. 11641 წერილის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. 1220 ბრძანებულების მე-2 დანართის შესაბამისად, მისაღები ქონდა 3631,55 აშშ დოლარი, კურსით – 6391,8 ლარი. აღნიშნული ცნობის საფუძველზე მან რამდენჯერმე მიმართა თავდაცვის სამინისტროს ფინანსთა მართვის დეპარტამენტს, რომელმაც ფულადი ვალდებულების არსებობა აღიარა, თუმცა თანხის გადახდაზე უარი განაცხადა მთავრობის მხრიდან სათანადო დაფინანსების არარსებობის გამო. საკასაციო სასამართლოს მითითების თანახმად სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა თუ ვის მიერ იქნა გაწეული სამივილინებო ხარჯები და რა სახის ხარჯებმა შეადგინა მოსარჩელის მოთხოვნილი თანხა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის 30.10.08წ. 11211656 წერილით ირკვევა, რომ აშშ-ს მიერ დაფინანსდა მგზავრობის, განთავსების და კვების ხარჯები. აღნიშნული წერილით ირკვევა, რომ დ. მ-შვილის ყოველდღიური ხარჯი არ დაფინანსებულა მიმღები მხარის მიერ, რომლის გარკვევასაც ითხოვდა საკასაციო სასამართლო. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. 1220 ბრძანებულების იგნორირებით უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ბრძანებულების 12 დანართის მე-6 პუნქტის მიხედვით კასატორს უნდა მიეღო ყოველდღიური ხარჯის სახით ბრძანებულების 11 დანართით დადგენილი დღიური ნორმის 15%, რამაც 563 დღეზე გაანგარიშებით 3631,35 აშშ დოლარს, ანუ 6391,8 ლარს შეადგენს, რაც არაერთგზის იქნა აღიარებული თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების სარდლის მიერ გაცემული ცნობებით. თავდაცვის სამინისტროს მიერ ვალის არსებობის აღიარება, სრულად ესადაგება საქართველოს პრეზიდენტის 1220 ბრძანებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ დ. მ-შვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.01.2000წ. 123 ბრძანების საფუძველზე, რომ 2000 წლის 16 იანვრიდან 2001 წლის 2 აგვისტომდე, სასწავლებლად იქნა წარგზავნილი აშშ-ში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის 30.10.08წ. 112/1556 წერილის თანახმად, დ. მ-შვილი აშშ-ის მხრიდან დაფინანსდა მგზავრობის, განთავსებისა და კვების ხარჯებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის 29.09.06წ. 11641 წერილის თანახმად, სამივილინებო თანხა, საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. 1220 ბრძანებულების მე-2 პუნქტის დანართის საფუძველზე შეადგენს 3631.35 აშშ დოლარს, შესაბამისი კურსით 6391,8 ლარს. ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის სამხედრო ოლქის თავდაცვისა და თანამშრომელთა განყოფილების შტაბის «IMET» პროგრამის კოორდინატორის კ. შ-შვილის 05.06.09წ. წერილის თანახმად დ. მ-შვილი ესწრებოდა ტრენინგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში «UH-1H» კურსისა და «IMEთ» პროგრამების ფარგლებში, მას

ყოველდღიურად უნაზღაურდებოდა საკვები, საცხოვრებელი ადგილი და სხვა ხარჯები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის **24.07.09წ. 19/3121** წერილის თანახმად, დ. მ-შვილის სამივლინებო თანხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკრედიტებული და შესაბამისად ვალად აღიარებული არა აქვს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსის **10.07.09წ. 12162** წერილით დ. მ-შვილს ეცნობა, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის **09.06.09წ. 11821** და **09.09.06წ. 11641** წერილებში აღნიშნული მითითება საქართველოს პრეზიდენტის **04.04.98წ. 1220** ბრძანებულების **12** დანართის საფუძველზე თანხის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარებოდა კორექტირებას და თანხა სამინისტროს მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის **38-ე** მუხლის **1-ელი** პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს აქვს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის **12.2** მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს «...სამხედრო სწავლებაში მონაწილეობისას სამივლინებო ხარჯების გარდა მიეცემა ყოველდღიური ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით». «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის **39-ე, 39<sup>1</sup>** მუხლების მიხედვით უცხოეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით, უცხო სახელმწიფოში გრძელვადიან მივლინებაში მოსამსახურის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი. დ. მ-შვილის მივლინებაში ყოფნის პერიოდში (**16.01.2000წ. – 02.08.01წ.**) სამივლინებო თანხების ანაზღაურების წესს განსაზღვრავდა «მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **04.04.98წ. 1220** ბრძანებულება, რომლის **12** დანართის («ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი») მე-**3** პუნქტის თანახმად, მუშაკებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინებისას დღიური ხარჯები უნაზღაურდებოდათ ამავე ბრძანებულების **13** დანართის მიხედვით საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებათა მუშაკებისათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს. დანართის მე-**5** და მე-**6** პუნქტების თანახმად კი, თუ მუშაკების მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯით, მაშინ მათ უნაზღაურდებოდათ მხოლოდ დღიური ნორმის **30%** და ამ განკარგულების **14** დანართით გათვალისწინებული დანამატი. უცხოეთში მოსწავლეთა (სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის, სხვა სასწავლებლის) დელეგაციების გაგზავნისას, თუ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვებით, მაშინ მათ უნაზღაურდებოდათ დღიური ნორმის **15%**. იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს სრულად იხდის მიმღები მხარე, მოსამსახურეს საქართველოს მხრიდან ანაზღაურება აღარ მიეცემა, ხოლო ხარჯების ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, წარმგზავნი სახელმწიფო ანაზღაურებს დანაკლისს. სამივლინებო თანხა მოიცავს მგზავრობის, განთავსების, სადღეღამისო (მათ შორის კვების) ხარჯებს. ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის სამხედრო ოლქის თავდაცვისა და თანამშრომელთა განყოფილების შტაბის «IMEთ» პროგრამის კოორდინატორის პ. შ-შვილის **05.06.09წ.** წერილის თანახმად დ. მ-შვილი ესწრებოდა ტრენინგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში «UH-1H» კურსისა და «IMEთ» პროგრამების ფარგლებში, მას ყოველდღიურად უნაზღაურდებოდა საკვები, საცხოვრებელი ადგილი და სხვა ხარჯები. ამდენად, არ არსებობს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი დღიური ნორმის **15** პროცენტის ანაზღაურების საფუძველი. მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს წერილით აღიარება. სასკ-ის მე-**3** მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ცნოს სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ ცნობა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნის ცნობა არ განაპირობებს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის თავდაცვის სამინისტროსათვის გადახდის უპირობო დაკისრებას და არ გამოიცხავს სამივლინებო თანხის ანაზღაურებისას საქართველოს პრეზიდენტის **04.04.98წ. 1220** ბრძანებულებით დადგენილი წესის დაცვის შემოწმებას. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღიარება მის მიმართ ვალის არსებობის შესახებ ესადაგება საქართველოს პრეზიდენტის **04.04.98წ. 1220** ბრძანებულებას, ვინაიდან საქმეზე დადგენილია, რომ დ. მ-შვილის მივლინებაში ყოფნისას მიმღები მხარის მიერ მთლიანად იქნა ანაზღაურებული სამივლინებო ხარჯები (მგზავრობის, განთავსების, კვების, დღიური ხარჯები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რაც სასკ-ის **410-ე** მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.09.09წ. გადაწყვეტილება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების ხანდაზმულობა**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

18ს-513-498(კ-10)

21 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სამივლინებო დავალიანების ანაზღაურება

**საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ. ტ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის – საქართველოს კონტროლის პალატის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

**საქმის გარემოებები:**

მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. მას არ მიუღია ხელფასი და სამივლინებო თანხები, მათ შორის, ხელფასის სახით – 1215 ლარი, ხელზე ასაღები – 1010,35 ლარის ოდენობით და სამივლინებო დავალიანება – 837,50 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა განცხადებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, მაგრამ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოპასუხის მიერ არ განხორციელდა.

**სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:**

მოპასუხე ორგანიზაციამ მოსარჩელეს 2008 წლის 25 ნოემბრის წერილით აცნობა, რომ მოსარჩელის სახელფასო დავალიანებას წარმოადგენდა ხელფასის სახით – 1215 ლარი ხელზე ასაღები – 1010,35 ლარის ოდენობით და სამივლინებო დავალიანება – 837,50 ლარის ოდენობით, ხოლო სამინისტროში არ იყო მიღებული გადაწყვეტილება წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების დაფარვის თაობაზე.

**სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:**

მოსარჩელემ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხემ – საქართველოს კონტროლის პალატამ საქალაქო სასამართლოში წარდგინილ შესაგებელში არ ცნო შ. ტ-შვილის სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელისათვის თანხების ანაზღაურება უნდა დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. ტ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს კონტროლის პალატას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 1010,35 ლარის ანაზღაურება და სამივლინებო დავალიანების – 837,50 ლარის ანაზღაურება, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე შ. ტ-შვილი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს კონტროლის პალატასთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი და განმარტა, რომ მითითებული კანონის 37.1 მუხლის მიხედვით, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ამავე კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, დადგენილი და აღიარებული იყო, რომ 2005

წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული საჯარო მოხელეების მიმართ არსებობდა საბიუჯეტო დავალიანებები და კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელებულიყო წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის წესის შესაბამისად. აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებული იყო საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხებოდა საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას. 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ», რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებდა წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანების დასაფარავად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოქმედების განუხორციელებლობა – ხელფასის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, რის გამოც, საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონო იყო, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს მიაყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლით ადრულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალდებულებდა, განეხორციელებინა ეს მოქმედება ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან. ამდენად, მოპასუხე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის სახელფასო დავალიანება, ხელზე ასაღები ხელფასის თანხა – 1010,35 ლარის ოდენობით და სამივლინებო დავალიანება – 837,50 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ დავალიანების არსებობა დადასტურებული იყო საქმეში არსებული ცნობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

«საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ» კანონის 78-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებას და სხვა დაფინანსების წყარო არ გააჩნია. ამდენად, მოსარჩელისათვის სახელფასო დავალიანების გადახდა უნდა დავალებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად, რაც არ იქნა გათვალისწინებული საქალაქო სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 377.1, 390-ე მუხლების საფუძველზე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები. ამასთან სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ არ იზიარებდა სააპელაციო საჩივრის მოტივს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოვალედ მითითებასთან დაკავშირებით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება-მოვალეობები საბიუჯეტო პროცესის მიმართ თავისთავად არ წარმოშობდა მის ვალდებულებას მოსარჩელისათვის თანხის ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყარო იყო შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება ყოფილიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოქმედების განუხორციელებლობა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონო იყო, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს მიაყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალდებულებდა, განეხორციელებინა ეს მოქმედება ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან. ამდენად, შ. ტ-შვილის სარჩელი მართებულად იქნა დაკმაყოფილებული საქალაქო სასამართლოს მიერ.



სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

#### **კასაციის მოტივი:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, იგი მიღებულია სამართლის ნორმების დარღვევით, აგრეთვე ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების გარეშე.

კასატორის მითითებით, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა, როდის დაითხოვეს პირი სამსახურიდან. კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სახელფასო დავალიანების შემთხვევაში, მიუღებელი ხელფასის მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როდესაც მას უნდა მიეღო ხელფასი და არ მიიღო. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს კონტროლის პალატას მოსარჩელის მიმართ გააჩნია 2003 წლის დავალიანება და ამდენად სარჩელი იყო ხანდაზმული.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული 2010 წლის 8 ივნისის განჩინებით, საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის სამივლინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 «ბ» მუხლის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება და წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება სამივლინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლომ მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ტ-შვილის სარჩელი სამივლინებო თანხების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხისათვის სამივლინებო თანხების შ. ტ-შვილის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში არასწორია, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის ცნობით დადგენილია, რომ შ. ტ-შვილზე წინა წლებში წარმოქმნილი დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენს 1215,00 ლარს, ხელზე მისაღებია – 1010,35 ლარი, ხოლო სამივლინებო დავალიანება შეადგენს 837,50 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134<sup>1</sup> მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სამივლინებო დავალიანება წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა («საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია სამივლინებო დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, სამივ-

ლინებო დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივილინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო, მაგრამ სამივილინებო თანხების ანაზღაურება წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან, მოსამსახურის მივილინებაში გაშვება და შესაბამისი სამივილინებო თანხების ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან. სამივილინებო თანხა, ხელფასის თანხისაგან განსხვავებით, არ არის მოქცეული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, სამივილინებო თანხის, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების, მოთხოვნა ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულ ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას.

იმის გათვალისწინებით, რომ შ. ტ-შვილმა, წინამდებარე სარჩელი აღძრა 2009 წლის 20 ნოემბერს, ხოლო სადავოა 2003 წლის სამივილინებო თანხები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა სამივილინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში აღძრულია მოთხოვნის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვებით, რაც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ხანდაზმულობის მოტივით მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «მ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან აანაზღაურებს დავალიანებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამივილინებო დავალიანების – 837,50 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოპასუხე საქართველოს კონტროლის პალატას კი არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე სამივილინებო დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთათვის სამივილინებო დავალიანების თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განჩინება სამივილინებო დავალიანების – 837,50 ლარის შ. ტ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს კონტროლის პალატისათვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სამივილინებო დავალიანების – 837,50 ლარის შ. ტ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს კონტროლის პალატისათვის დაკისრების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 257-ე, 372-ე, 243.2, 411-ე მუხლებით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განჩინება მოსარჩელე შ. ტ-შვილისათვის სამივლინებო დავალიანების – 837,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შ. ტ-შვილის სარჩელი სამივლინებო დავალიანების – 837,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამივლინებო თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობა

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

18ს-595-574(კ-10)

30 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** სახელფასო, სამივლინებო და გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციის თანხების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 30 სექტემბერს ჯ. ო-შვილმა, ე. ა-ძემ და ი. მ-ეკმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს კონტროლის პალატის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი წლების განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოს კონტროლის პალატაში. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2004 წლის 25 აგვისტოს 1გან-139 ბრძანებით კი განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

მოსარჩელეთა მითითებით, მოპასუხემ დაარღვია კანონი და დადგინდა ვადაში არ მოახდინა საბოლოო ანგარიშსწორება. მოსარჩელებს მისაღები ჰქონდათ სახელფასო და სამივლინებო თანხები, ასევე მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაცია 100 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოპასუხისათვის ჯ. ო-შვილის სასარგებლოდ ხელფასის – 1788 ლარის, სამივლინებო თანხის – 488 ლარისა და გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციის – 100 ლარის; ე. ა-ძის სასარგებლოდ ხელფასის – 2181 ლარის, სამივლინებო თანხის – 484 ლარისა და გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციის – 100 ლარის და ი. მ-ეკის სასარგებლოდ ხელფასის – 1228 ლარის, სამივლინებო თანხის – 476 ლარისა და გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციის – 100 ლარის ანაზღაურების დავისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს კონტროლის პალატას ჯ. ო-შვილის სასარგებლოდ შრომის ანაზღაურების – 1788.67 ლარისა და სამივლინებო თანხის – 488 ლარის, ე. ა-ძის სასარგებლოდ შრომის ანაზღაურების – 2181.89 ლარისა და სამივლინებო თანხის – 484 ლარის და ი. მ-ეკის სასარგებლოდ შრომის ანაზღაურების – 1228.67 ლარისა და სამივლინებო თანხის – 476 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; მოსარჩელებს უარი ეთქვათ გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა მიეღო შრომის გასამრჯელო სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე. მოსამსახურის შრომის გასამრჯელო მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს; დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. ამასთან, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსამსახურეს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა «საბიუჯეტო სისტემის შესახებ» საქართველოს კანონზე. «ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, ბიუჯეტში თავს იყრიდა ფულადი სახსრები, რომელიც ხმარდებოდა ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებას ბიუჯეტით გათვალისწინებული ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული ასიგნებათა მოცულობით. «ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კანონით გათვალისწინებული თანხების გამოყოფასა და შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანების გასტუმრებას ახორციელებდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელების მიმართ სახელფასო და სამივლინებო დავალიანების გაუცემლობის მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ **2003** წლების შესაბამისი ფულადი თანხებით საქართველოს კონტროლის პალატა ვერ დაფინანსდა, რის გამოც ამ უკანასკნელს მოსარჩელეთა მიმართ წარმოეშვა დავალიანება. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ **2009** წლის «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის **21**-ე მუხლის თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო **2008** წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით, რომ აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება არ დაიშვებოდა, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის **134**<sup>1</sup> მუხლის თანახმად, **2005** წლის **1** იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის გაცემა ხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის **37**-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყარო შესაბამისი ბიუჯეტი იყო. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება გამხდარიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არ არსებობდა გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან, საქმეზე წარმოდგენილი მასალებით აღნიშნული დავალიანების არსებობის ფაქტი არ დასტურდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **10** ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სახელფასო-სამივლინებო დავალიანების ანაზღაურების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010** წლის **18** თებერვლის განჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **10** ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის **23**-ე მუხლზე, რომლის თანახმად, შრომითი უფლებების დაცვა და სამართლიანი გასამრჯელოს მიღების უფლება ყოველი ადამიანის ღირსეული არსებობის მნიშვნელოვანი პირობა იყო. ამასთან, «ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკული უფლებების საერთაშორისო პაქტის» საფუძველზე, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობების სერიოზულ გამოვლინებად მიიჩნეოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010** წლის **18** თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კონტროლის პალატას მოსარჩელების მიმართ **1998** წლიდან მართლაც გააჩნდა **1998-2003** წლების პრემიისა და დახმარების დავალიანება, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ პრემიისა და დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოშობილი იყო პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან.

კასატორის მითითებით, საქართველოს კონტროლის პალატას მოსარჩელების მიმართ ასევე გააჩნდა **2000-2004** წლების სამივლინებო დავალიანება. მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი დადგენილი იყო «მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **2005** წლის **20** აპრილის **231**-ე ბრძანებულებით, რომლის მე-17 მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეს სამივლინებო თანხა ავანსის სახით უნდა მისცემოდა

მივლინებაში გამგზავრებამდე. ამდენად, კასატორის განმარტებით, მოსარჩელებს მოთხოვნის უფლება 2000-2004 წლებში წარმოეშვათ.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, «ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშვა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელი იყო», ამავე კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად კი, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებული იყო კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყებოდა იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

კასატორმა აღნიშნა, რომ მოსარჩელების მიერ არ იყო წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი მტკიცებულების სახით, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველად შეიძლება მიჩნეულიყო. კასატორის განმარტებით, საქართველოს კონტროლის პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს <sup>1</sup>180/19 ცნობა, არ შეიძლება განხილულიყო როგორც ვალის აღიარება, რადგან მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით არ იყო გამოხატული ნება ვალის გადახდის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი მოსარჩელებისათვის სახელფასო დავალიანების თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება მოსარჩელებისათვის სახელფასო დავალიანების თანხების ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი სამივლინებო თანხის მოსარჩელებისათვის: ჯ. ო-შვილის სასარგებლოდ – 488 ლარის, ე. ა-ძის სასარგებლოდ – 484 ლარისა და ი. მ-ეკის სასარგებლოდ – 476 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი მოსარჩელებისათვის სახელფასო დავალიანების თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება, ხოლო საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი სამივლინებო თანხის მოსარჩელებისათვის: ჯ. ო-შვილის სასარგებლოდ – 488 ლარის, ე. ა-ძის სასარგებლოდ – 484 ლარისა და ი. მ-ეკის სასარგებლოდ – 476 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოსარჩელებისათვის სამივლინებო თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2004 წლის 25 აგვისტოს <sup>1</sup>გან-139 ბრძანების საფუძველზე, ჯ. ო-შვილი, ე. ა-ძე და ი. მ-ეკი განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. საქართველოს კონტროლის პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს <sup>1</sup>180/19 ცნობის თანახმად, ჯ. ო-შვილის მიმართ ხელზე ასაღები შრომის ანაზღაურება შეადგენდა – 1788.67 ლარს, სამივლინებო თანხა – 488 ლარს; ე. ა-ძის მიმართ ხელზე ასაღები შრომის ანაზღაურება შეადგენდა – 2181.89 ლარს, სამივლინებო თანხა – 484 ლარს; ხოლო ი. მ-ეკის სასარგებლოდ – ხელზე ასაღები შრომის ანაზღაურება შეადგენდა – 1228.67 ლარს, სამივლინებო თანხა – 476 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას), რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად,

მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის შესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. მართალია, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი), მაგრამ სამივლინებო თანხა, ისევე, როგორც ხელფასის თანხა და დანამატი, ასევე პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, ვინაიდან, მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისი სამივლინებო თანხის მისთვის ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან, თუმცა, ამავდროულად, სამივლინებო თანხა, ხელფასის თანხისა და დანამატისაგან განსხვავებით, არ არის მოქცეული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, სამივლინებო თანხის, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების, მოთხოვნა ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულ ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, რომ ჯ. ო-შვილმა, ე. ა-ძემ და ი. მ-ეკმა სარჩელი 2009 წლის 30 სექტემბერს აღძრეს, მოსარჩელეთა მოთხოვნა 2000-2004 წლების სამივლინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება თუ, ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს 180/19 ცნობა არ შეიძლება გახდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან, აღნიშნული ცნობა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა, ამასთან, იგი არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვალის აღიარების ან ვალის გადახდის დაპირების ელემენტებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელებისათვის სამივლინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი დაშვებული მივლინების თანხების ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, მოსარჩელებისათვის სამივლინებო თანხების – ჯ. ო-შვილის სასარგებლოდ – 488 ლარის, ე. ა-ძის სასარგებლოდ – 484 ლარისა და ი. მ-ეკის სასარგებლოდ – 476 ლარის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი დაშვებულ სამივლინებო თანხების – ჯ. ო-შვილის სასარგებლოდ – 488 ლარის, ე. ა-ძის სასარგებლოდ – 484 ლარისა და ი. მ-ეკის სასარგებლოდ – 476 ლარის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება მოსარჩელებისათვის სამივლინებო თანხების – ჯ. ო-შვილის სასარგებლოდ – 488 ლარის, ე. ა-ძის სასარგებლოდ – 484 ლარისა და ი. მ-ეკის სასარგებლოდ – 476 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ჯ. ო-შვილს; ე. ა-ძესა და ი. მ-ეკს უარი ეთქვათ 2000-2004 წლის სამივლინებო თანხის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის გამო;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.